დიმიტრი თაბორიძე

ბეერაღჩხრეკა "ვეფხისტყაოსნისა"



თბილისი 2019 Tbilisi

რედაქტორი: *ელენე თაბორიძე*

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: *გიორგი ბაგრატიონი*

© ელენე თაბორიძე, 2019

გამომცემლობა „ნეკერი“, 2019

ISBN 978-9941-479-27-4

ნინასიტყვაობა

„ვეფხისტყაოსანს“ ქართველი ხალხის ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: მრავალი ათეული წელია, ყოველი ქართველი მას ჯერ კიდევ სკოლის წლებში ეცნობა; მისი სტროფები ჩვენი წინაპრების არაერთ თაობაში წერა-კითხვის უცოდინარებმაც კი ზეპირად იცოდნენ; განათლებული ოჯახის პატარძლის მზითევი აუცილებლად მისით უნდა დამშვენებულიყო; გარკვეულ საუკუნეებში ის ქართველებს „სახარებაზე მეტადაც გაუტკბათ“ (ა. წერეთელი), ზნეობრივ იდეალებად ექცათ მისი გმირები; მეთვრამეტე ასწლეულის დასაწყისიდან დღემდე მას ფილოლოგების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, თეოლოგების, ასტონომების, გეოგრაფების, მინერალოგებისა და სხვათა არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა; დამოუკიდებელ ლიტერატურათმცოდნეობით დარგად ჩამოყალიბდა რუსთველოლოგია; პოემა მთელს მსოფლიოში გახდა პოპულარული მრავალ ენაზე შესრულებული თარგმანების წყალობით; უცხოელებმა ის ჩვენს სავიზიტო ბარათად აღიარეს და როგორც ი. ჭავჭავაძემ ბრძანა, მისით „ქართველებს სამართლიანად მოგვაქვს თავი“; XXI საუკუნეში დაწესდა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე; უფრო ადრე კი (1966 წ.) საერთაშორისო დონეზე აღინიშნა მისი ავტორის 800 წლის იუბილე, იუბილე გენიალური შემოქმედისა, რომლის სახელი რატომღაც ისტორიულმა დოკუმენტებმა კი არა, მხოლოდ ნაწარმოების პროლოგმა და მშობელი ხალხის მეხსიერებამ შემოინახა...

ამიტომაც ძნელია, წარმოვიდგინოთ ნიგნიერი ქართველი, „ვეფხისტყაოსანსა“ და მისი ავტორის უცნაურ ბედზე ცხოვრების რომელიმე ეტაპზე მაინც რომ არ დაფიქრებულიყო.

ამ წიგნის ავტორიც, მიუხედავად ტექნიკური განათლებისა, ათეული წლების წინ დაინტერესდა და მოინუსხა რუსთველის ამოუხსნელი ფენომენით. ამას ხელი ოჯახურმა ტრადიციამ

და აღმოსავლური ფილოსოფიით დაინტერესებამაც შეუწყო. როგორც ჩანაწერები მოწმობს, პოემის პირადი ეგზემპლარის გვერდები ავტორს კითხვის ნიშნებით დაუფარავს, რომლებზე პასუხების მოსაძებნადაც მან მრავალი წელი „ჩხრიკა“ სხვადასხვა წყაროები, იკითხა „გონებისთვალითა და გულისყურით“ (დღიურიდან: „ყურებისა და მოსმენის უნარი ყველას გვაქვს, დანახვა-განჭვრეტისა და მოსმენილის გაგების უნარი – ცოტას; პარადოქსია: მხედველობა ან სმენა-დაქვეითებულები ინვალიდებად ითვლებიან, გონებისთვალისა და გულისყურის სრულიად არმქონენი კი – ნორმალურ ადამიანებად. არადა, სწორედ გულისყური და გონებისთვალი განასხვავებს ადამიანს ცხოველისგან!“). თავისი საქმიანობის შედეგები დ. თაბორიძემ ქართველ საზოგადოებას წლების წინ გააცნო გაზეთ „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებული სტატიების სახით, რომლებსაც საერთო სათაურად მისცა „საუბრები იდიოტთან“ (თავისი ფსევდონიმის შერჩევა მან, მაშინ ანონიმმა ავტორმა, მარტო თ. დოსტოევსკის ცნობილი პერსონაჟის სიყვარულით კი არა, უფრო იმით ახსნა, რომ „ხანდახან სუფიები თავიანთ თავს იდიოტებს უწოდებენ“).

როგორც მოსალოდნელი იყო, „საუბრებმა“, რომლებითაც მკითხველი „ვეფხისტყაოსნის“ სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას გაეცნო, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია (დაინტერესებულნი შეძლებენ, გაეცნონ ნ. ნათაძის, ა. დარცმელიძის, ზ. ვახანიას, გ. მარგველაშვილის წერილებს, რომლებიც ამავე გაზეთში 2000-2003 წლებში გამოქვეყნდა), თუმცა, კვლევის ავტორის სამწუხაროდ, პოლემიკას ფართო მასშტაბი არ მიუღია. ზოგისთვის სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელი აღმოჩნდა ავტორის სითამამე, ათწლეულობით გაბატონებული კლიშეების რღვევისას რომ გამოვლინდა. მეორე მხრივ, პოსტმოდერნიზმის ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი სწორედ კლასიკური ხელოვნების ახლებური ინტერპრეტირებაა. ამიტომაც სამართლიანია ფილოსოფოს გ. მარგველაშვილის პოზიცია: „იმისთვის, რომ გაცოცხლდეს „ვეფხისტყაოსანი“, საჭიროა მისი ახალი წაკითხვა. უცნობი ავტო-

რის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ არატრადიციული გააზრება დღევანდელ... ყოფაში მხოლოდ მისასალმებელია. ჩემთვის წარმოდგენილი პოზიცია ძალიან ახლოა, როგორც თანამედროვე გაცოცხლება დიდი მისტიური ძალის მქონე ტექსტისა“.

ერთ-ერთი ოპონენტისადმი მიმართულ საპასუხო წერილში (იხ. გაზ. „ახალი განათლება“, 31.05-6.06. 2001) დ. თაბორიძემ ვახტანგ მეექვსის ეს საინტერესო სტროფი გაიხსენა:

„ტკბილ-მოუბარსა რუსთველსა დაუფრქვევია მკობანი,
სიბრძნის სწავლითა იგავნი – საცოლქმრო აშიკობანი,
ბგერად საჩხრეკი – ვერ მიხვდნენ, მიბაძეს ცუდი ხმობანი,
სალმრთოდ წერილი – საცრუოდ თქვეს და დაგვიგდეს გმობანი!“

და ასე განმარტა თავისი მცდელობის მოტივაცია: „დიახ, სალმრთოდ წერილი, სიბრძნის სწავლითა იგავნია „ვეფხისტყაოსანი“ და სწორედ ბგერად ჩხრეკაა საჭირო მისი საიდუმლოს ამოსახსნელად“. მკვლევარს განზრახული ჰქონდა, თავისი ნააზრევი წიგნად შეეკრა და სათაურად სწორედ „ბგერადჩხრეკა „ვეფხისტყაოსნისა“ ეწოდებინა.

სამწუხაროდ, განზრახვის სისრულეში მოყვანა არ დასცალდა – გეგმებითა და მათი განხორციელების იმედებით აღსავსე სულ ახლახანს მოულოდნელად წავიდა ჩვენგან. ვინც მას იცნობდა, ყველას მოეხსენება მისი თავმდაბლობისა და ალტრუიზმის ამბავი. ამიტომ მისი ხსოვნისთვის პატივის მისაგებად, ახლობლების დახმარებით, ქართველი მკითხველის სამსჯავროზე გამოგვაქვს წიგნი, რომელიც, როგორც ავტორს სჯეროდა, კიდევ ერთხელ მიგვაბრუნებს რუსთველისკენ, აზრთა სხვადასხვაობასა და ჭიდილს გამოიწვევს და ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე დადგომაში დაგვეხმარება ქართველებს.

პუბლიკაცია, ალბათ, უკმარისობის გრძნობას დაუტოვებს მკითხველს – კვლევა გასაგრძელებელია. ავტორი ბედნიერი იქნებოდა, თუკი მისი ნააზრევი ამ მიმართულებით შემდგომ ძიებას მისცემდა ბიძგს.

P.S. მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც ყურადღებით მოეკიდა (და იმედია, მომავალშიც მოეკიდება) ამ ნაშრომს; მის წიგნად ქცევაში შეტანილი წვლილისა და უანგარობისთვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის გიორგი ბაგრატიონს.

P.P.S. ავტორისეული ტექსტის დასასრულს, ბატონ ლ. თაქთაქიშვილის ნებართვით, ვბეჭდავთ მის ესეს – გამოთხოვებას დ. თაბორიძესთან.

ელენე თაბორიძე

„წიგნებსაც იგივე მტრები ჰყავთ, რაც ადამიანებს:
ცეცხლი, წყალი, უმეცრება, დრო და...
მათივე საკუთარი შინაარსი!“

პოლ ვალერი

იმთავითვე უცნაური ბედი დაჰყვა „ვეფხისტყაოსანს“: ჯერ იყო და, ლამის ძალის ძალად, მხოლოდ მავანთა და მავანთა მრავალგზისი დაჟინებული (მო)თხოვნით დაუწერია იგი ავტორს; შემდგომში ქართველებმა ვერაფრით გავართვით თავი მის წაკითხვას...

დღესდღეობით ხელთა გვაქვს:

ა) პოემა „ვეფხისტყაოსანი“ – „ქართული სულის კვინტესენცია“, „ქართული პოეზიისა და ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალი“, „საქართველოს სავიზიტო ბარათი ცივილიზებულ სამყაროში“ და ა.შ.;

ბ) პოემის ხელნაწერები – უკანასკნელი მონაცემებით, სულ 164 ერთეული (მათგან უძველესი – XVI ს-ის მიწურულით დათარიღებული);

გ) პოემის პირველი ბეჭდური გამოცემა (1712 წლისა) და

დ) თანდართული ვახტანგ VI-ისეული „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა“ – „ქრონოლოგიურად პირველი მონოგრაფია, რომელსაც კი ჩვენამდის მოუღწევია უკვდავი პოემის შესახებ.“ (აკად. ა. შანიძე);

ე) მეორე მნიშვნელოვანი მონოგრაფია – თეიმურაზ ბატონიშვილის „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ (1843 წ.);

ვ) მთელი დარგი მეცნიერებისა – რუსთველოლოგია, რომელიც სწავლობს პოემა „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორთან დაკავშირებულ პრობლემატიკას;

ზ) შოთა რუსთაველის (სახელობის) ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (დაარსდა 1942 წ.) და მასთან არსებული

თ) რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

როგორც აღვნიშნე, უკვე სამასი წელია, არსებობს მთელი დარგი მეცნიერებისა, რომელიც „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორთან დაკავშირებულ პრობლემატიკას იკვლევს. გაწეულია ტიტანური შრომა, დაწერილი და გამოქვეყნებულია ათასობით მეცნიერული ნაშრომი, მაგრამ მთავარი კითხვა – „მაინც რა სწერია „ვეფხისტყაოსანში“? – კვლავაც პასუხგაუცემელი რჩება...

აი, რას წერდა ბ-ნი რევაზ თვარაძე სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინათ:

„აუცილებელია, რუსთველის შესახებ შეიქმნას ისეთი გამოკვლევა – უცხოელ, არაქართველ მკითხველებს მიახლოებით მაინც რომ წარმოადგენინებს ამ საკვირველი პოეტის ჭეშმარიტ სახეს.

ამგვარი გამოკვლევა დღემდე ვერ დაიწერა – ვერც საკუთრივ საქართველოში და ვერც, მითუმეტეს უცხოეთში. სინანულით დავძენ, რომ,ჩემი აზრით, ეს საქმე უახლოეს მომავალშიც ვერ აღსრულდება, რამეთუ, ქართველ მკვლევარებს თუ დავეხსნებით, დღესდღეობით ასპარეზზე არ ჩანს არცერთი უცხოელი, ვინც იმდენად რიგიანად ფლობდეს ქართულს, რომ ბოლოსდაბოლოს, მიხვდეს, ჩაწვდეს, თუ რა სწერია „ვეფხისტყაოსანში“ და, ამასთან, თვითონაც იდგეს სულიერი ევოლუციის ისეთ საფეხურზე, რომ რუსთველის შესახებ საუბარი ხელეწიფებოდეს...

...შედარებას თუ მივმართავთ, როდესაც ჩვენს წინაშე აღმართულია თვალშეუდგამი ჯადოსნური მწვერვალი და ჩვენ, ამ მწვერვალთან მიახლების მოსურნეთ, საამისო ძალა არ გვყოფნის, ის მაინც უნდა მოვიმოქმედოთ, რომ შთამომავლობას დავუსახოთ ამ მწვერვალზე ასასვლელი სწორი მარშრუტები, დავალანდინოთ ის ციცაბო ფერდობები, რომელთა დაძლევაც აუცილებელია მწვერვალზე ასასვლელად...

ამის თქმისას მე მხედველობიდან არ გამომრჩენია იმის შესაძლებლობა, როგორიც ზოგჯერ დასტურდება ისტორიაში: ვიდრე სათანადო ძალის უქონელი პირნი სამომავლო

მარშრუტებს სახავენ – ნელ-ნელა, თანდათანობით ამზადებენ მწვერვალის დაპყრობას, შესაძლოა მოიჭრას საღმრთო ხელ-დასხმის მქონე სული – „მაღალი და მაღლად მხედი“, „ზემხედველი ცნობის“ მფლობელი (რუსთველის სიტყვებია) – სული, რომელსაც ძალი შესწევს, სხვათა მიერ ათწლეულების სავალი გზა თვალის ერთ დახამხამებაში გადაიქროლოს და, ყველა მონიშნული მარშრუტის გვერდის ავლით, ჯიქურ აიჭრას მწვერვალზე. მაგრამ ამგვარი ბედნიერება კაცთა მოდგმას ერთობ, ერთობ იშვიათად ეძლევა...“

არა მგონია, ასე უიმედოდ იყოს საქმე, უბრალოდ, ჩვენ ჭეშმარიტებას „ხშირად ხევხუვებში და ღრანტეებში ვეძებთ და არა მთათა მწვერვალებზე, სადაც იგი ყველას დასანახად, თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით, დიდებით სუფევს“ (ედგარ ალან პო).

საქმე ისაა, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული საჯარო სააზროვნო სივრცე არ იცნობდა **სუფიზმის** ფენომენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია, შეუმჩნეველი დარჩენილიყო ის ფაქტი, რომ **„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, თავიდან ბოლომდე, პირდაპირ „გადაპენტილია“ სუფიური სიმბოლიკითა და უამრავი ტექნიკური ტერმინით.**

დიახ, ყველა გზას სუფიზმისკენ მივყავართ! – ასე ვთვლი და ვწერდი კიდეც ამის შესახებ 2000-2003 წლებში გაზ. „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებული სტატიების ციკლში. მას შემდეგ ცოტა რამ შეიცვალა: სიტყვა „სუფიზმი“ დღეს ისე აღარ ჭრის ყურს ქართველ საზოგადოებას, როგორც ამ ოციოდე წლის წინათ... ქართულმა ორიენტალისტიკამ, ბ-ნი გიორგი ლობჟანიძის პირით, ბოლოსდაბოლოს, აღიარა, რომ „დიახ...“ ბ-მა ლევან რამიშვილმა დაწერა და გამოაქვეყნა წიგნი „დაფარული ვეფხისტყაოსანი“... ეს არის და ეს...

✧ ✧ ✧

სუფიზმის გარეშე წინ რომ ვერ წავიწევთ, ამის უპირველესი საბუთი თვით პოემის ტექსტია. მისი პირველივე, თუნდაც ზერელე გადაკითხვისასაც კი, თვალში მოგხვდებათ სუფიური სიმბოლიკა და უამრავი ტექნიკური ტერმინი. აი, მაგალითად:

პირველივე სიტყვა, რომელსაც ვკითხულობთ – პოემის სათაური, „ვეფხისტყაოსანი“, სიმბოლოთა ენიდან რომ „ვთარგმნოთ“, სუფიას ნიშნავს.

თამარის ეპოქის სუფიათა ენა არაბული ენა გახლავთ, ის კი კოდირების, „სიტყვებით თამაშის“ დიდ შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, ცნება „**ვეფხვი**“ აღინიშნება ძირით **ნ მ რ**, მაგრამ იმავე ძირით აღინიშნება აგრეთვე „**ბეწვის სამოსელი**“, რომელსაც სუფიები ატარებდნენ და „**შეუბღალავი ღირსება**“ – რაც, **სიყვარულთან** ერთად, სუფიზმის საფუძველთა საფუძველია.

გარკვეულ მიზეზთა გამო, სუფიები დიდი მისტიფიკატორები იყვნენ. მაგალითად, ერთსა და იმავე პიროვნებას შეეძლო, საჭიროების და მიხედვით, „განესახიერებინა“ მრისხანე მეფეც, ბრძენი ვეზირიც, ვირეშმაკა მასხარაცა (სხვათაშორის, „მასხარა“ აგრეთვე არაბული სიტყვაა და სუფიას აღმნიშვნელ კიდევ ერთ ტექნიკურ ტერმინს წარმოადგენს) და ზანზალაკიანი კეთროვანიც, ყველა რომ სიკვდილსავით გაურბის. მაგრამ ეს იყო არა მხოლოდ გარეგანი, ფიზიკური გარდასახვა, არამედ, პირველ რიგში(!), შინაგანი, ფსიქიური „გადართვა მუშაობის სხვა რეჟიმში.“

თავისთავად იგულისხმება, ასეთი რამ ყველას არ ხელეწიფებოდა. მხედველობაში მყავს უკვე გარკვეულ დონეს მიღწეული ინდივიდები...

სუფიებისათვის უცხო არ იყო ლიტერატურული, პოეტური მისტიფიკაციაც, რისი უამრავი მაგალითი მოიპოვება არაბულ და სპარსულ, აგრეთვე სხვა ხალხების ლიტერატურაში. მიმაჩნია, რომ ასეთივე ლიტერატურული მისტიფიკაციის შედევრი გახლავთ „ვეფხისტყაოსანიც“.

რა შეიძლება დავასკვნათ, აქედან გამომდინარე? ეს ყოველივე, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს – და ნიშნავს ცალსახად! – რომ პოემა შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც იმგვარად, რა სახითაცაა მოცემული (ანუ როგორც ნახევრად ზღაპარი, ნახევრად სარაინდო-სასიყვარულო რომანი), ასევე მეორენაირად, ან იქნებ – მრავალნაირადაც. ერთი სიტყვით,

ავტორი თავიდანვე მიგვანიშნებს (პირდაპირაც გვეუბნება „დასაწყისში“: „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“-ო) და შემდეგაც, კითხვაში გართულებს, სპეციფიკური ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით, მრავალგზის შეგვახსენებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ – სუფიური, ე.ი. მრავალპლანიანი (ან, თუ გნებავთ – მრავალპლასტიანი) ნაწარმოებია. პოემის ავტორი რუსთველი სუფიაა და ეს სრულიადაც არ გამორიცხავს არც მის ქრისტიანობას და, მითუმეტეს, არც მის ქართველობას. ოღონდ, უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს – უფრო სწორად, რას ნიშნავდა იმ დროში – „ქართველობა“.

ჩემი აზრით, ეროვნულობის უმთავრესი ნიშანი მკაფიოდ გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული საერთო-სახალხო მენტალიტეტია, ხოლო ინდივიდი, ამ ასპექტში, ფასდება იმით, თუ რამდენად აქვს მას გათავისებული ეს საერთო-სახალხო, ანუ **ეროვნული მენტალიტეტი**. სხვანაირად იმდროინდელი (და არა მხოლოდ იმდროინდელი!) „ქართველის“ განსაზღვრისას აუცილებლად ჩიხში მოვექცევით, რადგან საქართველოს მაშინდელ მოსახლეობაში ფიქსირდება სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი, საკუთარი სუბკულტურის მქონე უამრავი (ხშირად – მრავალრიცხოვანი) ეთნიკური ჯგუფი: საკუთრივ ქართველები, ებრაელები, სომხები, ოსები, ბერძნები, ყივჩაღები, თურქები, არაბები, სპარსელები და სხვანი. ეს ეთნიკური ჯგუფები არამც და არამც არ წარმოადგენდნენ ერთმანეთისაგან იზოლირებულ რაღაც დახურულ სისტემებს. პირიქით, ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან; მათ შორის ინტენსიურად მიმდინარეობდა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლა, დანათესავება; ისინი ერთ სახელმწიფო ენაზე – ქართულ ენაზე მეტყველებდნენ და – რაც ყველაზე მთავარია! – ისინი **ყველანი თანაბარნი იყვნენ კანონის, სახელმწიფოს წინაშე** (რა თქმა უნდა, საკუთარი, პიროვნული სოციალური სტატუსის შესაბამისად: უფლებრივად თანაბარნი იყვნენ ქართველი და არაქართველი მდაბიონი, ქართველი და არაქართველი დიდებულები და ა.შ.). ცხადია, ასეთ პირობებში ეს ხალხი ერთგულად ემსახურებოდა

თავის სახელმწიფოს – **თავის სამშობლო საქართველოს** და აქტიური წვლილი შეჰქონდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის აღორძინება-აყვავებაში. ამიტომაც არის, რომ დღესაც კი **არავის მოუვა თავში აზრად იმის გამოთვლა, თუ რამდენი ეთნიკური ქართველი ან არაქართველი იბრძოდა ვახტანგის, დავითის, თამარის... დროშებქვეშ, ქმნიდა ხელოვნების შედევრებს, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე ილვწოდა:** იმარჯვებდა **ქართველთა ლაშქარი,** ბრწყინავდა **ქართული ხელოვნება,** ზეობდა **საქართველო..!**

ერთი სიტყვით, **მაშინდელი „ქართველი“** – მე დღევანდელი **„საქართველოს მოქალაქის“ შესატყვის ტექნიკურ ტერმინად მიმაჩნია.**

სხვათა შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში – ე. ი. თუკი საკითხს გენეტიკური კუთვნილების თვალსაზრისით მივუდგებით – მაშინდელი „არაქართველების“ სიის დაწყება თვით ბაგრატიონებით მოგვიხდება! ამასთან, ეს სია წარმოუდგენლად გრძელიც გამოგვივა... თუმცა, მთავარ თემას დავუბრუნდეთ!

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური კუთვნილების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული **სუფიზმის,** როგორც ასეთის, **რაობასთან.**

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სუფიზმი ხშირად იწოდება ისლამის ერთ-ერთ სექტად, მაგრამ თვით სუფიები ამ აზრს არ იზიარებენ. მათი პოზიცია ასეთია: უბრალოდ, სუფიზმმა ისლამის წიაღში განვითარებისათვის ძალზე ხელსაყრელი პირობები ჰპოვა და მასთან თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საკუთარი ორგანული ბუნებიდან გამომდინარე, ამ რელიგიის ბევრი გარეგნული ნიშან-თვისება შეიძინა. ისე კი,სუფიური ტრადიცია მას განიხილავს, როგორც ფენომენს, რომელიც კაცობრიობის დასაბამითგანვე არსებობს. ეს არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, ან ჯგუფებისათვის მისაღები აზროვნებისა და ცხოვრების ერთადერთი წესი, რომლისთვისაც არ არსებობს არც გეოგრაფიული და პოლიტიკური საზღვრები, არც ეთნიკური, რელიგიური და სოციალური ჩარჩოები: ყველა სუფია ერთმანეთის **მოყვასი, მოყვარე, ძმა და მეგობარია** (გავიხსენოთ: „ვინ მოყვარესა არ

ეძებს, იგი თავისა მტერია!“), ხოლო სიყვარული – ადამიანთა (მითუმეტეს – მოყვარეთა, მოყვასთა, ძმათა და მეგობართა) თანაცხოვრების აუცილებელი პირობა და უმთავრესი ატრიბუტი გახლავთ. მისი დევიზია: **„გული მივცეთ გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად!“**

სუფიზმი, თავისი არსით, ანტიდოგმატური მოძღვრებაა, მაშინ, როცა ყველა ფორმალური რელიგია – იქნება ეს ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი თუ სხვა – პირველ რიგში, როგორც ცნობილია, გარკვეულ დოგმათა კომპლექსს, დოგმატს ეყრდნობა.

თვითსრულყოფის ცალკეულ საფეხურებზე სუფია, რა თქმა უნდა, იყენებს გარკვეულ „აქსიომებს“, ანუ ისეთ პირობით ჭეშმარიტებებს, რომელთაც დამტკიცება არ სჭირდება, რათა, მათზე დაყრდნობით, შეძლოს შესაბამისი „თეორემების“ „ამოხსნა“, ანუ მიმდინარე თეორიული და პრაქტიკული საკითხების დაძლევა. მაგრამ, როგორც კი იგი ამ საფეხურზე ამაღლდება და შემდეგის დასაძლევად მომწიფდება, მის მსოფლმხედველობაში ეს „აქსიომები“ „თეორემებად“ ტრანსფორმირდება და საჭირო ხდება – ახლა უკვე მათ „დასამტკიცებლად“ – „აქსიომათა“ ახალი სისტემა...

ეს პროცესი გრძელდება დაუსრულებლად – თვითსრულყოფის ბოლოსწინა საფეხურის ჩათვლით.

სრულყოფის ბოლო საფეხურზე (ანუ „მწვერვალზე“) ასული სუფია აღარ საჭიროებს აღარანაირ „აქსიომებს“, ანუ პირობით ჭეშმარიტებებს, რადგან იგი უკვე აბსოლუტურ ჭეშმარიტებას დაეუფლა, უფრო ზუსტად – ეზიარა და თვით შეერწყა მას, ანუ სრულყოფილი, „სრულქმნილი ადამიანი“ გახდა...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია, რომ სუფია – თუკი ის მართლაც სუფიაა და თავს არ იტყუებს – ვერ იქნება ორთოდოქსალური აღმსარებელი ერთი რომელიმე რელიგიისა, ჩვეულებრივი გაგებით. სწორედ ამიტომ, სუფიები იდევნებოდნენ ყველა ფორმალური რელიგიის მიერ როგორც მწვალებლები, ერეტიკოსები და აქედან გამომდინარეობს მათი მიდრეკილებაც მისტიფიკაციებისადმი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „რელიგიური მიმიკრიისადმი“.

ერთადერთი, რაც მათ ცალსახად სწამთ, ღმერთის არსებობაა. ამდენად, მათთვის კაცობრიობა იყოფა (ძალზე პირობითად ვამბობ, რა თქმა უნდა) არა ურთიერთდაპირისპირებულ ქრისტიანებად, მაჰმადიანებად, იუდეველებად და, თუ გნებავთ, კომუნისტებად („ორთოდოქს“ კომუნისტებად, რომელთაც აქვთ საკუთარი რელიგია – მეცნიერული კომუნიზმი, ჰყავთ თავისი წინასწარმეტყველნი – მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინი), არამედ – მხოლოდ და მხოლოდ! – მორწმუნეებად და ურწმუნოებად; ამასთან, „მორწმუნე“ მათთვის „სულიერად ჯანსაღი ადამიანის“ სინონიმია.

„ვეფხისტყაოსანი“, ჩემი აზრით, არის სარაინდო-სასიყვარულო რომანიც, ფილოსოფიური თხზულებაც, რა თქმა უნდა – სუფიური ტრაქტატიცა და... ისტორიული მატიანეც: პოემის მთავარი გმირები ისეთივე რეალური ისტორიული პირები არიან, როგორც მისი ავტორი. ისინი, ყველანი, ერთი წრის წარმომადგენლები არიან და კარგად იცნობენ ერთმანეთს. სხვა ამბავია, რომ მათი პერსონიფიცირება წინასწარგანზრახვით, ავტორის ნებითაა გაძნელებული. რუსთველი – მისივე აღიარებით, გარკვეული რისკის ფასად – ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდის არა მარტო საკუთარ სუფისტურ მრწამსს, არამედ აღწერს თავის თანამედროვე გვირგვინოსანთა ცხოვრების იმ მონაკვეთს, იმ სფეროს, რომელიც ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო გაშუქებული. რუსთველი აქაც ორიგინალურია: იგი იძლევა არა მშრალ, ზედაპირულ, „მიუკერძოებელ“ აღწერას პიროვნებებისა და მოვლენებისა, არამედ ძალზე ემოციურად, თვითმხილველის გატაცებით გვიხატავს რელიეფურ,ცოცხალ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ პორტრეტებს თავისი გმირებისა. ამდენად, ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსანს“ ფსიქოლოგიური რომანიც შეგვიძლია ვუწოდოთ.

სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ პოემის სათაური თვითგაშიფვრადი სიტყვა-გასაღებია, გასაშიფრად კი ჩვენ მოვიშველიეთ არაბული ენა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მე-12 საუკუნეში ისევე არ იყო უცხო, როგორც **სუფიზმი.**

✧ ✧ ✧

ისღა დაგვრჩენია, ეს გასაღები „საკეტს მოვარგოთ“, გადავატრიალოთ და ერთად შევაღოთ „ჯადოსნური კარიბჭე“ – პროლოგი... თუმცა არ ვიცი, რამდენად იქნება შესაძლებელი ახლა მისი საფუძვლიანად განხილვა, რადგან ის, ფაქტობრივად, რეზიუმეა მთელი პოემისა: მასში ავტორი მოკლედ ეხება ყველა იმ პრობლემასა თუ საკითხს, რომლებიც შემდეგ, ტექსტში, ფართოდაა გაშლილი და გაშუქებული.

თავიდან მოვყვეთ:

როგორც მთლიანად პოემა, ისე **პროლოგიც**, ერთი შეხედვით, იმ დროში მიღებულ „სტანდარტულ თარგზეა გამოჭრილი“. ეს გულისხმობს, სხვათა შორის, იმასაც, რომ, **უპირველეს ყოვლისა, ავტორმა ღმერთს უნდა შესთხოვოს შემწეობა წამოწყებულ საქმეში.**

რუსთველი ასეც იქცევა. მაგრამ იგი არსად ახსენებს წმინდა სამებას – არც „პროლოგში“, არც მომდევნო, ძირითად ტექსტში – არსად!

სწორედ ეს იყო ყველა დროში მის მიმართ წაყენებული უპირველესი ეჭვი და პრეტენზია და ათასგვარი გამონაგონის საბაბიც. მაგრამ აქ საქმე სულ სხვა რამეშია: ჩვენს ავტორს მხოლოდ ასე უნდა დაეწერა.

მთავარი აქ, ჩემი აზრით, ისაა, რომ აბსოლუტურად მცდარია „მეცნიერული“ მოსაზრება, თითქოს რუსთველი სამეფო კარის პოეტი იყო, ანუ „ოქროს გალიაში გამოკეტილი უწყინარი ბულბული“, რომელიც ისეთ ეგზალტაციაში ჩააგდო საკუთარმავე „ჭიკჭიკმა“, რომ ღმრთის სწორი, წმინდა სამების მეოთხე იპოსტასად (!) შერაცხული საკუთარი მბრძანებლის შეყვარება გაბედა.

ავტორი არ არის სამეფო კარის, ანუ პროფესიონალი პოეტი, რომელსაც საკუთარი ხელოვნება პროფესიად, ე.ი. თავის თავისა და ოჯახის საარსებო წყაროდ გაუხდია. ის პროფესიონალი სხვა საქმეში გახლავთ: **უმაღლესი სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი და დიდი სახელმწიფო მოხელეა, ანუ პროფესიული სამხედრო პირი და პოლიტიკოსია და მისი ყოველი აზრი,**

სიტყვა თუ საქციელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მისი კეთილდღეობის სურვილითაა ნაკარნახევი.

თუმცა, „სურვილი“ – აქ მთლად ის სიტყვა არაა, რომელიც სრულად გამოხატავს სათქმელს: არსებობდნენ და, იმედია, ჯერაც არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც პატრიოტიზმი არათუ არ არის ლიტონი სიტყვა, **არამედ ქვეყნის, სახელმწიფოს სამსახური – მათი არსებობის ერთადერთი გამართლება, ცხოვრების აზრი და მიზანიცაა, მათი ცხოვრების წესია!** ისინი გასცემენ ყველაფერს, რაც კი რამ აქვთ, საკუთარი ღირსებისა და პატიოსნების გარდა, მითუმეტეს, რომ სახელმწიფო სამსახური არც მოითხოვს მათგან ამას. სწორედ ამგვარი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.

ზემოთ უკვე აღვნიშნე მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური და აღმსარებლური სიჭრელე: იგი თუ არ სჭარბობს, არც არაფრით ჩამოუვარდება ახლანდელს. მთელ ამ ხალხს სამი რამ ჰქონდა საერთო: **ენა** (სახელმწიფო ენა – ქართული), **მამული** (სახელმწიფო და მოქალაქეობა) და **სარწმუნოება... მონოთეიზმი,** ანუ **ერთი ღმერთის რწმენა – აღიარება!** სწორედ ამ საერთოს, ამ გამაერთიანებელ პრინციპს არ უნდა მისდგომოდა ჩრდილი და, პრინციპში, არც მიადგა: თუკი ქრისტიანს შეიძლება გაუჩნდეს ზემოთ აღნიშნული პრეტენზია პოემისა და მისი ავტორის მიმართ, ასევე შეიძლება გაუჩნდეს მუსლიმანსაც (არ დაგვავიწყდეს, ისიც „ქართველია“, ე.ი. საქართველოს მოქალაქეა!), რადგან არც მოჰამედია ამ კონტექსტში სადმე ნახსენები და არც ალლაჰი, იუდეველსაც – არ ახსენებს იაჰვეს, ან ადონაი – უფალს, და ა.შ. და ა.შ.

სამაგიეროდ, იგი მოიხსენიებს (და არა ერთხელ!) **ერთ ღმერთს** („ჰე, ღმერთო ერთო!“), რომელიც ყველა ამათთვის საერთოა და რომლის საწინააღმდეგო არავის არაფერი შეიძლება ჰქონდეს (კერპთაყვანისმცემელთა გარდა, რომლებიც ამ დროისათვის, ალბათ, ერთეულები თუა სადმე შემორჩენილი). ამდენად, გარკვეული ნეიტრალური დამოკიდებულების პირობებში, ვერცერთი კონფესია ვერ აუკრძალავდა და ვერ უსაყვედურებდა თავის მრევლს მისი პოემის წაკითხვას და

იგი (პოემა) საერთო-ეროვნულ საკითხავად იქცეოდა, რაც, მართლაც, აღსრულდა კიდეც (ვფიქრობ, იმავე მიზანს ემსახურებოდა თითქმის ყველა ქართული დიალექტის, აგრეთვე სომხური, ებრაული, არაბულ-სპარსული... ლექსიკის ფართო გამოყენებაც). უფრო მეტიც: მე თუ მკითხავთ, „ვეფხისტყაოსანი“ ერის შინაგანად გამაერთიანებელ, შემაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორადაც კი იქცა! ამაშია მისი დიდი ძალა და დიდი მნიშვნელობაც – ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ ასპექტში მაინც!

პროლოგის კიდევ ერთი „ბუნდოვანი“ და „გაუგებრობის“ წარმომშობი ფრაზაა: „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა!“ თუ „მიჯნურთა სურვილს“, „მიჯნურობას“, რომელსაც არაერთხელ ეხება ჩვენი ავტორი, ჩვეულებრივი, მინიერი (მატერიალისტური) პოზიციიდან განვიხილავთ, ხელთ შეგვრჩება პრიმიტიული სექსუალური მისწრაფებები და სხვა არაფერი.

გამონაკლისის სახით ერთი ავტორიტეტი უნდა მოვიშველიო: „აქა იხილეთ, კაცნო, თუ სიძვაზედ რამ იყოს: რა სათხოვარია,სიკუდილამდი – **ქრისტეს მცნობისა და ამ გვარის ფილასოფოსის კაცისაგან – მრუშება!** “

და კიდევ:

„აქ აჩენს – მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარი ძესო. **თუ ქალის მიჯნურობისათვის ეთქვას, – ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი მზღვარი ძეს!** მაგრამ უბნობს: მიჯნურობა სიძვის დარი არ არისო და დიდი სამძღვარი ძესო, და გეხვეწებათ: ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურავინ გახდიო, რომ იმაზე არ მითქვამსო“ და ა.შ., და ა.შ.

ეს ვახტანგ VI-ა, მეფე-პოეტი, დიდი მწიგნობარი, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური წესით გამომცემელი და კომენტატორი. ქვემოთ იგი თავს ვერ იკავებს და ნამდვილი რუსთველური სარკაზმით ამბობს: „ხამს მიჯნური ხანიერი; ეს გასინჯეთ: თუ ქალის მიჯნურობაზედ ეთქვას – ხანიერად რომ იმიჯნურონ, ქალი დაბერდება და კაცი. მერმე ბერის კაცისა და დედაბრის შეყრას რა ხელი ეყრება!“

ვფიქრობ, ყველაფერი ნათქვამია და იმაზე უკეთესადაც, ვიდრე მე შევძლებდი.

ერთს დავამატებდი მხოლოდ: **მიჯნური** (უფრო ზუსტად „მაჯნუნ“, რომელიც „ხელსა გვიქვიან არაბულითა ენითა“) კიდევ ერთი ტექნიკური ტერმინია, „სუფია“-ს აღმნიშვნელი!

ასეთი ტერმინი უამრავია. კონტექსტს გააჩნია: თუ ფრინველთა სამყაროში „მოვხვდით“, აქ **ოფოფს** უნდა მოველოდეთ (ბულბული – „ეგზალტირებული“ სუფიაა), ან – **ბუს;** ცხოველთა სამყაროდან, **ვეფხვს,** რომელზეც უკვე ვისაუბრეთ, **აქლემს, ყარყუმს** და ა.შ.; მცენარეებიდან სუფიზმის სიმბოლოებია: ა) **ფინიკის პალმის ხე** (სემიტებთან), ბ) **ვაზი** (სპარსეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის სამხრეთში), გ) **მანდრაგორის ბუჩქი** (ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში) და ა.შ. რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ვთქვათ, რომ ძველ-ებრაულად ფინიკის პალმის ხე არის **თამარ.**

საერთოდ, ძველად ახალშობილისათვის სახელის შერჩევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ათასნაირი გათვლა-გაანგარიშების საფუძველზე ახდენდნენ: აქ შემთხვევითობა თითქმის გამორიცხული იყო – სახელი რაღაც აზრის, მნიშვნელობის მატარებელი უნდა ყოფილიყო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

საქართველოში არაბთა შემოჭრასთან ერთად სუფიზმის ახალი ნაკადიც შემოვიდა (ჩვენს სამშობლოში ადრეც არსებობდა გარკვეული ტრადიცია, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკებ) და დამკვიდრდა არაბულ ენასთან ერთად. ქართველებმა მას საკმაოდ სწრაფად აუღეს ალღო (როგორც ეს არაერთხელ მომხდარა მანამდეც და მას შემდეგაც – როცა, ნებსით თუ უნებლიეთ, გვიხდებოდა ურთიერთობა ახალ, გარედან შემოტანილ რელიგიურ, ფილოსოფიურ, თუ იდეოლოგიურ მოძღვრებებთან. გავიხსენოთ, თუნდაც, რა სიმაღლეებს მიაღწიეს ჩვენმა თანამემამულეებმა სოციალ –დემოკრატიულ მოძრაობაში – მის როგორც მენშევიკურ, ისე ბოლშევიკურ მიმდინარეობებში) და, როდესაც საამისო აუცილებლობა შეიქნა, საკუთარ ინტერესებშიც გამოიყენეს იგი.

დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში სუფიზმის თეორია სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში იქნა აყვანილი.

გავიხსენოთ მხოლოდ უცილობელი და ისტორიული წყაროებით დადასტურებული ფაქტები:

ა) დავით IV ისევე დადიოდა მეჩეთსა და სინაგოგაში, როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში და ეს სულაც არ ყოფილა უბრალო პოპულიზმით ნაკარნახევი, იგი **სწავლობდა!**

ბ) სხვა დანიშნულების ობიექტებთან ერთად იგი უამრავ **ხანაგებსაც** აშენებდა (ხანაგა – ფუნდუკია, რუსულად **Постоялый двор**-ს რომ ეძახიან. სუფიური ტერმინოლოგიით კი **ხანაგა – სუფიათა სავანეს ნიშნავს**);

გ) სახელმწიფო მმართველობის აპარატში მან შემოიღო **მოძღვართ – მოძღვრის** თანამდებობა („სახელო“) და ამ თანამდებობაზე მყოფი პირი, როგორც ჩვენი ისტორიული მეცნიერება ერთხმად აღიარებს, პირველი კაცი იყო სახელმწიფოში – თვით მეფის შემდეგ, რა თქმა უნდა. არ უნდა დაგვაბნიოს ამ „სახელოს“ ქართულმა დასახელებამ. ეს ის პერიოდია, როდესაც პოლიტიკურად მომძლავრებულმა დავითმა უარი თქვა ყველა ბიზანტიურ ტიტულსა და თანამდებობაზე და საკუთარ მოხელეთა „სახელოებიც“ გადმოაქართულა: „მსახურთუხუცესი“, „მანდატურთუხუცესი“, „მეჯინიბეთუხუცესი“, „მელვინეთუხუცესი“ და ა.შ. „მოძღვართ-მოძღვარი“ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი და ზუსტი შესატყვისია არაბული „შეიხ-ალ-შეიხ“-ისა (უფრო ზუსტად, „შეიხ-ალ-შუიუხ“-ისა), რაც ასევე სუფიური კატეგორიაა და **უმაღლეს იერარქს** აღნიშნავს.

თვითონ „სახელო“ მოძღვართ-მოძღვრისა, ვფიქრობ, შეესაბამებოდა გვიანდელ „ეროვნებების (და რელიგიების) საქმეთა სახალხო კომისრის“ თანამდებობას, რომელიც ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველ მთავრობაში ეკავა კიდევ ერთ ქართველ სუფიას – **იოსებ ჯუღაშვილს.**

იყო თუ არა სტალინი სუფია, ამ კითხვაზე აბსოლუტურად სწორი პასუხის გაცემა, ალბათ, თვით სტალინს შეეძლო მხო-

ლოდ, ან კიდევ – ორიოდე მის თანამედროვეს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ტრადიციას, ზეპირ გადმოცემას ვენდოთ და კიდევ – საკუთარ ინტუიციას...

შეიძლება იცვამ-იხურავდე, როგორც სუფია; მოძრაობდე, როგორც სუფია; დაისწავლო პირობითი ნიშნები, მისალმებები, ფრაზები და ა.შ. და ისაუბრო, როგორც სუფიამ; მაგრამ ჭეშმარიტ ოსტატს – ნამდვილ სუფიას – ამ ზედაპირული წვრილმანებით, გარეგნული მიბაძვით შეცდომაში ვერ შეიყვანთ, ვერ შეაცდენ, რამეთუ **„ლომი – ჭანგთაგან შეიცნობის"..!**

იაკობ მოციქული გვასწავლის: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა – მკვდარ არს"-ო! ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილია ჩვენი შემთხვევისთვისაც: ბოლოსდაბოლოს, სწორედ საქმენი გვიჩვენებენ, ვისთან გვაქვს საქმე და სტალინს რომ საქმეები უკეთებია...

თუმცა, არსებობს კიდევ „არაპირდაპირი" (ვისთვის – როგორ) მინიშნებები, მაგალითად: მისი უკიდურესობამდე უბრალო, სადა ცხოვრების წესი, ასეთივე ჩაცმა-დახურვა, ძალზე თავისებური მეტყველებისა და წერის მანერა; ფანტასტიური შრომისუნარიანობა – თვით ძალზე ხანდაზმულ ასაკშიც კი (სუფიებს აქვთ ვარჯიშთა სპეციალური სისტემები, რომელთაგან ბევრი სწორედ ასეთი შრომისუნარიანობის გამომუშავებაზეა ორიენტირებული); უდიდესი ნებისყოფა, ჰიპნოზური და ტელეპატიური უნარი (რასაც არაერთი თვითმხილველი ადასტურებს); ამათი გამომუშავებაც შედის სუფიათა „მოსამზადებელ პროგრამაში"...

ცნობილია ასეთი ფაქტიც: როცა სტალინს ტვინში სისხლი ჩაექცა (?!) და სულთმობრძავი იწვა, მისი განკურნების მსურველნი, მრავალ პროფესიონალ და არაპროფესიონალ დასტაქრებთან ერთად, სუფია ჰაქიმებიც აღმოჩნდნენ. ისინი უმორჩილესად ითხოვდნენ, დაეშვათ „კაცობრიობის დიად შვილთან" და ლამის გარანტიასაც იძლეოდნენ, განვკურნავთო!

აქ, ერთი შეხედვით,არაფერია საკვირველი, თუ არა ერთი გარემოება: სუფია-ჰაქიმების ერთადერთი, მაგრამ უთუო, სიტყვაშეუბრუნებელი პირობა პაციენტთან ურთიერთობისას ის

არის, რომ ინიციატივა, თხოვნა განკურნებისა – უშუალოდ ავადმყოფისაგან უნდა მოდიოდეს; უკიდურეს შემთხვევაში (თუ თვითონ ავადმყოფი გონზე არაა) მისი ოჯახის წევრებისგან მაინც. აქ არანაირი „შეღავათები", „განსაკუთრებული შემთხვევები" არ არსებობს, ერთადერთი გამონაკლისის გარდა – როცა ავადმყოფიც სუფიაა.

არაა ეს არგუმენტი? ჩემთვის – არის!

და კიდევ ერთიც: გორის საოსტატო სემინარიაში თითქმის ერთსადაიმავე დროს სწავლობდნენ ყმაწვილები: იოსებ ჯუღაშვილი, შემდგომში XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი „გახსნილი" სუფია, „რუსული (?) მისტიციზმის ბურჯად" აღიარებული გიორგი გურჯიევი (ისიც – ჩვენი თანამემამულე) და, მოგვიანებით ვაჟა-ფშაველად ცნობილი, ჩვენი უდიდესი პოეტი-მისტიკოსი ლუკა რაზიკაშვილი...

სხვათაშორის, ასეთი დონის შეგირდების კონცენტრაცია, ერთსადაიმავე პერიოდში და ერთსადაიმავე ადგილას, მიუთითებს იქვე ძლიერი **მასწავლებლის** არსებობაზეც. აი, მისი ვინაობა კი, სამწუხაროდ, ნამდვილად უცნობია ჩემთვის.

მაგრამ ჩვენ – „პირველსა სიტყუასა ზედა მოვიდეთ"...

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ რუსთველი, თითქოს, აგრძელებს თავისი დროის ლიტერატურულ ტრადიციას და ემორჩილება არსებულ „შაბლონს" – პოემას იწყებს (პირველი და მეორე სტროფები) ღმერთისადმი მიმართვით. სინამდვილეში, პირველი სტროფი მაინც, „განმარტებაა" ღმერთის, როგორც ასეთისა: „რომელმან შექმნა სამყარო..., მისგან არს ყოვლი ხელმწიფე..." უფრო სწორად, აქ მოცემულია **ავტორისეული ხედვა, შეგრძნება, აღქმა ღმრთისა...**

აქვე, მეორე სტროფში, იგი „მიჯნურობის" **საკუთარ გაგებაზეც** ზოგადად უკვე მიგვანიშნებს (არ დაგვავიწყდეს ვახტანგ VI-ის კომენტარი!).

ამას ყველაფერს (ღმერთის „განმარტებას", ვედრებას მისადმი, მინიშნებას „მიჯნურობის" არსზე) ფანტასტიური ლაკონურობით ახერხებს – სულ ორად-ორ სტროფში! და აზროვნებისა და წერის მისი ეს მანერა – ერთად შერწყმული

უკიდურესი ლაკონურობა და სიცხადე – უკვე გარკვეულ აზრს გვიქმნის.

წესით, შემდეგ ავტორმა ხოტბა უნდა შეასხას ნაწარმოების „დამკვეთს“, ან „ადრესატს“, რომელსაც უძღვნის თავის ქმნილებას. საზოგადოდ, ეს შეიძლება იყოს მეფე, დედოფალი, სამეფო ოჯახის წევრი, დიდი ფეოდალი, ან რიგითი მოკვდავიც კი – მაგალითად, ვინმე შეძლებული ვაჭარი, რომელმაც მეცენატობა გაუწია მას, მაგრამ... არაფერი ამისი მსგავსიც კი, არავითარი ხოტბა და ქება-დიდება! მე-5 სტროფში (ზემოთ აღწერილი ლოგიკით, ეს სტროფი რიგით მე-3 უნდა იყოს, მაგრამ ამას ახლა არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) ავტორი ამბობს მხოლოდ, „მიბრძანეს“-ო „...თქმა ლექსებისა ტკბილისა“, ანუ მისთვის მართლაც „დაუკვეთიათ“ ნაწარმოების დაწერა და „დამკვეთი“ – ორი ან რამდენიმე პიროვნება ყოფილა (არა „მიბრძანა“, არამედ – „მიბრძანეს“!)...

შემდეგ ავტორმა უნდა მოხაზოს თემა,რომელსაც ეხება ნაწარმოები, ან – დამკვეთის სურვილზე უნდა მიანიშნოს. ჩვენს შემთხვევაში (ეს – აშკარაა და ამაზე, უკვე დიდი ხანია, აღარავინ დავობს) – ესაა „ქებანი“ და „შესხმა ხოტბისა შერისა“ თამარ მეფისა და მისი მეუღლის – მეფე დავით სოსლანის მიმართ.

მაგრამ, რეალურად... მე-3 სტროფში, სადაც მეფე-მზის – თამარის – „ლომზე“, ანუ დავით სოსლანზეა ლაპარაკი, ისეთი დაუფარავი ირონია გამოსჭვივის, რომ უარესი ძნელი წარმოსადგენია! „მას არა ვიცი, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?!“-ო, თითქოს ჩვენ გვეკითხება ავტორი და იქვე მიგვანიშნებს (ისევ და ისევ: „შეფარვით“ გვაწვეთებს გამოთქმულის ჭეშმარიტ აზრს, როგორც ეს „მიჯნურობის“ შესახებ მსჯელობისას მოიმოქმედა და კლავაც არაერთხელ იზამს ამას!) ამ ორჭოფობის მიზეზს:

„მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართლ მიშერისა!“

მართლაცდა, საოცარია: სად მეფე – რაინდი, თამარის „ლომი““, და სად – მისთვის ყანდის (შაქარყინულის, მარმელადის) მირთმევა! არ დაგვავიწყდეს – XII საუკუნეა; ქართულ

სამეფო კარზე ჯერაც ძლიერია არაბული კულტურის გავლენა; შენარჩუნებულია მრავალი ტრადიცია და შეხედულება. არაბთა აზრით კი, ვაჟკაცი საერთოდ არ მიირთმევს ტკბილეულს, „ვაჟკაცი“ და „ტკბილეული“ – საზოგადოდ ურთიერთ-შეუთავსებადი, უფრო მეტიც, ურთიერთ-გამომრიცხავი ცნებებია!

სავარაუდოა, რომ დავით სოსლანი ჩვენს ავტორზე (და, იქნებ, საკუთარ მეუღლეზეც!) ბევრად უმცროსია ასაკით, თითქმის ბავშვია!

კიდევ უფრო გაოცდებით მე-4 სტროფის („თამარს ვაქებდეთ...“) წაკითხვისას, თუკი ჩემს კიდევ ერთ მოსაზრებას მოისმენთ.

საქმე ის გახლავთ, რომ, რამდენადაც ვიცი, XII საუკუნეში ჩვენს დროში მიღებული პუნქტუაცია ჯერ არ არსებობდა, არ იხმარებოდა. ანუ: დაწერილის წაკითხვისას წამკითხავს შეეძლო, შეეცვალა **ინტონაცია** და, შესაბამისად, შეეცვალა წაკითხულის **აზრიც!**

თუ ჩვენც ანალოგიურად მოვიქცევით, ანუ ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დასმულ სასვენ ნიშნებს შევცვლით, – **ე.ი. შევცვლით ინტონაციას,** აი, რას მივიღებთ: „თამარს ვაქებდე(თ) მეფესა?!“ (მრავლობითის ნიშანი „თ“ აქ პრინციპულად არაფერს ცვლის). ამ ფრაზაში რაც გამოსჭვივის, უკვე ირონია აღარ ეთქმის! ეს – ვიღაცის (თუმცა, რაღა „ვიღაცის“ – „დამკვეთთა“!) თავხედობით გამოწვეული აღშფოთებაა, გულიდან ბრაზით ამოხეთქილი (პირადად მე – თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, რაღა თქმა უნდა – აქ, ამ კაცის რისხვით შემართული, მუშტად შეკრული მარჯვენაც წარმომიდგება თვალწინ).

თუმცა, შეიძლება „დამკვეთთა თავხედობა“ აქ არაფერ შუაში იყოს: შეიძლება თვით ის აზრი აღაშფოთებს ავტორს, რომ თამარის „ქების“ გამოთქმას ავალებენ, სწორედ მას ავალებენ!

აქვე, ამავე მე-4 სტროფის II, III და IV ტაეპებიდან ირკვევა, რომ რუსთველს უკვე გამოუთქვამს თამარის „ქებანი...არ ავად გამორჩეული“, თანაც ისე, რომ მთელი სული და გული ჩაუქსოვია ამ საქმეში; „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად – მე ნა რხეული“-ო, გვეუბნება ის. აქ საკუთარ თავზე, საკუთარ

გრძნობებზეა ლაპარაკი. შედეგიც შესაბამისი ყოფილა; „ვინცა ისმინოს – დაესვას ლახვარი გულსა ხეული“-ო, ბრძანებს დიდი პოეტი და აშკარაა: აქ ავტორის სიამაყე გამოსჭვივის, საკუთარი ნახელავით კმაყოფილი ავტორის სიამაყე.

მაშასადამე, რუსთველი, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდე უკვე ჰქონია გამოთქმული „არ ავად გამორჩეული“ქება თამარისა, ამ ახალ „დაკვეთას“(„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“) ძლიერ აღუშფოთებია („თამარს ვაქებდეთ მეფესა?!!“), მისგან თანხმობის მიღებასაც დიდი ძალისხმევა დასჭირვებია („გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“). ეს საკმაოდ ალოგიკური, წინააღმდეგობრივი გარემოება იმით შეიძლება აიხსნას, რომ ზემოაღნიშნულ ორ ფაქტს, ორ მოვლენას (პირველი „ქების“ გამოთქმასა და ახალი „ბრძანების“ მიღება) შორის რაღაც დრო – „ჟამი, ყოველისა შემაქცევარი“ უნდა იყოს გასული.

დროის ამ მონაკვეთში რაღაც ისეთია მომხდარი, რომ ჩვენი ავტორის დამოკიდებულება თამარ მეფის მიმართ დიამეტრალურადაა შეცვლილი! მან იცის, რომ ამის შესახებ „დამკვეთებმაც“ მშვენივრად უწყიან, ამასთან, მის ხასიათსაც კარგად იცნობენ და ეს არის სწორედ, როგორც მე ვვარაუდობ, მისი აღშფოთებისა და ბორგვის მიზეზი: როგორ თუ, ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ თამარის ქებას ითხოვენ ჩემგანო!

საინტერესოა, რა უნდა მომხდარიყო, რამაც პოეტს ასე ააყრევინა გული თავის მბრძანებელზე? ან ვინ არის იგი, ასეთი ტონით ლაპარაკის უფლებას რომ აძლევს საკუთარ თავს?

ისევ და ისევ თვითონ პოეტი გვპასუხობს იმავე მე-4 სტროფში:

„...სისხლისა ცრემლდათხეული!!!“

ე.ი. მისთვის **სისხლის ცრემლები** დაუდენიათ! რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ეს „სისხლის ცრემლები“ სპარსული პოეზიიდან გადმოღებულ, ძლიერი ემოციების გამომხატველ მეტაფორადაა მიჩნეული. არც იმაზე უნდა დავხუჭოთ თვალი, რომ „ტირილი“, „ცრემლთა ღვრა“ სუფიათა „საიდუმ-

ლო ენაზეც“ ძლიერ ემოციურ განცდებზე, უზენაესის გამძაფრებულ მისტიურ წვდომაზე მიუთითებს; მაგრამ, ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, განვასხვავოთ, სადაა წმინდა სუფიური პლასტი და სად – რეალისტურ-ისტორიული. ჩვენ ახლა სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ, სწორედ რეალისტურ-ისტორიულ პლასტზე გვაქვს აქ საუბარი.

დავუშვათ, „სისხლის ცრემლები“ მართლაც მეტაფორაა (იგი, მოგვიანებით, სხვა ქართველმა პოეტებმაც არაერთხელ გამოიყენეს; ვთქვათ, აკაკის „სისხლის ცრემლები ვლვარეო“), მაგრამ... როგორ გავიგოთ მაშინ მე-10 სტროფი?

„**თვალთა** მისგან **უნათლოთა** ენატრამცა ახლად ჩენა!“

და იქვე:

„მიაჯეთ ვინ – **ხორცთა დაწვა** კმარის! მისცეს სულთა ლხენა!“
(პუნქტუაცია აქაც შეცვლილია).

„**უნათლო თვალნი**“ და „**ხორცთა დაწვაც**“ – მეტაფორებად მივიჩნიოთ? აქ შეიძლება დადებითი პასუხიც ვიგულისხმოთ (რაკი ასე ფიქრობენ აღიარებული ავტორიტეტები!), შეიძლება – არა!

მიმაჩნია, მეტაფორა აქ არაფერ შუაშია: **ჩვენი პოეტი** – ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის“ წერისას მაინც – **ბრმაა, უფრო სწორედ, დაბრმავებულია – მისთვის თვალები ამოუშანთავთ!**

აქ ბუნებრივი იქნება მკითხველის გაკვირვება – თამარ მეფე ხომ ჩვენს ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, თავისი ჰუმანურობითაა ცნობილი! გავიხსენოთ, რას წერს ბასილი ეზოსმოძღვარი: „...დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი... თვით არცა ვის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა მიეხადა თანანადები, არცავინ ბრძანებითა მისითა ასომოკუეთილ იქმნა და **არცა სიბრმითა დაისაჯა...**“!

...და შემდეგ:

– „...თვინიერ **გუზან**, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა

მალვით... ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა და **დავით მეფისა** წინაშე მოიყვანეს.

ხოლო მან, იცოდა (რა) დიდი მოწყალება თამარისი, ამისთუის მისსა შეკითხვამდის **თვალნი დასწუნა"!**

თუკი ჩვენი ავტორი მართლაც ეს გუზანია, რომელიც დავით სოსლანს თამარ მეფის უკითხავად თვალების დათხრით დაუსჯია, მაშინ სრულიად გასაგები ხდება მისი აშკარა ანტიპათია „თამარის ლომის" მიმართ, რაც საკმაოდ არაორაზროვანი ირონიით გამოხატა, „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა"-ო, როცა ბრძანა.

მაგრამ... რამდენად სერიოზული იქნება პიროვნების იდენტიფიცირების მცდელობა მხოლოდ ერთ მიმანიშნებელ ფაქტორზე დაყრდნობით? რამდენადაც ცნობილია, ამისათვის, სულ ცოტა, სამი მონაცემი მაინცაა საჭირო, მაგალითად (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროში მაინც): სახელი, მამის სახელი, გვარი; ან – გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა; ან – სახელი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ. და ა.შ.... მხოლოდ ერთი „ფაქტორი" (სიბრმავე, „სიბრმითა დასჯა"), ისიც „შეფარვით" მინიშნებული, ნამდვილად არ არის საკმარისი...

„ვეფხისტყაოსნის" ავტორი ითვალისწინებს იმას, რომ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საკუთარი პიროვნების შესახებ, შესაძლებელია, საკმარისი არ აღმოჩნდეს, და ქვემოთ, მე-8 სტროფში, აზუსტებს, თუ რა „დანაშაულისათვის" არის იგი „სიბრმითა დასჯილი":

„მე რუსთ ველი! – ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი..."

(და არა „მე, რუსთველი, ხელობითა...")

„მე რუსთ ველი" – ე.ი. „მე რუსებს ველოდები"-ო. თუმცა, დაკონკრეტებაა საჭირო: ავტორი საზოგადოდ „რუსთ" კი არ ელის, არამედ – სწორედ „იმ" რუსს!

„რუსი იგი ძნელბედი და სუე-უსუეო", „იგივე რუსი... კაენისაებრ მკვლელი არა ძმისა, არამედ თავისა თვისისა..." ეს თამარის ისტორიკოსის სიტყვები გახლავთ.

ამ პიროვნებას ვერანაირად ვერ ავუვლით გვერდს, რადგან

მან და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა (შეიძლება, უნებლიეთ, მაგრამ მაინც!) ფატალური გავლენა მოახდინეს არა მარტო თამარისა და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის პირად ცხოვრებაზე, არამედ საქართველოს ისტორიულ ბედ-ილბალზეც...

✧ ✧ ✧

ამრიგად, უკვე გვაქვს ავტორის ვინაობის მიმანიშნებელი ორი ფაქტორი: პირველი – ეს პიროვნება „სიბრმით“ ყოფილა დასჯილი, და მეორე – იგი დაუსჯიათ არა სხვა დროს და არა სხვა რამ დანაშაულისათვის, არამედ სწორედ თამარის მეფობის ჟამს მისი პირველი ქმრის, გიორგი ანდრიას ძისათვის თანადგომის გაწევის, მისი ბოლომდე ერთგულებისთვის. ასეთი კაცი (ისევ და ისევ) ერთადერთია: **გუზან...**

და თუმცა ეს ორი „ფაქტორი“ უკვე საკმაო სიზუსტით მიანიშნებს მის პიროვნებაზე, მაგრამ, პრინციპში, არც ესაა საკმარისი, რადგან არაა დაცული „წმინდა ტრიადის პრინციპი“, ეს თავისებური „ოქროს კვეთის წესი“ სუფიზმში...

აღმოჩნდა, რომ სიტყვა **„გუზანი“** მნიშვნელობით იგივეა, რაც სომხური **„გუსანი“**(აქ ეს სიტყვა სპარსულ-არაბულიდან უნდა იყოს შესული), ფრანგული **„მენესტრელი“**, ესპანურ-იტალიური **„ტრუბადური“** და ინგლისური **„ბარდი“** და ნიშნავს **პოეტ-მომღერალს, სახალხო მთქმელს** (უფრო ხშირად – მოხეტიალეს), რომელიც საკუთარი აკომპანიმენტის თანხლებით მღეროდა საკუთარსავე პოეტურ ქმნილებებს: ჰიმნებს, ბალადებს, საგებს და ა.შ. და ა.შ.

ერთსაც დავამატებდი – სწორედ ეს სიტყვა უნდა იყოს ეტიმოლოგიური არქეტიპი სიტყვისა „მგოსანი“: **„გუზანი“ → „გუსანი“ → „მგოსანი“...**

და „წმინდა სამკუთხედიც“ შეიკრა, ხოლო მის ცენტრში აღმოჩნდა კაცი, ყრმობიდანვე პოეტური ნიჭით გამორჩეული, რისთვისაც ზედსახელად (გინდა, მეტსახელად) უწოდეს **„გუზანი“** (იგივე **„მგოსანი“**)... მოგვიანებით – დამსახურებისამებრ აღზევებული მეფეთა მიერ, ერთგული და ნაერთგულარი... და, ბოლოს: გიორგი რუსის რევანშისტულ პუტჩში მონაწილეობისა

და ბოლომდე მისი ერთგულებისთვის – შერისხული, შეპყრობილი და თვალებდათხრილი...

უჩინმაჩინი „რუსთველისაგან“ განსხვავებით, რომელსაც XII-XIII საუკუნეების მემატიანეები კატეგორიულად „არ იცნობენ“, გუზანი იმავე პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთობ პოპულარული პიროვნებაა. თუმცაღა, მისი პოპულარობა „იუდას პოპულარობა“ გახლავთ! მას მოიხსენიებს (და, როგორც წესი, ნეგატიურ კონტექსტში) სამივე ქართველი მემატიანე, რომელიც „საქართველოს ოქროს ხანას“ აღწერს: თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), ბასილი ეზოსმოძღვარი („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“) და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე („ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი“). ამ წყაროებიდან „ისტორიანი და აზმანი...“ გვაწვდის ყველაზე დიდი მოცულობის მასალას, რომელიც **გუზანის მოხსენიებით** ხუთ ეპიზოდს შეიცავს; დანარჩენი ორი კი მხოლოდ თითო ასეთი ეპიზოდის შემცველია. შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად, კრიტიკულად გავაანალიზოთ ინფორმაცია, რომელსაც ეს წყაროები გვაწვდიან.

დავიწყოთ ბოლოდან!

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა ყველაზე ლაკონურია – იგი სულ ორიოდე ფრაზით იფარგლება: „მისსა (თამარის) სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ განპატიჟებულა, თვინიერ **გუზან ტაოსკარელისაგან** კიდე: მას თუალნი დასწუნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს“.

ამ მოკლე ცნობაში **ოთხი მომენტი** იქცევს ყურადღებას:

პირველი – გუზანი მოხსენიებულია **ტაოსკარელად**. ვფიქრობ, გვაქვს უფლება ვივარაუდოთ, რომ, როგორც ჩანს, ისტორიკოსს უსარგებლია რაღაც განსხვავებული, ადრეული პერიოდის დოკუმენტით, სადაც ჩვენი გმირი ახალგაზრდობის დროინდელი ტიტულით იყო მოხსენიებული – ალბათ, ჯერ როგორც მხოლოდ სასეფეწულო მამულის, ციხე-ქალაქ ტაოსკარის მფლობელი. და, თუ ეს ასეა, მაშინ ისიც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ერისთავთერ-

ისთავის თანამდებობა (რომ იგი სწორედ ამ „სახელოს“ მფლობელი იყო, ქვემოთ ირკვევა) მას შემთხვევით არ ჩავარდნია ხელთ: იგი იმ ფეოდალური სახლის, იმ გვარის ერთ-ერთი წარჩინებული წევრთაგანი გამოდის, რომელსაც ეს თანამდებობა მემკვიდრეობით ეკუთვნოდა;

მეორე – გუზანი დაუპატიმრებიათ არა საქართველოში, არამედ – **„გალმა გასული სპარსეთს“**, ანუ: ამ კაცის დაპატიმრება-დასჯა **არ ყოფილა პროვოცირებული მისი იმჟამინდელი საქმიანობით**, არამედ ჩაფიქრებული და განხორციელებული იყო, როგორც **სპეცოპერაცია საშიში სახელმწიფო დამნაშავის შემდგომი ქმედებების აღკვეთის მიზნით** – ანუ, უბრალოდ, როგორც **შურისძიების აქცია** უკანასკნელის მიმართ;

მესამე – გუზანი შეუპყრია ვინმე **ზაქარია ასპანის ძეს**,

და

მეოთხე – დაპატიმრებული გუზანი **„დარბაზისათვის“** (ანუ, სახელმწიფო საბჭოსთვის) **გადაუციათ.**

როგორც ვხედავთ, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე საერთოდ თავს იკავებს გუზანის „დანაშაულის“ აღწერა-შეფასებისაგან (თუმცა ეს საკმაოდ მოულოდნელად და გაუგებრადაც კი გამოიყურება თუნდაც იმიტომ, რომ ეს პიროვნება უკვე ყველასათვის არის ცნობილი, როგორც **ერთადერთი დასჯილი დიდგვაროვანი თამარის მეფობის დროს**), ავტორი მხოლოდ მისი დაპატიმრებისა და დასჯის ფაქტების კონსტატაციით კმაყოფილდება...

ამ ამბების განსხვავებულ სურათს ხატავს **ბასილი ეზოსმოძღვარი: „ესე** (გუზანი) **შეიპყრეს მთიბავთა თივისათა** და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან, იცოდა (რა) დიდი მოწყალება თამარისი, ამისათუის მისსა შეკითხვამდის თვალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტეანეთასა“.

როგორც ვხედავთ, აქ არსადაა ნახსენები არც **ზაქარია ასპანის ძე**, როგორც გუზანის „ამყვანი“ (იგი შეუპყრიათ ვიღაც „მთიბავთა თივისათა“), არც – **დარბაზი**, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა – და, მათ შორის, გუზანის „საქმის“ – შემსწავლელი, სამართლის გამჩენი და განაჩე-

ნის გამომტანი ორგანო. პირიქით, **ბასილი ხაზს უსვამს** იმას, **რომ არავითარი სასამართლო და საქმის განხილვა არ ყოფილა.** დავით მეფეს, რომლისთვისაც გუზანი მიუგვრიათ, კარგად სცოდნია რა თავისი მეუღლის მოწყალე ხასიათი (და, იქნებ, დარბაზის წევრთა ფარული სიმპათიებიც გუზანის მიმართ!), „მისსა შეკითხვამდის" დაუსჯია იგი თვალების დაწვით. ეს გარემოება მაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში დავითს მარტო „სახელმწიფო ინტერესები" არ ამოძრავებდა, მას საკუთარი „ანგარიშის" გასწორება სწადდა გუზანთან და ეს შემთხვევა (თუკი ეს – შემთხვევა იყო!) ხელიდან არ გაუშვა.

ბასილის, როგორც თამარის აპოლოგეტსა და მისი პოლიტიკის აგიტატორ-პროპაგანდისტს, არ შეუძლია (ან, იქნებ, უფლებაც არა აქვს!), ფაქტების უბრალო კონსტატაციით დაკმაყოფილდეს და გუზანის „დანაშაულს" ასე აღწერს: „გუზან, ღირსი სიკუდილისა... ორგულებით განდგა და **კოლას სადმე მთათა შინა** ავაზაკობდა მალვით". როგორც ვხედავთ, ჩვენი გმირი აქ ყოველგვარი ტიტულატურის გარეშე მოიხსენიება, როგორც ერთი ვინმე ჩვეულებრივ ავაზაკთაგანი და ამას ხაზიც ესმება: **იგი, – „ავაზაკობდა მალვით"**. ბასილი ამბობს, რომ გუზანი არის „ღირსი სიკუდილისა", რადგან ის, თურმე, „ორგულებით განდგა". მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს „განდგომა", ან,საერთოდ, ვინ არის, რა კაცია ეს „გუზან, ღირსი სიკუდილისა", ამაზე ბასილი სიტყვასაც არ ძრავს. ალბათ,იგულისხმება, რომ მისმა თანამედროვეებმა თვითონაც მშვენივრად უწყიან გუზანის ვინაობა და „საქმენი საგმირონი", მომდევნო თაობებმა, შთამომავლობამ კი – არც არის საჭირო, რომ იცოდეს!

...გაუგებარია, აგრეთვე, რა იგულისხმება ბასილის სიტყვებში „ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტეანეთა" (თუ რატომაა გაუგებარი, ამის შესახებ – ქვემოთ...).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბასილი ეზოსმოძღვრის სახით ჩვენ საქმე გვაქვს... გუზანის ფარულ გულშემატკივართან. ერთი მხრივ, იგი მოვალეა (ან, იქნებ, სულაც – იძულებული!), საჯაროდ დაგმოს გუზანი და გაემიჯნოს მას, როგორც „სახელმწიფო დამნაშავეს", მეო-

რე მხრივ კი – ჯერ შეფარვით (აქაც და ისევ – შეფარვით!) მიგვანიშნებს სიტუაციის ალოგიკურობას (გუზანი, როგორც შემდეგ შევიტყობთ, ტაოს ერისთავთ-ერისთავი, კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი, რატომღაც „კოლას სადმე“ – ე.ი. ფაქტობრივად, **საკუთარ ტერიტორიაზე,** – „...მთათა შინა **ავაზაკობდა** მალვით“!), შემდეგ კი პირდაპირ, აშკარად გვეუბნება, რომ მისთვის, ყოველგვარი გამოძიება-გასამართლების გარეშე, დაუთხრია თვალები დავით სოსლანს – ვითომდა, იმის შიშით, რომ თამარს, თავისი მოწყალე ხასიათის გამო, დაუსჯელი არ დაეტოვებინა იგი, „ღირსი სიკუდილისა“. და თუკი ჩვენი ეს უკანასკნელი ვარაუდიც სწორია, მით უფრო საინტერესო და აუცილებელიც კი ხდება, ბოლომდე ჩავწვდეთ გუზან ტაოელის „დანაშაულის“ არსს, მისი „განდგომის“ მიზეზსა და მიზანს, რადგან ყოველივე ამან, შესაძლოა, ბასილი ეზოსმოძღვრის ვინაობასაც მოჰფინოს ნათელი...(!)

„ისტორიანი და აზმანი...“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ხუთ** ისეთ **ეპიზოდს** შეიცავს, სადაც გუზანია მოხსენიებული, მაგრამ მათგან ერთი (რიგით V), ფაქტობრივად, ჩვენთვის საინტერესო არავითარ ინფორმაციას არ იძლევა (აქ თამარის გულმოწყალებაზეა ლაპარაკი; ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე შეწყალებულსა და „მსუბუქად“დასჯილს ჩამოთვლის მემატიანე და მათ შორის მოიხსენიებს გუზანსაც). მეორე (რიგით III ეპიზოდი) – მხოლოდ გიორგი რუსის რევანშისტულ „პუტჩში“ გუზანის განსაკუთრებულ როლზე მიანიშნებს, ისიც არაპირდაპირ: „პუტჩისტთა“ თავშეყრის ადგილი სწორედ გუზანის რეზიდენცია ყოფილა (ვარდან დადიანმაო „გაგზავნა ლაშქარნი ქუეყნისანი და მივიდეს გუზანისად. მუნით წარმოვიდა რუსი და... მივიდეს გეგუთს“). სამაგიეროდ, დანარჩენი **სამი ეპიზოდი** (რიგით I, II და IV ეპიზოდები) თითქმის ამომწურავ ინფორმაციას გვაძლევს გუზანის პიროვნებაზე, საკუთრივ მის და მისი ოჯახის „პუტჩის“ შემდგომ ბედზე...

კერძოდ, „პუტჩის“ ჩაშლის შემდეგ, **„... გუზან, პირველთგანვე წარმწყმედელი თავისა, აწცა გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხვათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანა-**

სა შაჰარმენისასა, და სამძივარი სხუათა აზნაურისშვილებითა, რომელთა თანა იყო მეღვინეთუხუცესი სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა, და გავიდეს მთასა კოლისასა. მოეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი და ძინელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი. და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის შვილისა და შაჰარმენის ლაშქრითა მისვლა გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად და ციხეთა შინა თურქთა შეყენებად. დალაცა თუ ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტისა დროშისანი და ესენი – მცირენი, და მხსენებელთა ქრისტეს სჯულისათა და თამარის ბედისა და სიმართლისათა, შებმა ჰყვეს და სიდიდითა მათითა და სიკეთითა დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს. ბოლოდ, მათთა გამქცეველთა და ამომწყუედელთა, ხელთამყრელთა გუზანის ცოლ-შვილთა, თანაშემოქცეულთა აიხუნეს ციხენი და სიმაგრენი...“ (რიგით IV ეპიზოდი).

„გავშიფროთ“ ეს ინფორმაცია: „პუტჩის“ ჩაშლა-დამარცხების შემდეგ გუზანს, თითქოსდა, განუზრახავს ტაოსკარის, ვაშლოვანისა და სხვა მრავალი ციხის გადაცემა შაჰარმენისათვის, რისთვისაც წასულა ამ უკანასკნელთან ერთგული აზნაურებისა და **უფროსი ვაჟიშვილის** („სეფე-შვილი კლარჯეთისა და შავშეთისა“) თანხლებით, რომელსაც ამ დროისთვის უკვე სჭერია სამეფო კარის **მეღვინეთუხუცესის** საპატიო თანამდებობა...

შემდეგ ამ ეპიზოდს **წყვეტილობის** აშკარა ნიშნები აქვს: გუზანისა და მის თანმხლებ პირთა შაჰარმენთან „გადასვლის“ მონაკვეთზე სრულიად ულოგიკოდ, ყოველგვარი „გადასვლის“ გარეშე არის მიბმული („გადაბმულიც“ კი არ ეთქმის!) მისი ვაჟისა და შაჰარმენის დიდი ჯარითურთ უკან შემოქცევის მონაკვეთი – როგორც მემატიანე თვლის, „გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად“ (რომელთა თან წაყვანა მამა-შვილს, როგორც ჩანს, ვერ მოუსწრია) და „ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“ (?!)...

... ასეა თუ ისე, საქართველოს საზღვარზე გადმოსულ თორმეტათასიან ჯარში („პატრონნი თორმეტისა დროშისანი“ ყოფილან) თვითონ გუზანი უკვე აღარ ჩანს: ფიგურირებს მხ-

ოლოდ მისი ვაჟი – „სეფე-შვილი კლარჯეთისა და შავშეთისა“ – მელვინეთუხუცესი – და, შესაძლებელია, შაჰ-არმენიც, საკუთარი პერსონით...

აი, გადმოკვეთეს მათ საქართველოს საზღვარი და „გავიდეს მთასა კოლისასა“. აქ კი საქმე მათთვის მოულოდნელად დატრიალებულა: „მიეგებნეს წინა ზაქარია ფანასკერტელი (სწორედ ეს „ზაქარია ფანასკერტელი“ უნდა იყოს „ზაქარია ასპანის ძე“, რომელსაც ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე იხსენიებს) და ძინიელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან შეწყალებულნი“. რაღაც მანქანებით (?!) ისინი მაშინვე („შეყრასავე თანა“!) მიმხვდარან (როგორ, რანაირად?), რომ ეს ხალხი მოდიოდა არა მარტო „გუზანის ცოლისა და შვილისა წარსხმად“, არამედ, აგრეთვე, „ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“. მიმხვდარან და უკანაც აღარ დაუხევიათ: მიუხედავად იმისა, რომ, რიცხობრივი სიმცირის გამო, „დიდად დაჭირვებული ომი გარდაიხადეს“, მაინც – „ქრისტეს სჯულისა და თამარის ბედისა და სიმართლისათა“ წყალობით – უკუაქციეს მოწინააღმდეგე, ხელთ იგდეს გუზანის ცოლ-შვილი, ხოლო უკან დაბრუნებულებმა აიღეს „ციხენი და სიმაგრენი“...

ისევე, როგორც სხვა მრავალი მომენტი, ეს ეპიზოდიც ჩემში გარკვეულ ეჭვს აღძრავს.

ავტორი ამბობს, რომ გუზანი არის „გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხვათა ციხეთა მრავალთა“. მაგრამ, რაში მდგომარეობს ეს „გატანა“? აკი, ორიოდე ფრაზის შემდეგ თვითონვე აღიარებს, რომ, გუზანის ვაჟთან ერთად, შაჰარმენი მოდიოდა „ციხეთა შინა თურქთა შეყენებად“, ე.ი. იმ მომენტისათვის, როცა შაჰარმენისა და ფანასკერტელის რაზმები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ტაოსკარიც, ვაშლოვანიცა და სხვა ციხეებიც ჯერ ისევ ქართულ გარნიზონებს ეკავათ! პრობლემა იმაში თუ მდგომარეობდა მხოლოდ, რომ, როგორცა ჩანს, ეს გარნიზონები თავისი პატრონის – გუზანის მიმართ ინარჩუნებდნენ ერთგულებას...

და კიდევ: თუ გუზანს, შაჰარმენის ჯარის მოყვანამდე, მხოლოდ განზრახული ჰქონდა ასეთი რამის ჩადენა (არადა, ასე

გამოდის!), ვინ აუწყა ამის შესახებ ჩვენს მეისტორიეს? ან ზაქარია ფანასკერტელმა და მისმა თანმხლებმა პირებმა როგორ შეძლეს ასე, თვალის ერთი შევლებით, მომხდურთა „ავი ზრახვების“ განჭვრეტა?

საეჭვოა, ზაქარია ფანასკერტელსა და მის ხალხს იმ დღეს „დიდად დაჭირვებული ომი“ გადაეხადათ – მითუმეტეს, რომ ამ „აშკარად უთანასწორო ბრძოლაში“ მათ დანაკარგებიც კი არა ჰქონიათ (წინააღმდეგ შემთხვევაში, არათუ მათი მოხსენიება არავის დაავიწყდებოდა, არამედ მონაცემების „გაბერვასაც“ არ მოერიდებოდნენ)!

ჩემი ვარაუდით საქმე ამგვარად იყო:

გუზანსა და მის უფროს ვაჟს ნაჩქარევად მოუხდათ საქართველოს დატოვება (ამ აჩქარების მიზეზი ათასნაირი შეიძლებოდა ყოფილიყო), ოჯახის დანარჩენი წევრები კი სამშობლოში დარჩენილან. ზაქარია ფანასკერტელი, რომელსაც, შეიძლება, დავალებული ჰქონდა „გუზანის საქმის მოგვარება“, (მაგრამ ისიც სრულიად შესაძლებელია, რომ მას საკუთარი ინიციატივით ემოქმედა. კარიერისტები და მაამებლები ყველა დროში უხვად არიან!), მაშინვე მიხვდებოდა, რომ მამა-შვილი დიდხანს არ დატოვებდა უყურადღებოდ საკუთარ ოჯახს. ამიტომ მან, ვფიქრობ, უმალვე ხელთ იგდო და მძევლად აიყვანა ეს უმწეო ადამიანები (ქალი და მცირეწლოვანი ბავშვები), ხოლო, მოგვიანებით, შეიარაღებულ რაზმთან ერთად დახვდა რა კოლას მთასთან საზღვარზე გადმოსულ მეღვინეთუხუცესს (თვითონ გუზანი, ვიმეორებ, ამ ისტორიაში არსად ჩანს), მის დასაშანტაჟებლად გამოიყენა ისინი, რის შედეგადაც გუზანის ძე უომრად (ან თითქმის უომრად) გაბრუნდა უკან.

არა მგონია, მხოლოდ მომხდურის უკუქცევა ყოფილიყო ზაქარია ასპანის ძის მიზანი; იგი, ალბათ, იმედოვნებდა, რომ ქალისა და ბავშვების (ანუ გუზანის ცოლ-შვილის) გათავისუფლებისა და ხელშეუხებლობის გარანტიის სანაცვლოდ, გუზანი და მეღვინეთუხუცესი ნებაყოფლობით ჩაბარდებოდნენ მას. მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა: გუზანი აქ საერთოდ არ აღმოჩნდა, მისი ვაჟი კი ან არ ენდო ფანასკერტელის სიტყვას,

ან თვითონ ფანასკერტელმა აღარ ცნო საჭიროდ თავისი გეგმის განხორციელება, რადგან მას, პირველ რიგში, მამა (გუზანი) სჭირდებოდა და არა შვილი (მელვინეთუხუცესი).

მართალია, ეს გეგმა ვერ განახორციელა, მაგრამ ზაქარია ასპანის ძეს ის მაინც მოუხერხებია, რომ, „მძიმე ომგადახდილსა“ და უკუშემოქცეულს, აუღია „ციხენი და სიმაგრენი“ – ალბათ, იმავე მეთოდის (შანტაჟის) გამოყენების გზით, ხოლო გუზანის ერთგული (ცხადია, ქართული) გარნიზონები თავისი ხალხით შეუცვლია...

რა თქმა უნდა, გუზანი არც ამის შემდეგ აიღებდა ხელს ცოლ-შვილის განთავისუფლების მცდელობაზე: რაკიღა მიხვდა, რომ დიდი ძალებით საქართველოს საზღვარზე შეუმჩნევლად ვერ გადმოვიდოდა, იგი, როგორც ჩანს, მარტო (ან რამდენიმე კაცის თანხლებით) დაბრუნებულა და, ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებით, **„კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით“**, ანუ ცდილობდა, თავისი ცოლ-შვილის ადგილ-სამყოფელი დაედგინა და როგორმე ტყვეობიდან გამოეხსნა ისინი.

რითიც დამთავრდა მისი ეს მცდელობა, ჩვენ უკვე ვიცით...

ზემოთ უკვე ორჯერ მომიხდა იმის აღნიშვნა, რომ გუზანი ვიღაც უბრალო შარაგზის ყაჩაღი და ავაზაკი კი არ ყოფილა, როგორც შეიძლება მოეჩვენოს ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტების წამკითხავს, არამედ ტაოს ერისთავთ–ერისთავი და კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი გახლდათ. ვეყრდნობოდი სწორედ „ისტორიანი და აზმანი“-ს იმ ცნობას (რიგით II ეპიზოდიდან), რომელიც ახლა აქ სიტყვასიტყვით მომყავს: ბიზანტიიდან შემოქცეულ გიორგი რუსს **„პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა“.**

მკითხველმა ბოლომდე და სრულად რომ გაიცნობიეროს ჩვენი გმირის სოციალური წარმოშობა და მდგომარეობა, მისი ადგილი სახელმწიფო იერარქიაში, ორიოდე სიტყვით შევახსენებ იმას, რაც სადღეისოდ კარგადაა ცნობილი ისტორიული მეცნიერებისთვის და არავითარ ეჭვს არ იწვევს.

კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის აზრით, **„საქართველოში სამე-**

ფოს მემკვიდრედ, მისი სახელმწიფოებრივი უზენაესი უფლების პატრონად, მარტო სამეფო სახლი კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთა მოწინავე წრეც, რომლის წევრებსაც ეწოდებოდათ „მკუიდრნი ქუეყნისანი“, ან „მკუიდრნი სამეფოსანი“ და რომელნიც, აგრეთვე, სახელმწიფოებრივი დიდმნიშვნელოვანი საქმეების განგებაში მთავარ მონაწილედ მოჩანან.“

ამ „მცხოვრებთა მოწინავე წრეს“, უპირველეს ყოვლისა, ერისთავთ-ერისთავები შეადგენდნენ.

ივ. ჯავახიშვილისავე ცნობით, „გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროს საქართველოში ერისთავთერისთავები იყვნენ: სვანთა ერისთავთერისთავი, რაჭის ერისთავი, ცხუმისა, ოდიშისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა და სამცხისა.“

და შემდეგ:

„საერისთერისთავოთა ანუ სამთავროთაგან ყველაზე უფრო მეტი ხარისხი ეპყრათ და უაღრესად საპატიოდ ისეთი ადგილები ითვლებოდნენ, რომელნიც წინათ მეფეთა საჯდომად და სამეფოებად იყვნენ.

ის ხელისუფალი, რომელსაც ამგვარი სამთავროს მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული, იყო „მჯდომი მეფეთა ადგილსა“, „მეფეთა ადგილსა ზედა“ დადგენილად ირიცხებოდა და ეს კი საქვეყნოდ გამგე ხელისუფალთათვის, რასაკვირველია, უაღრესი პატივისცემა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც(!).

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში მხოლოდ ორი(!) ამგვარი „მეფეთა ადგილსა მჯდომი“-ა დასახელებული: ერთი იყო „გუზანი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა“, რომელიც საქართველოს მბრძანებელს „ძუელთა მეფეთა ტაოელთა... ადგილსა შეეწყალა“..., მეორეს კიდევ ზაქარია მხარგრძელს იხსენიებს ქართველი ისტორიკოსი, „მჯდომსა სომეხთა მეფესა ადგილსა“...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დიდი მეცნიერის აზრით, „თუმცა სხვები მოხსენიებულნი არ არიან, მაგრამ საფიქრებელია, რომ სრულიად საქართველოს ყველა იმ საერისთერისთაოების ადგილებიც, რომლებიც წინათ, გაერთიანებამდე, დამოუკიდებელ სამეფოებად ითვლებოდნენ, როგორც, მაგ., კახ-

თა და რანთა სამეფო და სხვა, განსაკუთრებით საპატიო სახელი-სუფლოდ იყვნენ ცნობილნი და ამ სახელთა მქონელნიც „მეფეთა ადგილსა მჯდომად" იყვნენ ცნობილნი".

ასეა თუ ისე, უდავოა, რომ **გუზან ტაოელი – ტაოს ერისთავთ-ერისთავი, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა,** ნამდვილად არის ერთ-ერთი განსაკუთრებით პრივილეგირებული ერისთავთერისთავთაგანი, რადგანაც იგი **„მეფეთა ადგილსა მჯდომი"** გახლავთ, თანაც არა სხვა რომელიმე მეფეთა, არამედ **„მეფეთა ტაოელთა დიდებულთა"**, ანუ მმართველი დინასტიის – ბაგრატიონთა – წინაპრების **„ადგილსა მჯდომი"** ანუ: **ის არის უზენაესი სამოქალაქო, სასამართლო და სამხედრო ხელისუფალი მისდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე** (ბაგრატიონთა მამაპაპეულ სამკვიდრო მამულზე), რომელიც, ფაქტობრივად, მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავს. „რუსთველისავე" სიტყვებით რომ ვთქვათ, **„სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა"!**

მაგრამ დაგვრჩა კიდევ ერთი ეპიზოდი – რიგით I. აი ისიც: თამარისა და გიორგი რუსის შეუღლებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილან **„კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისანი, ცხენოსანნი და ქუეითნი, და აივსო შავშეთისა და კლარჯეთისა ქუეყანა. აქათ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მისი ქუეყანისა ლაშქარნი, და ბოცო და ვინცაღა იახლა, მიესწრნეს მესხნი და მარბიელ-გაშუებულთა შეებნეს მუნვე. ბედმან და სუემან თამარისმან სძლია, გააქცივნეს მუნცა და დახოცნეს. და მუნითცა მოიღეს ურიცხუი კაცი და ცხენი წინაშე მეფისა ღმრთივ-გვირგვინოსნისა და დღითი-დღე ალმატებულისა და წარმატებულისა... "**

ირკვევა: ტაოს ერისთავთერისთავი სამხედრო საქმეშიც დიდად განსწავლული სარდალი და ძლიერი მეომარი ყოფილა. თუმცა მემატიანე აქაც, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, აშკარად ცდილობს, დააკნინოს პირადად გუზანის როლი და მისი დამსახურება სხვებს გადაუნაწილოს, მაგრამ ბევრსაც ვერავის ასახელებს („...და ბოცო, და ვინცაღა იახლა, მიუსწრნეს მესხნი...") და საბოლოოდ, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, ამ

გამარჯვებასაც „ბედსა და სუესა თამარისას“ მიაწერს. მიუხედავად ამისა, ფაქტი სახეზეა: გუზანს, პრაქტიკულად მარტოს, მცირერიცხოვანი რაზმით („მარბიელგაშუებულთა“ სწორედ იმას ნიშნავს, რომ საერისთერისთავოს ძირითადი სამხედრო ძალები ადგილზე არა ყოფილან – სათარეშოდ იყვნენ გასული მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე) თურქთა უზარმაზარი ურდო დაუმარცხებია, რომლითაც ავსებული ყოფილა „კლარჯეთისა და შავშეთის ქუეყანა“. შედეგიც შესაბამისი ყოფილა: „ურიცხუი კაცი და ცხენი“ აუყვანიათ დავლად ქართველებს და „ღმრთივ-გვირგვინოსანი“ მეფისთვის მიურთმევიათ...

და რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ირკვევა აგრეთვე, რომ **გუზან ტაოელის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალმოსილება მხოლოდ მისი პირადი სტატუსით არ განისაზღვრება, არ შემოიფარგლება.**

რატომ?

იმიტომ რომ აქ, ამ ეპიზოდში, პირდაპირაა ნათქვამი: იგი, **გუზან ტაოელი, არის ძე,** ანუ **ვაჟიშვილი აბულასანისა!**

ხოლო აბულასანი, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, კიდევ უფრო დიდი და გავლენიანი ფეოდალი და სახელმწიფო მოხელე ყოფილა, ვიდრე მისი ვაჟი – ტაოს ერისთავთერისთავი, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი – გუზანი გახლდათ...

ამ კაცის ავტორიტეტსა და პოლიტიკურ „წონაზე“ თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მისი პოზიცია – აზრი და სიტყვა – თვით ისეთი ძნელი და კარგა ხანს გადაუჭრელი პრობლემის მოგვარებაშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა, როგორც ახალგაზრდა თამარისათვის ღირსეული საქმროს შერჩევა და დაქორწინება იყო. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს თამარის პირველი ისტორიკოსი: ერთ-ერთ დარბაზობაზეო, რომელზეც ამ საკითხს განიხილავდნენ, **„გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი მკუიდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა – ხელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა სახელით აბულასან, და მეტყუელმან თქუა: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ**

სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია – ქმნით დევნული, გარდამოუიხუენა ბიძისა, სავალათად წოდებულისაგან. და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა...“, და ა.შ. და ა.შ. („ისტორიანი და აზმანი...“). ამ განხილვის შემდეგ, სულ ცოტა ხანში, აბულასანის „პროტეჟე“ – რუსი უფლისწული ჩამოიყვანეს და მალევე ჯვარიც დასწერეს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია: აბულასანი ქართულ მატიანეებში მეორედ აღარსად მოიხსენიება...

სამაგიეროდ, არსებობს სხვა წყაროები; კერძოდ, ესაა ორი წარწერა.

ერთში (XII საუკუნის ერთ-ერთი ხატის მოჭედილობაზე) თვით აბულასანი თავის თავზე ამბობს: **„შეინირე... ესე მსახურებაი ჩემგან ერისთავთერისთავისა და მეჭურ(ჭლეთ)უხუცესისა აბულასანისაგან, იობის ძისა“-ო** (ე. თაყაიშვილის Арх. экс. II, 70).

მეორეგან – ვერეს ლურჯ მონასტრად წოდებული (იოანე ღვთისმეტყველის სახელობის) ეკლესიის კარიბჭის წარწერაში აბულასანის ძმა, **„ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოს – ყოფილი, ძე კეთილნათესავისა იობისი“**, ამბობს, რომ მან ააგო ეკლესია **„ნაცვალსაგებელად ჩემთუის და საყუარელისა ძმისა ჩემისა, ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა ამირათ-ამირისა რუისთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონისა აბულასანისათვის“** (ე. თაყაიშვილის Арх. Экс., IV, 149-150).

ამრიგად, ირკვევა, რომ გუზანის მამა, აბულასანი – ერთდროულად თუ სხვადასხვა დროს – ყოფილა: ერთი მხრივ – „თავადი“, „რუისთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონი“, მეორე მხრივ კი – „მეფეთა მეფისაგან წყალობა–ხელდასხმული“ „ერისთავთ-ერისთავი“, „ამირათ-ამირა ქართლისა და ტფილისისა“ და, ბოლოს, **„მეჭურჭლეთუხუცესი“!**

ვფიქრობ, გასაგებია, წოდება – თანამდებობების ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი რა ნიშნითაცაა დაჯგუფებული ორად: პირველი ჯგუფის ტერმინები მფლობელის წოდებრივ და ქონებრივ მდგომარეობას მიუთითებენ, მეორისა კი – მის თანამდებობებს.

ჩვენთვის ძალზე საინტერესოა „თავად“-ის მნიშვნელობა.

ეს ტერმინი გამოწვლილვით აქვს შესწავლილი ივ. ჯავახიშვილს. აი, რა დასკვნამდე მისულა იგი: „თავადი“ – დიდი გვარის უფროსი და თავი ყოფილა... „დიდებული თავადი“ მთელ საგვარეულოში მხოლოდ „ერთი თავი“ ყოფილა და „თავად“-ის დანარჩენ „სახლის კაცებს“ მასთან თანასწორი უფლება და მასავით „თავადობა“ არა ჰქონიათ... „თავადი“... შეიძლება „უხელოც“ ყოფილიყო და არავითარი თანამდებობა არა ჰქონოდა. მისთვის ისიც კმაროდა, რომ იგი დიდი გვარის უფროსი და თავი იყო...! დიდებულთა, წარჩინებულთა და თავადთა ცოლებსაც კი განსაკუთრებული სახელწოდება ჰქონიათ და, თუ ხელმწიფისა და მეფის თანამეცხედრეს „დედოფალი“, „დედოფალთ-დედოფალი“ ეწოდებოდა, მათ კიდევ „დიოფალ“-ს, „დიოფალთ–დიოფალ“-ს ეძახდნენ თურმე. „დიდებულნი“, „წარჩინებულნი“ და „თავადნი“, ვითარცა საქართველოს მკვიდრთა მოწინავე და მმართველი წრეების წარმომადგენელნი, „თვალნი და პირნი ქვეყნისანი“ იყვნენ“!

მნიშვნელოვანია ჩვენთვის ისიც, რომ აბულასანის საკუთრება ყოფილა (იგი იყო პატრონი) „რუისთავი“, ანუ „რუსთავი“.

ახლა – „სახელო“ – თანამდებობების შესახებაც ვთქვათ.

თუ რას ნიშნავდა, რა ძალაუფლებას ფლობდა ერისთავთერისთავი, უკვე ვნახეთ თვით გუზანის მაგალითზე: იგი, ფაქტობრივად, მეფისნაცვალი (გნებავთ – გუბერნატორი) იყო დიდი პროვინციისა.

რაც შეეხება „ამირთა-ამირა“-ს თანამდებობას, ივ. ჯავახიშვილი, სათანადო წყაროების ნაკლებობის გამო, მხოლოდ ვარაუდობს, რომ ამ დროისათვის იგი, „უმთავრესად, რასაკვირველია, ქალაქის უფროსი იყო“. ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ, ალბათ, დიდი ქალაქის (ან, იქნებ, დედაქალაქის – თბილისის) უფროსს ამირთა ამირა ერქვა და მის ხელქვეით კიდევ რამდენიმე ამირა უნდა ყოფილიყო, ხოლო უფრო მომცრო ქალაქების (ჩვენს შემთხვევაში – ქართლის ქალაქების) სათავეში „უბრალო“ ამირები მდგარან,რომლებიც ქართლის ამირათ-ამირას ემორჩილებოდნენ. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ორივე ეს „სახელო“ – თბილისის ამირათ-ამირისა და ქართლის ამირთა–ამირისა – ერთი კაცის კუთვნილება ყოფილა და ეს კაცი – აბულასანი გახლდათ.

საინტერესოა, რომ ამირები და ამირთა-ამირები – მეჭურჭლეთუხუცესის საგამგებლოში შედიოდნენ, მეჭურჭლეთუხუცესი კი... ისევ და ისევ აბულასანი ყოფილა!

„მეჭურჭლეთუხუცესის“ შესახებ ცნობილია, რომ იგი ფინანსთა მინისტრი იყო და მეფის სავაზიროში – **ვაზირთა ოთხეულში** (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი) შედიოდა, ხოლო „ღირსებით მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირთა უპირველესსა და მწიგნობართუხუცესს გარდა დანარჩენ ყველა ვაზირს უდრიდა...“! „ამასთანავე იგი „საპატიო“ ვაზირად ითვლებოდა“... „მეჭურჭლეთუხუცესის ხელქვეით ყოფილა: 1) ძველი ქალაქები, 2) საზოგადოდ ყველა „ქალაქის ამირანი“ და „მეჭურჭლენი ქალაქისანი“, 3) ვაჭარნი და აღებმიცემობა, 4) სავაჭრო გადასახადები და ბაჟი და 5) მეფის ყოველგვარი სავაჭრო და საჭურჭლის შემოსავალ-გასავალი“... (ყველა ციტატა მოყვანილია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან „ქართული სამართლის ისტორია“, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IV, თბილისი, 1982 წ.)

ყველასათვის ცნობილი ამ ფაქტების ხელახლა გამეორება აი, რისთვის გვჭირდება:

უპირველეს ყოვლისა, ზემოთ თქმული ნათელს ხდის, თუ რატომ და საიდან იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ასე კარგად ქალაქების – დიდი სავაჭრო ცენტრებისა და ნავსადგურების – საქმიან ცხოვრებას, ვაჭართა წრის არა მარტო ტრადიციებსა და სხვადასხვა რიტუალს, არამედ აზროვნებისა და ცხოვრების წესის უამრავ ნიუანსსაც.

საქმე ის გახლავთ, რომ ფეოდალიზმის ხანაში პიროვნების თანამდებობრივი დაწინაურება მარტო მისი პირადი წარმატება როდი იყო – იგი მთელი ოჯახის,მთელი გვარის დაწინაურებას ნიშნავდა (მითუმეტეს, როცა საქმე გვარის, ფეოდალური სახლის თავკაცისათვის – თავადისათვის რაიმე „სახელო“-ს ბოძებას ეხებოდა): მაშინაც, ისევე, როგორც ჩვენს დროში, ასეთი ადამიანი თანამდებობაზე საკუთარ „გუნდთან“ ერთად მოდიოდა, რომელიც, ძირითადად, მისი „სახლის კაცებით“ იყო დაკომპლექტებული. ოღონდ, ცხადია, ამ „გუნდში“ მოსახვედრად მარტო

„სახლის კაცობა“ არ კმაროდა: სახელმწიფო აპარატის იერარქიაში სათანადო ადგილის დასაკავებლად აუცილებელი იყო სათანადო ცოდნა-განათლება და კომპეტენტურობა. მეორე მხრივ, ასეთ „გუნდში“ მოხვედრა ახალგაზრდა მოხელისათვის კარგი სკოლა იყო გამოცდილების მისაღებად ამა თუ იმ სფეროში და, პარალელურად, ტრამპლინიც – მომავალი კარიერისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ ჯერ ქართლისა და თბილისის ამირათ–ამირის, შემდეგ კი – საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის „გუნდში“ ერთ-ერთი უპირველესი და თვალსაჩინო პირი – მისი ვაჟი – გუზანი იქნებოდა...


მეორეც: რუსთველოლოგიაში, რამდენადაც ვიცი, **დღემდე არსებობს სამი ვერსია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა–საქმიანობის თაობაზე. პირველი ვერსიის თანახმად,** „რუსთველი“ საერო პირი ყოფილა და, მკვლევართა უმრავლესობის აზრით (არის სხვა მოსაზრებებიც), მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა სჭერია; **მეორე ვერსიით,** იგი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო (სავარაუდოდ, რუსთავის ეპისკოპოსი) და სწორედ ამიტომ იხსენიებს თავს – „რუსთველად“; **მესამე ვერსია** „კომპრომისულია“ – არც მწვადს წვავს და არც შამფურს – „რუსთველი“ სასულიერო პირი კი ყოფილა, მაგრამ, ამასთან, მეჭურჭლეთუხუცესის „სახელოსაც“ ითავსებდა, თურმე...

სამივე ეს ვერსია, ძირითადად დაფუძნებულია ზეპირ გადმოცემებზე და, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩემში ამ „ზეპირ გადმოცემათა“ უტყუარობა ყოველთვის გარკვეულ სკეფსისს ბადებდა (რვაასი წელია, რაც არ უნდა იყოს, გასული!), აღმოჩნდა, რომ მათ მაინც გააჩნიათ რეალური საფუძველი: დიახ, იყო მეჭურჭლეთუხუცესი, მაგრამ არა თვითონ „რუსთველი“, არამედ – მამამისი, აბულასანი! დიახ, იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი, მაგრამ (ისევ!) – არა თვითონ „რუსთველი“, არამედ – მისი ბიძა, ბასილი! აი, ის „ცეცხლი“ (სიმართლისა), ურომლისოდაც „კვამლი“ (გზასაცდენილი, მცდარი აზრიც კი) არ არსებობს!!!

ჭეშმარიტად, Non est fumus, absque igne! (არ არის კვამლი ცეცხლის გარეშე!)

და – მესამე და უმთავრესი:

თუკი სამართლიანად ჩავთვლით ზემოთ გადმოცემულ მსჯელობას და იმ მოსაზრებებს, რომელთაც ამ მსჯელობისას ვეყრდნობით, **გამოდის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სულაც არ ყოფილა ისეთი „უჩინმაჩინი“** (არც „მეჭურჭლეთუხუცესი რუსთველის“, არც „ეპისკოპოს რუსთველის“ არსებობა XII-XIII საუკუნეების ქართული მატიანეებით არ დასტურდება!), **როგორადაც ის აქამდე ითვლებოდა:** სრულიად ცალსახად იკვეთება არა მარტო პირადად „რუსთველის“ ვინაობა და საქმიანობა, არამედ მისი უახლოესი სანათესაოსიც. ჩვენს ხელთაა მთელი „გენეალოგიური შტო“ „რუსთველისა“, რომელიც ასე გამოიყურება:



✧ ✧ ✧

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა-საქმიანობის ჩემეული ვარიანტის (გუზან ტაოელი – ერისთავთ-ერისთავი + სუფია) ჩინებული ილუსტრაციაა **შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში...**

ცნობები „რუსთველის“ პორტრეტული გამოსახულების არსებობის შესახებ, კერძოდ, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სამხრეთის სვეტის მოხატულობაში, XVIII საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, დაფიქსირებული იყო ტიმოთე გაბაშვილის, ნიკოლოზ ჩუბინაშვილის, არქიმანდრიტ ანტონის, დ. ვ. ბაქრაძისა და ალ. ცაგარელის ნაწერებში, მაგრამ უკვე 1902 წ. ნიკო მარმა აღნიშნულ ფრესკას ველარ მიაკვლია, რადგან იმ დროისათვის იგი საღებავის სქელი ფენით აღმოჩნდა დაფარული. მხოლოდ 1960 წლის ოქტომბერში შეძლეს ქართველმა მეცნიერებმა (აკადემიკოსებმა: ა. შანიძემ, გ. წერეთელმა, ირ. აბაშიძემ) პორტრეტის მიკვლევა და განმენდა. მათ მიერ მოპოვებული და ჩამოტანილი მასალების საფუძველზე, მოგვიანებით, ფრესკა შეისწავლა შ. ამირანაშვილმა (შალვა ამირანაშვილი, „შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში“, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961 წ.ქვემოთ ყველა ციტატა ამ მონოგრაფიიდანაა მოყვანილი).

კომპოზიცია მრავალი რამითაა ორიგინალური და, შეიძლება ითქვას, უცნაურიც...

მაგრამ მივყვეთ თანამიმდევრულად:

ა) სურათზე გამოსახულია ღრმად მოხუცებული, თუმცა ჭარმაგი მამაკაცი, გრძელი თეთრი წვერით. იგი მლოცველის, მავედრებლის პოზაშია მუხლმოყრილი და ხელებაპყრობილი ორი წმინდანის, იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის წინაშე (თავისთავად უკვე ეს კომპოზიციაა ძალზე მრავლისმეტყველი, მაგრამ ახლა აქ ამაზე არ შევჩერდები);

ბ) მამაკაცს თმა არ უჩანს. მას „მაღალი, მოთეთრო ფერის მომრგვალებული ფორმის თავსაბურავი“ ჰხურავს. „ამგვარი თავსაბურავი მიღებული იყო საქართველოში მე-12 ს.

მეორე ნახევარში დიდი ვაზირებისათვის. **მალალ წვეტიან, მომრგვალებულ თავსაბურავს ატარებდნენ საქართველოში ერისთავთ-ერისთავები".**

მივაქციოთ ყურადღება: თავსაბურავი, რომელიც სურათზე გამოსახულ მამაკაცს ახურავს, **ერისთავთ-ერისთავთა** საზეიმო სამოსლის ერთ–ერთი ატრიბუტი ყოფილა.

გ) მამაკაცს **მოსხმული** აქვს მეწამული ფერის (ამ ფერს შ. ამირანაშვილი „მოწითალო-იისფერ"-ს უწოდებს), გრძელი, გრძელსახელოებიანი სამოსელი (დიახ, სწორედ **მოსხმული:** წინა პლანზე აშკარად ჩანს ძირს ჩამოშვებული სახელო ამ სამოსლისა), რომელსაც, „მიღებული შეხედულების თანახმად,...ბერძნები „სკარამანგიონ"-ს უწოდებენ, ქართველები კი – „სკარამანგს". ამგვარ სამოსელსაც „ატარებდნენ საქართველოში ვაზირები, **ერისთავთ-ერისთავები**". აი, **მეორე ატრიბუტი ერისთავთ-ერისთავთა საზეიმო სამოსლისა** – მეწამული („მოწითალო–იისფერი") სკარამანგი!

დ) ამ სკარამანგს „აქვს თეთრი ბეწვეულის გადაკეცილი საყელო წინ გაჭრილი, რომელიც **ყარყუმის ბეწვი** უნდა იყოს". აი, ამ ყარყუმის ბეწვის საყელოს კი უკვე დიდი გაუგებრობა და არეულობა შეაქვს იმ ჩვეულ მწყობრ სისტემაში, რომლის სილუეტიც ეს-ესაა იკვეთებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ, შ.ამირანაშვილის აღიარებით, **მას „ პირდაპირ ანალოგიას** ხელოვნების ქართულ ძეგლებში **ვერ მოვუძებნით.** არ შემიძლია სათანადო მასალა მივუთითო ბიზანტიურ ხელოვნებაში".

მიუხედავად ამისა, მეცნიერს მაინც უცდია ანალოგიების მოძიება სხვა ქვეყნების ხელოვნებაში. აი, რას წერს იგი: „ერთადერთი ანალოგია ამ დეტალს მოეპოვება საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში... **ყარყუმის გადმოკეცილი საყელო განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა უკვე XIV საუკუნეში, განსაკუთრებით კი – შემდგომ საუკუნეებში".**

თითქოს ყველაფერი გასაგებია: ერთადერთი ანალოგია „ქა-

რთულ-პალესტინურ“ ყარყუმის საყელოს, თურმე, „უკვე XIV საუკუნისა“ და „განსაკუთრებით კი შემდეგი საუკუნეების“ საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში მოეპოვება. ალბათ, ლოგიკური იქნებოდა, გვეფიქრა, რომ სწორედ საქართველო ყოფილა ყარყუმის ბეწვის საყელოს „სამშობლო“ (აქ იგი, როგორც დავინახეთ, XII-XIII საუკუნეებიდან იყო ხმარებაში), და სწორედ აქედან – შავი და ხმელთაშუა ზღვების აუზის გავლით – **მოდა** (გნებავთ, **ტრადიცია**) მისი ხმარებისა გადასულა „უკვე XIV საუკუნისა და განსაკუთრებით კი შემდეგი საუკუნეების“ ევროპაში, კერძოდ – საფრანგეთსა და იტალიაში.

მაგრამ... სრულიად მოულოდნელად (და, პირდაპირ ვიტყვი, გასაოცრადაც) შ. ამირანაშვილი ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ყარყუმის გამოყენება საზეიმო ტანსაცმლისათვის **უთუოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მომდინარეობს (?!!)** არც ერთ ტანსაცმელს საერო პირისა, რომელსაც დიდი თანამდებობა ეჭირა სამეფო კარზე, ყარყუმის გადმოკეცილი საყელო არა აქვს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ **ქართველ დიდმოხელეს ჩაცმულობის საზეიმო ხასიათის მისაცემად შეუთვისებია ის წესი, რომელიც გავრცელებული ყოფილა საფრანგეთში„ (...?)**

მეპატიოს ეს უნდობლობა დიდი მეცნიერის მიმართ, მაგრამ ჩემთვის **გაუგებარია, როგორ უნდა გადმოელო „უკვე XIV საუკუნისა და, განსაკუთრებით კი, შემდეგი საუკუნეების“ ფრანგული მოდა ქართველ დიდ-მოხელეს, რომელიც... XII–XIII საუკუნეებში, ანუ, სულ ცოტა, 100-150 წლით ადრე ცხოვრობდა? ანდა, თუკი ანალოგიის მოძებნა შეუძლებელი აღმოჩნდა ბიზანტიურ ხელოვნებაში, რატომ არ შეიძლებოდა მისი მოძიება მახლობელი აღმოსავლეთის სხვა (როგორც მუსლიმანურ, ისე, სხვათა შორის, ქრისტიანულ) სახელმწიფო წარმონაქმნთა ხელოვნებაში?**

ამრიგად, „ყარყუმის ბეწვის საყელოს საკითხი“ ჩემთვის, ჯერჯერობით, ღიად რჩება...

შემდეგ:

ე) „რუსთველს აცვია **მწვანე ფერის კაბა**, რომელიც წელზე შეკრულია **ტყავის სარტყლით.** სურათზე **აბზინდი** კარგად ჩანს“. შ. ამირანაშვილის **ფრთხილი კომენტარი**

სარტყლისა და **აბზინდის** თაობაზე მაფიქრებინებს, რომ მკვლევარი დაუფიქრებია „დიდმოხელის“ ჩაცმულობის ამ ატრიბუტების ხაზგასმულ უბრალოება-სისადავეს (დიდმოხელენი გაცილებით უფრო ძვირფას, გემოვნებით მორთულ სარტყელებსა და, შესაბამისად, აბზინდებს ატარებდნენ), მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან იგი, ამ შემთხვევაში, საერთოდ თავს იკავებს.

მეცნიერი არაფერს ამბობს, აგრეთვე, **მწვანე ფერის კაბაზეც**, რომელსაც ეპითეტად „უბრალო“, „სადა“ აღარც კი შეეფერება; იგი ბერის ანაფორას უფრო წააგავს, ვიდრე ერისკაცის სამოსს, რომ არა მისი ქრისტიანი ბერის ანაფორისათვის შეუფერებელი **მწვანე ფერი.**

ნულარ გავაჭიანურებთ სათქმელს: **მწვანე ფერის ხამი კაბა, სადა სარტყელ-აბზინდით შემოკრული – სუფია განდეგილის „ანაფორა“ გახლავთ.**

სუფისტურ ფერთა სიმბოლიკაში მწვანე ფერი – თვით სუფიზმის (სუფისტური სწავლების, სუფისტური მოძღვრების) **აღმნიშვნელი ფერია.**

რატომ მაინცადამაინც **„მწვანე“**?

ცნობილია, რომ ადამიანის ცნობიერებაში **„მწვანე ფერი“, „სიმწვანე“,** ჩვეულებრივ, **„გაზაფხულთან“, „ბუნების გამოღვიძებასთან“** ასოცირდება. ანალოგიურად, **„გაზაფხულთან“** და **„გამოღვიძებასთან“** ასოცირდება ეს ფერი **სუფისტის** ცნობიერებაშიც, ოღონდ – უფრო დაკონკრეტებით, **ფოკუსირებულად:**

„სულისა და გონების გამოღვიძებასთან“,

„აზრისა და სულისკვეთების გაზაფხულთან“!

მოკლედ, „სუფიზმი – სიმწვანეა“!

იმიტომ, რომ „სუფიზმი – სულისა და გონების მარადიული გაზაფხულია“!

რაც შეეხება ყარყუმის ბეწვის საყელოს, იგი, ასევე, **სუფიების ჩაცმულობის ატრიბუტი** იყო უკვე XI – XII საუკუნეებში – ოღონდ, არა „რიგითი“ სუფიების, არამედ **სუფიური ორდენების წინამძღვართა** (სპარსულ-არაბულად „შეიხ“-თა, „შახ“-თა) ჩაცმულობის ატრიბუტი!

სწორედ სუფია-შეიხთაგან გადაიღეს ყარყუმის ბეწვის, როგორც მისტიკური სიბრძნის სიმბოლოს, ტარების ტრადიცია პირველი კათოლიკური სასულიერო-რაინდული ორდენების **დიდმა მაგისტრებმა** (დღეს უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჰოსპიტალიერთა და ტამპლიერთა ორდენების **პროტოტიპი სუფიური ორდენები** იყო: ამ უკანასკნელთაგან გადაიღეს მათ არა მარტო გარეგნული ატრიბუტიკა და სიმბოლიკა, არამედ უამრავი რიტუალიცა და, მთლიანობაში, ცხოვრებისა და აზროვნების წესიც)...

მას შემდეგ, რაც შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე კანონგარეშე გამოაცხადეს, შეაჩვენეს და გაანადგურეს ტამპლიერთა ორდენი, ხოლო მისი დიდი მაგისტრი ჟაკ დე მოლე და რამდენიმე ათეული მისი თანამოძმე კოცონზე დაწვეს, საფრანგეთის მეფემ, ფილიპ ლამაზმა, ისე, რომ წუთითაც არ უგრძვნია სინდისის ქენჯნა, ყარყუმის ბეწვშემოვლებული მისი მანტია თვითონ მოიგდო მხრებზე...

ეს ამბავი მოხდა საფრანგეთში, 1312-14 წლებში, ანუ „უკვე XIV საუკუნეში“...

მოგვიანებით („განსაკუთრებით კი შემდეგ საუკუნეებში“), ტრადიცია ყარყუმის ბეწვის ქობაშემოვლებული მოსასხამის ტარებისა გავრცელდა ჯერ იტალიაში, შემდეგ კი – ევროპის სხვა ქვეყნებშიც...

მაგრამ დღესაც კი, როდესაც ყარყუმის ბეწვი უკლებლივ ყველა ევროპელი (და არა მხოლოდ ევროპელი) მონარქის საზეიმო სამოსს ამშვენებს, მისი სიმბოლური მნიშვნელობით ცოტა ვინმე თუ ინტერესდება...

...ტრადიციის თანახმად, სუფიზმის თეორიასა და პრაქტიკაში სახე-სიმბოლოების ფართო გამოყენება სრულიად კონკრეტულ მიზანს ემსახურება და ეს მიზანია ადეპტის (პირველ რიგში, ნეოფიტის – „ახალწვეულის“) გონების „გამოღვიძება“ ასოციაციური აზროვნების „ჩართვა“ – გააქტიურების გზით.

ანუ:

იგულისხმება, რომ თითოეული სუფიური სახე-სიმბოლო ადამიანის ცნობიერებაში გარკვეულ **ფონეტიკურ (ასო-ბგე-**

რით), ვიზუალურ, ან შინაარსობრივ ასოციაციას (იდეალურ შემთხვევაში კი – სამივეს ერთად) უნდა აღძრავდეს.

და აღძრავს კიდეც! ამასთან, ცხადია, ამ ასოციაციათა მრავალფეროვნება და სისრულე **პირდაპირპროპორციულია** სუბიექტის (მკითხველის, მსმენელის) ცოდნისა მოცემული სახე-სიმბოლოს – კონკრეტული საგნისა თუ აბსტრაქტული ცნების – გარშემო... მთლიანობაში, მისი **განათლება-განსწავლულობისა** (ცნობები იმის შესახებ, რომ არაერთი დიდი სუფია თითქოსდა სრულიად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარიც კი იყო, უმრავლეს შემთხვევაში, ლეგენდებისა და მითების კატეგორიას განეკუთვნება)!

რა ასოციაციებს იწვევს ჩვენში ამჯერად კონკრეტული სახე-სიმბოლო „ყარყუმი“?

მართალი გითხრათ, იმ დროს, როცა დასმულ საკითხში გარკვევის საჭიროება დადგა, ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ამ ცხოველზე, თითქმის არაფერი ვიცოდი მის შესახებ. ის-ის იყო, საჭირო ლიტერატურის მოძიება დავაპირე, რომ, სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა ცნობილი რუსი ნატურალისტის, ფოტოხელოვანისა და მწერლის, პროფ. ვ. პესკოვის შესანიშნავი ნარკვევი „მომხიბვლელი მკვლელი“. აი, რას წერს იგი:

„ყარყუმს ბუნებაში არაერთხელ შევხვედრივარ... და ყოველთვის მაოცებდა მისი საკვირველი ცნობისმოყვარეობა, დაუდგრომლობა და უშიშრობა... იგი ადაპტაციის განსაკუთრებული უნარითაა დაჯილდოებული – ევრაზიის კონტინენტზე მას ყველგან შეიძლება შეხვდეთ: მდინარეთა ხეობებში, ტბისპირა ლაქაშებსა და წიწვოვან ტყეებში, მაღალმთიან (ზღვის დონიდან 3-4 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარე) რაიონებსა და თვალუწვდენელ სტეპებში, სადაც მრავალ ასეულ კილომეტრზე ერთ ბექობსაც კი ვერსად ნახავთ; ხალხმრავალი, მჭიდროდ დასახლებული სოფლების სიახლოვესაც და უდაბურ, სრულიად უკაცრიელ ადგილებშიაც. ყველაზე ხშირად კი მას მაინც ქვაყრილებსა და ძველ შენობათა ნანგრევებში წააწყდება კაცი... ყარყუმის გარეგნობა – **ფიზიკური ჰარმო-**

ნიულობის, დახვეწილობისა და სინატიფის განსახიერებაა: ტანგრძელი, გველივით მოქნილი და გასაოცრად სხარტი, იგი თვალშეუვლები სისწრაფით დაძვრება ხვრელებსა და სოროებში, ხის ფულუროებში, ელვასავით გაკრთება ხოლმე ლაქაშებსა და ბუჩქნარში, რიყეზე გაფანტულ ლოდებს შორის... მოკლედ, მისთვის გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს. ყარყუმი შესანიშნავად დარბის, ხტუნავს, დაძვრება და დაცოცავს, ბრწყინვალედ ცურავს, ერთია მხოლოდ – არ დაფრინავს!

მას ერთი წამითაც ვერ ნახავთ უმოძრაოდ: მაშინაც კი, როცა ერთ ადგილზეა გაჩერებული, მოძრაობს მისი ნატიფი თავი,მოძრაობენ პატარა შავი თვალები, ყურები, ცხვირი...ერთი სიტყვით, იგი სრულად ფლობს და აკონტროლებს სიტუაციას, ამასთან, მთელი მისი სხარტი სხეული ერთიანად შემართული და მობილიზებულია, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ელვისებური სისწრაფით შეიცვალოს ადგილი, თვალს მიეფაროს, გაქრეს, ან... პირიქით, იერიში მიიტანოს მოწინააღმდეგეზე!... ეს პატარა მტაცებელი მართლაც რომ უბადლო, ზღვარდაუდებელი შესაძლებლობების მქონე მონადირეა: თაგვებსა და ვირთაგვებს, მასთან შეხვედრისას, პრაქტიკულად, გადარჩენის არავითარი შანსი არა აქვთ – ყარყუმი ადვილად ეწევა და თვალისდახამხამებაში უსწორდება, და არა მარტო მათ, არამედ ნებისმიერ სხვა მღრღნელსაც – კურდღლის ჩათვლით! შეუძლია, ახტეს და ჰაერში სტაცოს პირი საკმაოდ მაღლა აფრენილ ფრინველს (მაგალითად, როჭოს)! და ეს მაშინ, როცა მისი სიგრძე სულ რაღაც 32 სანტიმეტრია, კუდის ჩათვლით, კუდი კი... 10 სანტიმეტრის სიგრძისა აქვს.

თუმცა ეს მხეცუნა უპირატესობას თბილსისხლიან ცხოველებს ანიჭებს, იგი არც ცივსისხლიანებზე – ხვლიკებზე, ბაყაყაყებსა და გველებზე ამბობს უარს; ხშირად იტკბარუნებს პირს მწერებით, ფრინველის კვერცხებითა და კენკრითაც კი...ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ყარყუმი არასოდეს რჩება მშიერი. და მაინც: ნანადირევის ნაწილს (აბა, რად უნდა მთელი კურდღელი ან როჭო ამ ციცქნას!) იგი ხშირად სამალავებში ინახავს. ერთი კია, თვითონ იშვიათად უბრუნდება ამ სამალავებს (?!).

ნატურით „პატარა მზეთუნახავი“ ნამდვილი მაწანწალაა: მისი სანადირო სავარგულის საზღვრების დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

...აი, გარეგნობა კი მას,როგორც უკვე ვთქვით, მართლაც ბრწყინვალე აქვს. მარტო მისი ბეწვი რად ღირს! მართალია, წელიწადის უმეტეს ნაწილს იგი დამცავი (მოჟღალო-მურა) ფერის „ყოველდღიურ ტანსაცმელში გამოწყობილი“ ატარებს,მაგრამ, სამაგიეროდ,ზამთარში იმოსება ულამაზესი, თოვლივით თეთრი „საზეიმო“ ქათიბით, რომელსაც... ნახშირივით შავი კუდის რიკი ამშვენებს! ერთი შეხედვით, ეს შავი ლაქა თითქოს ცუდად ხვდება თვალს, უაზროდაც კი გამოიყურება საერთო თეთრ ფონზე, მაგრამ ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება – ამ შავ კუდის რიკს ყარყუმი მდევრის დასაბნევად იყენებს (იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მასზედაც ნადირობენ!): უკანასკნელ მომენტში გააქნევს ამ შავრიკა კუდს ერთ მხარეს, თვითონ მეორე მხარეს გახტება, და წამის მეასედიც მოგებულია, ე.ი. გადარჩენილია სიცოცხლე! კიდევ ერთხელ – გადარჩენილია...“

ბევრი სხვა საინტერესო რამის გაგება შეიძლება კიდევ ყარყუმის შესახებ – როგორც ამ ნარკვევიდან, ისე სხვა წყაროებიდანაც, მაგრამ ვფიქრობ, ეს მცირე ინფორმაციაც ჯერ-ჯერობით საკმარისია იმის მისახვედრად, თუ „მომხიბვლელი მკვლელის“ სახით, ვისთან გვაქვს საქმე...

თუ რაგვარ შინაარსობრივ და ვიზუალურ ასოციაციებს აღძრავს ეს „არსება“, ამის გადაწყვეტა და შეფასება თქვენთვის მომინდია, მე კი შევეცდები, ტრადიციაში დამკვიდრებული და, ამდენად, სრულიად სარწმუნო, ფონეტიკური ასოციაციის მექანიზმი ავხსნა.

არაბულად „ყარყუმი“ დაახლოებით ასე გამოითქმის „კააკუუმ“, ხოლო წერილობით ფიქსირდება ძირით **„კკმ“**; მაგრამ, ამ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ამისი ცოდნა უკვე აღარაა საკმარისი, რადგან იგივე ძირის მქონე სხვა სიტყვების (ომონიმების) მოძიება არანაირ შედეგს არ იძლევა.

ანალოგიურ შემთხვევებში სუფიები ვარაუდობენ, რომ სახეზეა დაშიფრული ინფორმაცია და გამოყენებულია რომელი-

ღაც ფონეტიკური შიფრი. ასეთ შიფრთაგან უმარტივესია ე.წ. „აბჯად“-ის სისტემა. რას წარმოადგენს იგი?

ცნობილია, რომ არაბული ალფაბეტის (ისევე, როგორც მრავალი სხვა ალფაბეტის, მაგ. ქართულის) თითოეულ ასოს გააჩნია რიცხობრივი ექვივალენტი. ჩვენს შემთხვევაში ესენია 100 („კ“) და 40 („მ“).

გაშიფვრის პირველ ეტაპზე საჭიროა, შეიკრიბოს ეს რიცხვები:

100 („კ“)
+100 („კ“)
+ 40 („მ“)

240

შემდეგ, მიღებული ჯამი (240) იშლება ახალ სამწევრა კომბინაციებად; ასეთებია:

ა) 200 + 30 + 10

მისი ხუთი ვარიაციით:

200 + 10 + 30
30 + 200 + 10
30 + 10 + 200
10 + 200 + 30
10 + 30 + 200

და ბ) 200 + 20 + 20

ორი ვარიაციით:

20 + 200 + 20
20 + 20 + 200

ზედმეტი ლაპარაკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, გამოსადეგია მეორე კომბინაციის პირველივე ვარიანტი (200 + 20 + 20). ამ რიცხვების, ანუ 200–ისა და 20–ის ფონეტიკური შესატყვისებია „რ“ (200) და „ქ“ (20), ანუ მივიღეთ კლასიკური სამთანხმოვნიანი ძირი „რქქ“. ასეთი ძირის მქონე სიტყვებს შორის არის სიტყვა „რაქქ“, რაც გამოხატავს ცნებებს „ძირი“, „საძირკველი“, „საფუძველი“, „საყრდენი“, „დასაყრდენი“...

არაბულ სამყაროში ტიტულს „**რწმენის (და)საყრდენი**“, გნე-

ბავთ, **„სარწმუნოების (და)საყრდენი“** – ატარებდნენ სუფიურ ორდენთა წინამძღვრები (შეიხები), მოგვიანებით კი – ის სასულიერო მოღვაწეები და თეოლოგებიც, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდათ მაჰმადიანური სარწმუნოების წინაშე.

პირველი ასეთი მოღვაწე გახლდათ დიდი ალ–ღაზალი (იგივე „ალ-ღაზელი“, „ალ-გაზელი“) – ყველა დროის უდიდესი სუფია, ბრწყინვალე პოეტი, გამოჩენილი სჯულმდებელი, თეოლოგი და ფილოსოფოსი. სწორედ მან შეძლო, ისტორიაში პირველმა, სუფისტური მოძღვრების შესაბამისობაში მოყვანა ორთოდოქსალურ ისლამთან, მათი **ურთიერთ „– მორიგება“, „– შერიგება“ და „– შერწყმა“**. ვფიქრობ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ალ-ღაზალი – დავით აღმაშენებლის თანამედროვე გახლდათ (მისი ცხოვრების წლებია 1058-1111), სუფიზმის ისლამთან „შერწყმა-შერიგება“, ანუ მისი კანონიზირება კი მხოლოდ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოხერხდა. მანამდე,ანუ XII საუკუნემდე, სუფიზმი ორთოდოქსალური ისლამის მიერ განიხილებოდა, როგორც **ერესი, მწვალებლობა („ფარული ქრისტიანობა“!)** და მკაცრად იდევნებოდა მუსლიმანური ინკვიზიციის მიერ (თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამ – მუსლიმანური ინკვიზიციაც – არსებობდა, თურმე!)...

ასოციაციების სისრულისათვის აუცილებელია, გავითვალისწინოთ აგრეთვე **ყარყუმის თეთრ-შავი შეფერილობა** და გავიხსენოთ, რომ არსებობს **„სუფიური ფერთა სიმბოლიკაც“**, რომლის შესახებაც ჯერ თითქმის არაფერი გვითქვამს...

აქვე მინდა გაგახსენოთ ლეონარდო და ვინჩის ცნობილი „ბანოვანი ყარყუმით“, რომელიც კრაკოვის მუზეუმის კოლექციაშია დაცული.

დღესაც არაერთი მკვლევარი ცდილობს იმის გარკვევას, თუ ვინაა, ლეონარდოს თანამედროვეთაგან, გამოსახული ამ პორტრეტზე; ან ნამდვილად ყარყუმია თუ არა ბანოვანის მკერდზე ნებიერად მიხუტებული ცხოველი (აეჭვებთ მისი ზომები, შეფერილობა)...

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი ცდებიან, მათი

ცდომილების მიზეზი კი ის არის, რომ ეს მკვლევარნი პორტრეტის „წაკითხვას“ რეალიზმის „ენაზე“ ცდილობენ, არ ითვალისწინებენ იმას, რომ **ლეონარდო და ვინჩი – არა მარტო გენიალური ინტელექტუალი, არამედ ყველა დროის ერთ–ერთი უდიდესი მისტიკოსიც გახლდათ...**

პორტრეტზე გამოსახული „ბანოვანი“ (სხვაგან – „მშვენიერი უცნობი ქალი“, „საოცნებო სატრფო“, „სანატრელი ქალწული“ და ა.შ.) კი, ჩემი აზრით, რაღა თქმა უნდა, **სუფიზმის** (სუფისტური სწავლების, სუფისტური მოძღვრების) **სახე-სიმბოლო გახლავთ,** რაზედაც აშკარად მიგვანიშნებს მის მკერდზე მიხუტებული **ყარყუმი – მეორე და ერთ-ერთი უმთავრესი სახე-სიმბოლო სუფიზმისა...**

ფერთა სიმბოლიკას ფართოდ იყენებდნენ ისლამამდელი ცივილიზაციებიც...

„ეძიე ცოდნა, თუნდ საამისოდ თვითონ **ჩინეთში** მოგიხდეს წასვლა!“ – ამბობს სუფიური ანდაზა. მოდით, ჩვენც „წავიდეთ“, ვნახოთ, რა ხდება იქ – „ჩინეთის დიდი კედლის მიღმა“ (რეზო ყარალაშვილი, თბილისი, „ნაკადული“, 1989 წ.). ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ჩინური ცივილიზაცია უძველესია თანამედროვე ცივილიზაციათა შორის და მისი ისტორიოგრაფია ორმოც საუკუნეს მოიცავს, ეს კი სახუმარო საქმე როდია...

„ევროპელისაგან განსხვავებით, **ჩინელი პოეტი არასოდეს არ გაიხდიდა საკუთარ ინდივიდუალობასა და წმინდა სუბიექტურ განცდებს შთაგონების წყაროდ,** არამედ ისწრაფოდა, ბუნებას მინდობოდა და გარედან მომდინარე შთაბეჭდილებებით ესაზრდოვა...მგოსანი, ჩინელთა წარმოდგენით, მუდამ გახსნილი უნდა ყოფილიყო გარესამყაროს მიმართ, სადაც **ყოველი მოვლენა** სამყაროს საპირისპირო ძალების – **„ინ“**–ისა და **„იან“**–ის მარადიულ ჭიდილზე მეტყველებდა.

იგი უნდა შერწყმოდა ყოფიერებას, საკუთარ თავში უნდა ეგრძნო „ინ“-ისა და „იან“-ის ფეთქვა და – მხოლოდ მას მერე, რაც ზღვარი „შიგნით“-სა და „გარეთ“-ს შორის სრულიად წაიშლებოდა, მას მერე, რაც იგი უყოყმანოდ მიენდობოდა თავისი

სულის წიაღიდან მომდინარე იდუმალ ძახილს, – მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო მას, იქ აღბეჭდილი სახეები ქაღალდზე გადმოეტანა!" (რ. ყარალაშვილი).

საპირისპირო ძალები... „ინ"-ი და „იან"-ი... მოდით, დავაკონკრეტოთ მაინც, რა „ძალებზეა" აქ საუბარი!

„ინი" და „იანი", რომელნიც, სიტყვასიტყვით თარგმნილი, **„მთის დაჩრდილულ"** და **„...მზით განათებულ" „ფერდობებს"** აღნიშნავენ, პირველადი კოსმოსური ძალები და ყოფიერების საპირისპირო პოლუსებია: „ინი" ბნელ, უარყოფით, პასიურსა და ქალურ (!) საწყისს განასახიერებს, ხოლო „იანი" – ნათელ, დადებით, ქმედითსა და მამაკაცურ საწყისს" (რ. ყარალაშვილი).

„ერთი „ინი", ერთი „იანი" – ამას უწოდებენ ხოლმე „დაო"-ს!"

„ი-ძინ"-ის კომენტარიდან

„დაო" რაღაა?

დაო – უძველესი ჩინური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების – **დაოიზმის** ცენტრალური კატეგორია გახლავთ. „მისი გადმოღება ევროპულ ენებზე არაერთგზის უცდიათ, მაგრამ, ცნების მრავალმნიშვნელობის გამო, დღესაც ვერ შეთანხმებულან, თუ **როგორ თარგმნონ იგი.**

ჩინურში **„დაო"**-ს ხმარობენ **ზმნის** სახითაც და **არსებითი სახელის** სახითაც. ამიტომ ის შეიძლება აღნიშნავდეს „სიარულს", „წინსვლას", „მართვას", „ხელმძღვანელობას", „ლაპარაკს", „თქმას", „დასახელებას"... და, ამავე დროს, – „გზას", „პრინციპს", „უნარს", „სიტყვას"...

როგორც ფილოსოფიური კატეგორია, **„დაო"** მრავალნაირად უთარგმნიათ – **„არსი", „აზრი", „ლოგოსი", „გონება", „ღმერთი", „სამყაროს კანონი", „შემოქმედი პრინციპი", „პირველმიზეზი"** და სხვა" (რ. ყარალაშვილი).

როგორც ჩინელთა უძველესი და უპირველესი წმინდა წიგნი „დაო დე ძინ"-ი ამბობს,

„დაო შობს: ერთს;
ერთი შობს: ორს;
ორი შობს: სამს;
სამი: ყოველ არსს!

ყოველი არსი:
შეიცავს – „ინ“-სა და „იან“-ს;
აღვსილია – „ცი“-თ
და ქმნის – ჰარმონიას!“

„ცი“ – სიცოცხლის წყაროა.

„ზოგნი „ცის“ მატერიალურ ნაწილაკებად მიიჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ თავდაპირველად მხოლოდ ერთიანი „ცი“ არსებობდა. შემდეგ, „ცი“-ს **თვითშედედების** შედეგად, **მსუბუქი** და **ნათელი ნაწილაკები – „იან – ც ი“** ზევით წარემართნენ და **ზეცა** წარმოშვეს, **მძიმე** და **მღვრიე ნაწილაკები „ინ-ცი“** კი – ქვემოთ დაეშვნენ და მიწა შექმნეს. ზეცისა და დედამიწის ურთიერთობამ შექმნა ყოველივე სიმრავლე სამყაროში.

მეორე კონცეფციის თანახმად, „ცი“ – სიცოცხლის ელემენტარული გამოვლენა და **სამყაროს სულია**. ეს სული ყველა საგანსა და მცენარეში, ყველა სულდგმულსა და არსებაშია განფენილი და სამყაროს იდეალური ერთიანობის საფუძველია“ (რ. ყარალაშვილი).

ვფიქრობ, დაკვირვებული თვალი – **გონებისთვალი!** – ადვილად შენიშნავს, რომ აქ, ორივე ამ სტროფში, – მაქსიმალური სიცხადის მისაღწევად – ერთსადაიმავე რამეზე, კერძოდ, **სამყაროს** (როგორც **სრულიად-სამყაროს,** ანუ **მაკრო-სამყაროს,** იგივე **მაკრო-კოსმის,** – ისე **მიკრო-სამყაროს, მიკრო-კოსმის**) **ანუ ადამიანის** მოწყობაზე, მის **მოდელზეა** საუბარი, **ოღონდ: პირველში – დაღმავალი ხაზით** („დაო“-დან „ყოველ არსამდე“), **მეორეში კი** პირიქით – **აღმავალი ხაზით** („ყოველი არსიდან“ – „უზენაეს ჰარმონიამდე“, გნებავთ, – „ჰარმონიულობამდე“), ანუ – „დაო“-მდე, ანუ – „უზენაეს ჭეშმარიტებამდე“, ანუ – ... **ღმერთამდე!**

სწორედ ამიტომაა, რომ, **უპირველეს ყოვლისა, „დაო შობს: ერთს“** – ანუ **თავისთავს!** – იგი არის „პირველსაწყისი“, „უზენაესი ჰარმონია“, „უზენაესი ჭეშმარიტება“,... **„ღმერთი“**, რომელიც **თვითკმარია**: მას არავის დახმარება არ სჭირდება,იგი თვითონ **არის შემოქმედი** „ყოველი არსისა“, მათ შორის – და

უპირველეს ყოვლისა – **საკუთარი თავისა, როგორც „უზენაესი არსისა“ – „ერთისა“!**

... ასე და ამრიგად, აქაც სახეზეა კიდევ ერთი „წმინდა ტრიადა“:

„დაო“ – „ინ-იანი“ – „ცი“

ანუ: **ღმერთი – მატერია – სული!**

უნდა ითქვას, რომ სამყაროს მოწყობის აღწერილი პრინციპი, რომელსაც მოკლედ „ინ-იანის პრინციპს“ უწოდებენ, ძალზე ცხოველმყოფელი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა: გაუძლო რა ათასწლეულების გამოცდას, იგი დიალექტიკურ მატერიალიზმშიც კი შევიდა „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის“ სახელწოდებით.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე და კიდევ იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩინური მხატვრული აზროვნება ტრადიციულად ფერთა პალიტრის თვალისმომჭრელი ბრწყინვალებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რამდენადმე **„უცნაურად“** გამოიყურება ის ფაქტი, რომ „ინ“-ისა და „იან“-ის აღსანიშნავად ამ უძველესმა კულტურამ ორი ყველაზე „მარტივი“, „პროზაული“ ფერი – ისევ და ისევ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი – **შავი** („ინ“) და **თეთრი** („იან“) აირჩია...

თუმცა, შეიძლება, სწორედ ეს „უბრალოება“, ეს „სიმარტივე“ აღმოჩნდეს მომავალში **გასაღები** კიდევ ერთი კოდისა, რომელსაც ძველი მოაზროვნენი იყენებდნენ.

ისევ ლეონარდოს „ბანოვანს“ რომ დავუბრუნდეთ, უნდა შევნიშნო შემდეგი: მას, გარდა (რეალიზმის პოზიციებიდან) ძალზე „თავისებური“ და „უცნაური“ კომპოზიციისა (მშვენიერი ქალბატონი მკერდზე ნებიერად მიხუტებული ყარყუმით – „მომხიბვლელი მკვლელით“, რომელიც **საერთოდ არ თვინიერდება,** მითუმეტეს, არ შინაურდება!), აქ, ჩემი აზრით, თვალშისაცემია ერთგვარი **ფიზიკური მსგავსებაც** სურათზე გამოსახულ ორ არსებას შორის... და კიდევ: ამ ფერწერულ ტილოზე აშკარად დომინირებს **მწვანე ფერი**: – მუქი მწვანე ფერისაა სურათის ფონი; შედარებით ბაცი მწვანე ფერისა –

კაბა, რომელიც ბანოვანს აცვია. თუმცა, აქვე „წარმოდგენილია“ სხვა ფერებიც...

მაგრამ ჩვენ „ვეფხისტყაოსანს“ დავუბრუნდეთ!

მიუხედავად იმისა, რომ დიდებული პოემის ლექსიკა, თავისი ბრწყინვალებითა და ფერადოვნებით, მართლაც ჩინურ ფერთა პალიტრას თუ შეედრება მხოლოდ, თვით ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს მისი ავტორი ძალზე იშვიათად იყენებს. ესენია, უპირველეს ყოვლისა, **ცისარტყელას ფერები – ლურჯი, ლაჟვარდისფერი, ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, მენამული** (პოემაში – ძოწისფერი, „**ძოწეული**“) და აგრეთვე, – ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი – **თეთრი და შავი** (თეთრ-შავი **ყარყუმი, თეთრ-შავი** – ინ-იანის სიმბოლო...)!

მგონი, მკითხველი უკვე აუღებდა ალღოს სუფიური სიმბოლიკის შინაგან ლოგიკას, ინფორმაციის შიფრირება-დეშიფრირების სუფიურ მეთოდს. ამიტომ, დროისა და ადგილის დაზოგვის მიზნით, აღარ შევუდგები თითოეულ ფერთან მიმართებაში ამ პროცესის დეტალურ ახსნას. ვიტყვი მხოლოდ, რომ:

ნარინჯისფერი – მზის ფერად მოიაზრება და არის სიმბოლო იმისა, რასაც „მზე“ განასახიერებს, ანუ: კონკრეტულად – **ღმერთისა, ღვთაებისა,** საზოგადოდ კი – ყველაფერი **ღვთაებრივისა;**

ყვითელი – ოქროს (უძვირფასესი, უკეთილშობილესი მეტალის) ფერია; ამ ფერისაა ყველა და ყველაფერი „მზის“ სხივებით მოფენილი, ანუ „**გასხივოსნებული**“ / „ვარდთა და ნეხვთა – (ყოველთა!) – მზე სწორად მოეფინების...“/ – განსაკუთრებით, „განათლებული პიროვნება“, „გასრულქმნილებული ადამიანი“, „ოქროსთავიანი და ოქროსგულა კაცი“ – **სუფია!**

მწვანე – უკვე ვიცით: „სულისა და გონების მარადიული გაზაფხულის“, „ჭეშმარიტების გზის“, „სატრფოს“, ანუ **სუფიზმის** აღმნიშვნელი ფერია;

ლურჯი – გამოხატავს „სატრფოსთან“, „მიჯნურთან“, ან „მოყვარესთან“ („მოყვასთან“, „მეგობართან“) განშორებით გამოწვეულ **სევდასა** და **დარდს** და **იმედიან მოლოდინს** მასთან კვლავ შეყრისა;

ნითელი – **„სისხლი“, „სიცოცხლე“, „სული“** და ამ სულის თვისება – **„ცეცხლი სიყვარულისა“**, რომელიც განშორებისას კი არ ნელდება, პირიქით, უფრო ღვივდება, ძლიერდება და მიჯნურს ახალი და ახალი „საგმირო საქმეებისაკენ“ უბიძგებს;

ლაჟვარდისფერი – **„აისს“, „განთიადს“**, ე.ი. **„მზის აღმობრწყინების მოახლოებას“** მოასწავებს, ანუ – **„გამარჯვების მოახლოების დღესასწაულს “;**

მეწამული (ძოწისფერი, „ძოწეული“) – ჩემი აზრით, **განსაკუთრებულ ახსნას საჭიროებს:** საქმე ის გახლავთ, რომ ცნება **„ცხოვრება“, „ცხოვრებისეული ორომტრიალი“** სუფიზმში აღინიშნება სიმბოლოთი **„ზღვა“, „ოკეანე“** (ქართულად **„ცხოვრების მორევს“** ვეტყვით), ხოლო ძველი არაბი სუფიებისათვის ზღვა სწორედ... მეწამული ფერისა იყო, რადგან ისინი (ყოველ შემთხვევაში, მრავალი მათგანი მაინც) მეწამული ზღვის ნაპირებზე სახლობდნენ და იღვწოდნენ;

თეთრი – ადამიანის სულისა და მისი მრწამსის სისპეტაკეზე, **სარწმუნოების, რწმენის ერთგულებაზე** მიანიშნებს;

და, ბოლოს:

შავი – **„სიბრძნის“** სინონიმია – როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც...

ჩემი აზრით, ეს ინფორმაცია სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ სულ სხვანაირად დავინახოთ და ახლებურად შევაფასოთ ინ–იანის სიმბოლოში კოდირებული აზრი – ყოველ შემთხვევაში, მიკრო-კოსმის დონეზე მაინც: **„ადამიანი** (იდეალში – **ადამიანები,** ადამიანების ერთიანობა – **საზოგადოება, ერი) ღვთისაგან შექმნილია, როგორც განსხეულებული, ხორცშესხმული ჰარმონია რწმენისა და სიბრძნისა, ალვსილი ღვთაებრივი სულით!“**

✧ ✧ ✧

პოემის პროლოგშივე ჩნდება ერთ-ერთი გმირი **ტარიელი:**

6. „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება!
ძალი მომეც და შეწევნა – შენგნით მაქვს: მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ **ტარიელს – ტურფადცა უნდა ხსენება...**
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება!

7. მო, დავსხდეთ... **ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი! მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი?!...** "

და სხვ.

ეს „გამოჩენა", ერთი მხრივ, ლოგიკურია (ოდესმე ხომ უნდა გამოჩენილიყო მაინც!), მეორე მხრივ კი – მოულოდნელი!

რატომ – მოულოდნელი?

თავად განსაჯეთ:

ჯერ მხოლოდ მე-6 სტროფამდეა პოემის მკითხველი მისული; წინა სტროფებში და მე-6 სტროფის 1-2 სტრიქონებშიაც საუბარია სავსებით კონკრეტულ, „სახელებზე" (1-სა და მე-2 სტროფებში – **ღმერთზე**, მე-3 და მე-4-ში – გვირგვინოსნებზე: თამარსა და დავითზე), და კიდევ – ავტორის საკუთარ, ასევე რეალურ განცდებზე („გასტეხს ქვასაცა მაგარსა...", „ან ენა მინდა გამოთქმად...", „ძალი მომეც და შეწევნა..."), და ამ დროს უცებ – „მით შევეწივნეთ ტარიელს"! ხოლო, ვინ არის ეს „ტარიელი", საიდან გაჩნდა – არ ვიცით.

ჯერ არ ვიცით!

ძალიან მალე, უკვე მომდევნო ფრაზებიდანვე ხდება ცხადი, რომ დიდი, დიდად მნიშვნელოვანი ვინმე ბრძანებულა **უეჭველად**, რადგან:

ა) მას თურმე აქაც კი – მირონცხებულ გვირგვინოსანთა გვერდით – რატომღაც, „ტურფადცა უნდა ხსენება"!;

ბ) იგი იმდენად ახლო დამოკიდებულებაში ყოფილა თამარსა და დავითთან, უფრო მეტიც – ამ სამი ადამიანის ბედ-იღბალი იმდენად მჭიდროდ ყოფილა ურთიერთ-გადახლართულ-გადაჯაჭვული, რომ სწორედ ამ გარემოებას იყენებს საბაბად პოემის ავტორი, რათა „ტარიელიც" მოქმედებაში ჩართოს. ეს არგუმენტი („მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება!"), როგორც დრომ აჩვენა, საკმაოდ ძლიერიც აღმოჩნდა, რადგანაც პოემა „შედგა", გადარჩა და ჩვენამდეც მოაღწია

გ) „მნათობი" – აქაც და ყველგან სხვაგანაც – მბრძანებლის, მეფის, ხელმწიფის სახე-სიმბოლოა, და, უყოყმანოდ მიაკუთვნებს რა „ტარიელს" ამ „მნათობთა სამეულს", „რუსთველი" მას სოციალური იერარქიის იმავე საფეხურზე მოიაზრებს,

რომელზედაც თამარი და დავითი დგანან (საყურადღებოა, რომ საკითხის ამგვარი დაყენება არც „დამკვეთებს“ ეწოთირათ, როგორც ჩანს)... თუმცაღა, ერთი კია: ეტყობა, ვილაცას (თუ ვილაცეებს) გარკვეული ეჭვი თუ პრეტენზია გასჩენიათ „ტარიელის“ პიროვნების მიმართ, და პოეტი ამთავითვე – მისი პირველი და, ფაქტობრივად, გაკვრით ხსენებისთანავე – კრიჭაში უდგება ამ „ვილაცას“ (თუ „ვილაცეებს“): თითქოსდა, ნიშნისმოგებით, სარკასტულად შენიშნავს **(ირონია, სარკაზმი საერთოდ, იუმორის გრძნობა – ძალზე დამახასიათებელი თვისებაა ჩვენი ავტორისა, როგორც ჭეშმარიტი სუფისა)**: „მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი“-ო!

და... მორჩა!

მეტი არაფერი!

„ტარიელი“ სცენიდან ქრება!

ქრება ისევე მოულოდნელად, როგორც გამოჩნდა...

ამგვარი მოულოდნელი გამოჩენა-გაქრობა საერთოდ დამახასიათებელია „ტარიელისათვის“. ზუსტად ასევე გვევლინება იგი პირველად სიუჟეტშიაც, კერძოდ – როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობა-შეჯიბრის ეპიზოდის ფინალში.

82. „იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა.
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა,
ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა...“

ანუ: არც თვითონ როსტევან მეფესა და ავთანდილს(„ორნივეს“), არც „ლაშქართა“ (რომელნიც „უფროსნი ბზეთასა“ ყოფილან) და არც თორმეტ მონას, რომლებიც „უმხნესი სხვათა მხნეთასა“ იყვნენ და, როგორც ჩანს, როსტევანის პირად დაცვას შეადგენდნენ, ირგვლივ საეჭვო და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არავინ და არაფერი შეუმჩნევიათ, „...და თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა“.

მაგრამ უცებ:

83. „ნახეს: უცხო მოყმე ვინმე – **ჯდა მტირალი წყლისა პირსა;**
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა;
ხშირად ესხა **მარგალიტი** ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.

84. მას ტანსა კაბა ემოსა **გარეთმა ვეფხის ტყავისა,**
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა;
ხელთა **ნაჭედი მათრახი** ჰქონდა უსხოსი მკლავისა...
ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა!"

(არც გაემტყუნებოდათ – ვინ არ დაინტერესდებოდა?!)

მსჯელობის დასაწყისშივე ვთქვი: პოემის ტექსტი (თავიდან ბოლომდე) პირდაპირ „გადაპენტილია"-მეთქი სუფიური სიმბოლიკითა და ტექნიკური ტერმინებით და, თუ ვინმე და რამე მყავდა მაშინ მხედველობაში, ეს, პირველ რიგში, სწორედ „ტარიელი"და მასთან დაკავშირებული მოვლენა-გარემოებანი გახლდათ.

თავად განსაჯეთ:

„ვეფხვს", „ვეფხვის ტყავსა" და მისგან დამზადებულ ტანსაცმელს (კაბასა და ქუდს) თავი რომ დავანებოთ (ამაზე, მგონი, უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ), **წმინდა სუფიური სიმბოლოებია: „შავი ცხენი", „მათრახი", „მარგალიტი"...**

რას აღნიშნავს თითოეული მათგანი?

სუფიზმის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორია და ყველაზე გავრცელებული ტექნიკური ტერმინია არაბული სიტყვა **„ტარიკ(ა)"** /სპარსულად „ტარიკატ"/, რომელიც შინაარსობრივად ზუსტად შეესატყვისება ჩინურ „დაო"-სა და იაპონურ „დო"-ს და ნიშნავს **გზას**, უფრო კონკრეტულად – „ადამიანის **ჰარმონიული** (ერთდროულად: ფიზიკური, გონებრივი და სულიერი) **განვითარების გზა"-ს.**

მართალია, ამ ტერმინმა დროთა განმავლობაში გარკვეული ევოლუცია განიცადა და მოგვიანებით იგი აღნიშნავდა სუფიზმის უკვე კონკრეტულად რომელიღაც მიმდინარეობას (სუფიათა კონკრეტულ „წრეს", „საძმოს", „ორდენს"...), მაგრამ მას არც პირვანდელი მნიშვნელობა დაუკარგავს, ხოლო იმთავითვე იგი, ფაქტობრივად, იყო სინონიმი სიტყვისა **„ატტასავვუფ"** (ამ სიტყვით აღინიშნება არაბულში ცნება „სუფიზმი").

ანუ **„ტარიკ(ა)"** – **გზა** – იგივე **„სუფიზმი"**-ა, შესაბამისად **სუფია** – იგივე **„გზაზე დამდგარი კაცი"**, ანუ **„მგზავრი", „მოგზაური", „ყარიბი"...**

და ესეც ხომ ვიცით: ყველა პროფესიას, ყოველგვარ საქმიანობას ადამიანისას – თავისი, ყველასგან გამორჩეული ატრიბუტი აქვს, რომელიც ამ საქმიანობის სახე–სიმბოლოდაც შეიძლება გამოდგეს (და, ხშირად, ითვლება კიდეც); **მწერლისათვის** ასეთი ატრიბუტია, უპირველეს ყოვლისა, **კალამი; მეცნიერისათვის – წიგნი; მეომრისათვის – მახვილი,** როგორც საზოგადოდ **იარაღის სიმბოლო,** ხოლო **მოგზაურ-ყარიბისათვის** ესაა **არგანი,** ანუ უბრალოდ, საკმაოდ გრძელი და საკმაოდ მსხვილი ჯოხი (გნებავთ, კეტი), რომელსაც იგი – გარემოებისამებრ – ხან საბრჯენად იყენებს, ხან – ოთხფეხა თუ ორფეხა მომხდურის მოსაგერიებლად.

ასეთი სუფიური გადმოცემაც არსებობს: „ერთსა ჰკითხეს: ხომ არც მოხუცი ხარ, არც – ავადმყოფი და, რა არის, ერთთავად ჯოხით რომ დადიხარო?– ამით ჩემს თავს შევახსენებ, რომ „გზას ვადგავარ“, აქ მხოლოდ დროებითა ვარ შეჩერებული და ნებისმიერ წამს მზად უნდა ვიყო გზის გასაგრძელებლადო,უპასუხა მან, ცხადია – სუფიამ! (იხ. Абдуль фарадж. Книга занимательных историй. Москва-Ленинград. 1961 г.).

მაგრამ, მოგეხსენებათ, **მგზავრი** ქვეითიც არსებობს და რაიმე ცხოველზე ამხედრებულიც – ხარზე, კამეჩზე, აქლემზე, ცხენზე, ვირზეც კი.

შესაბამისად, **ცხენზე ამხედრებული „მგზავრის“ ატრიბუტია მათრახი** – იმავდროულად ძალაუფლების, მმართველობის, ბატონ–პატრონობის (აქ იგულისხმება: **„საკუთარ თავზე ბატონობა“, „საკუთარ ვნებათა სრული კონტროლი და მართვა“**) სიმბოლო.

თვით **„ცხენი“ „გზის“ („ტარიკა“)** სიმბოლოა, ხოლო მისი ფერი აღნიშნავს ამ გზის **რაობას**, უფრო ზუსტად: **ფერი მიანიშნებს** იმ მონაკვეთს „გზისას“, **იმ ეტაპს თვითგანვითარებისას,** რომელზედაც იმყოფება ამჟამად „მხედარი-ყარიბი“. რამდენადაც ჩვენ უკვე ვიცით **„შავი ფერი“**-ს სიმბოლური მნიშვნელობაც, ადვილად მისახვედრია, რომ **„ტარიელი“** საერთო **„გზის“** უკანასკნელ მონაკვეთზე – **„სიბრძნის ეტაპზე“** ყოფილა გასული(შედარებისთვის: სანადიროდ ამხედრებული ავთანდილი

ჯერ მხოლოდ „ძოწეულითა მოსილი“-ა და თეთრ ცხენზე ზის (იგი-ო, „მოდგა თეთრტაიჭოსანი“)!

რაც შეეხება მარგალიტს, ცნობარებიდან შემდეგი ინფორმაციის მოპოვებას შევძლებთ:

„მარგალიტი“ – სფეროსებრი ან არასწორი ფორმის წარმონაქმნია, რომელიც ვითარდება ზოგიერთი მოლუსკის (კერძოდ, ორსაგდულიანი და მუცელფეხა მოლუსკების) ორგანიზმში რაიმე უცხო სხეულის (ბაქტერია, კენჭი, **ქვიშის მარცვალი**...)მოხვედრის შედეგად. ამ უცხო სხეულის გარშემო – კონცენტრულად, ფენა-ფენა – დაგროვებას იწყებს **სადაფი,** იგივე **პერლამუტრი** (გერმ. Perle– მარგალიტი, Mutter – დედა), რომლის თხელი ფენითაც, ნორმალურ პირობებში, დაფარულია ამ მოლუსკების ნიჟარის შიგნითა ზედაპირი.

ქიმიურად ეს ნივთიერება, ძირითადად, შედგება **არაგონიტის** (კარბონატების $CaCO_3$ კლასის მინერალი) კრისტალებისგან.

მარგალიტს ახასიათებს **ცისარტყელისებრი ელვარება.** იგი ერთ-ერთ უძვირფასეს სამშვენისად ითვლება და, რაც უფრო დიდი ზომისაა, მით უფრო მეტად ფასობს“.

მარგალიტის, ამ უმშვენიერესი „ცოცხალი ქვის“ ხატი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, სრულიად განსაკუთრებული დატვირთვის მქონე სახე-სიმბოლოა არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“, არამედ, საერთოდ, მთელ სუფიურ ლიტერატურაშიც.

ამასთანავე აღმოჩნდა, რომ იგი ის „წყალქვეშა კლდეცაა“, რომელზედაც არაერთი მეცნიერის „ცოდნის ხომალდი“ დამსხვრეულა. თუმცაღა – ესაც უნდა ვთქვათ! – არც საკვირველია.

თავად განსაჯეთ:

როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურაში სიტყვა „მარგალიტი“ უხსოვარი დროიდან იხმარება და, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მისი პირდაპირი მნიშვნელობით.

ამ მხრივ, არც „ვეფხისტყაოსანია“ გამონაკლისი; მაგ.:

„უხვად გასცეს საბოძვარი, **მარგალიტი,** ვითა დრამა!“ (683)
„ოქროც რამე წარიტანეს, **მარგალიტი** ღარიბები...“ (1367)
„ოქრო, თვალი, **მარგალიტი** – მშვენიერი სანახავად!“ (1643)

მაგრამ, ამასთანავე, ეს სიტყვა არის ერთ-ერთი უძველესი ეპითეტი და მეტაფორაც, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მწერალ-პოეტები.

ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა, რა მნიშვნელობით იხმარებოდა იგი.

ძველი არაბული პოეზიის მთარგმნელები – თინათინ მარგველაშვილი და გივი ციცქიშვილი, მაგალითად, მიიჩნევენ, რომ „მარგალიტები არაბულ პოეზიაში სატრფოს ლამაზი კბილების მეტაფორაა“. ეს კომენტარი დართული აქვს VIII-IX საუკუნეების არაბი პოეტის აბუ ნუვასის ერთი უსათაურო ლექსის შემდეგ ტაეპს:

„და როს ღვინო შიგ შერეულ
ღრუბლის ნაჟურს ველარ იტევს,
იღიმება და თან აჩენს
სადაფების **მარგალიტებს.**“

მთარგმნელები სრულიად სამართლიანად შენიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში „...პოეტს აქვს **ორმაგი მეტაფორა**... კბილებთან კი აქ შედარებულია ბუშტები, რომლებიც წარმოიქმნებიან ღვინის წყალთან გაზავების შედეგად“ (კომენტარები. „არმაღანი“, წიგნი მეოთხე,თბ., 1988).

ანალოგიური მნიშვნელობით „მარგალიტი“ არაერთხელაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანშიც“:

„ვნახე: ძოწსა **მარგალიტი** გარე ტურფად მოემაზრა. “ (534)

„შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს **მარგალიტი** ტყუბები. “ (1142)

„კბილ-**მარგალიტი**, ტან-ალვა, ღაწვ-ბადახშ, ყორან-თმიანი...“ (1578)

და ა. შ.

მაგრამ აბუ ნუვასის სხვა ლექსში, რომელიც ამავე კრებულშია წარმოდგენილი, ვხვდებით სტრიქონებს:

„ნარგიზებიდან ჯინანს სცვივა **მარგალიტები**,
ვარდს სილას ურტყამს, თან იხოკავს ბროლის თითებით!“

და, მართალია, ეს „მარგალიტები“ მთარგმნელებს უკვე კომენტარის გარეშე დაუტოვებიათ, მაგრამ აქ ისედაც ხომ ცხადია: „**ნარგიზებიდან**“ (ლამაზი, მშვენიერი თვალების მე-

ტაფორაა; რუსთველთან, მაგალითად,: „ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია!“ /1315/), **ჯინანს** უკვე... **ცრემლები სცვივა!**

ხოლო რუსთველს „მარგალიტის“ არც ეს მნიშვნელობა გამორჩენია მხედველობიდან:

„**ცრემლსა, ვითა მარგალიტსა**, სწვიმს ვარდისა დასანაზოდ.“ (141)
„თვალთათ, **ვითა მარგალიტი, ცრემლი** ცხელი გარდმოთოვა.“ (628)
„თვალთათ, **ვითა მარგალიტი**, გარდმოყარა **ცრემლი** ხშირი.“ (1172)

და სხვ.

(აქვე, ალბათ, უპრიანია, ისიც ვთქვათ, რომ მრავალ შემთხვევაში „მარგალიტი“ გამოიყენება აგრეთვე, როგორც საზოგადოდ **წყლის** – ზღვის, მდინარის – **შხეფების**, აგრეთვე **ნამის წვეთების** ეპითეტი ან მეტაფორა, მაგ.:

„**ცვარი**, თითქოს წმინდა **მარგალიტი** არის,
მთვარე – მოჭიმული მშვილდი!“
ვან ი ტაი, შუა საუკ. ჩინელი პოეტი)

მაგრამ აღმოსავლურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ისეთ „საჩოთირო“ ეპიზოდებს, რომელთაც საბჭოთა (და, მათ შორის, ქართული) მეცნიერება, უმეტეს შემთხვევაში, „მორცხვი“ დუმილით უვლიდა გვერდს. ასე, მაგალითად:

„იქვე ეწერა: ასეთია განგების ნება –
როცა ეს ვაჟი წამოჰყოფს თავს ქვეყნის მპყრობელი,
შვიდი სამეფოს შვიდი მეფის შვიდ ლამაზ ასულს
გულში ჩაიკრავს ის **ობოლი მარგალიტივით...**“

ნიზამი განჯელი, „ბაჰრამ გური“

ალბათ, ცხადია, რომ ეპითეტი „ობოლი მარგალიტივით“ აქ სრულიად არაორაზროვნადაა გამოყენებული „შვიდი ლამაზი ასულის“ მიმართ. კი მაგრამ, საჩოთიროს აქ რას ხედავთო, – იკითხავთ.

საქმე ისაა, რომ ნიზამი შემდეგ უფრო შორს „მიტოპავს“:

„ნოყმანი, შვილი იემენის მეფის – მონზერის,
ტახტისთვის მებრძოლს ამოუდგა ბაჰრამ-გურს გვერდში.

მიართვა ბაჰრამს ლაშქრობისთვის ურიცხვი განძი;
იმდენი იყო **მარგალიტი – ვინ გახვრეტდა მათ!**“

ხოლო ამ საკმაოდ ბუნდოვანი პასაჟის შემდეგ (აქ გულუბრყვილო მკითხველმა შეიძლება გაიკვირვოს კიდეც: „მარგალიტების გახვრეტა რაღა მეფეთა სადარდებელი იყოო, ვითომ!“) ნიზამი უკვე ყოველგვარი მიდებ-მოდების გარეშე გვიცხადებს, რომ:

„როგორც კი ქალაქს მიატანა, სიტყვის პატრონმა,
გვირგვინი ისკვნა თავის გულის სასურველ ქალთან:
...გახვრიტა მარჯნით მარგალიტი გაუხვრეტელი!
– თევზმა ჩათვლიმა, როცა ჩიტმა გამოიღვიძა...“

საერთოდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, **ეროტიზმი**, მეტ-ნაკლები სიმძაფრის ეროტიკული სურნელი შუა საუკუნეების – განსაკუთრებით, რენესანსის ეპოქის – პოეზიისათვის საკმაოდ ჩვეულებრივი, იქნებ ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაც კი იყო. მითუმეტეს, რომ ცხოვრებისეული პერიპეტიების აღწერისას თვით დიდი პოეტებიც კი ჩვენთვის საკმაოდ უჩვეულო ნატურალიზმს უყოყმანოდ მიმართავდნენ, რათა მათ მონაყოლს ხელოვნურობის ჩრდილი ზომაზე მეტად არ მისდგომოდა და მას დამაჯერებლობა არ დაეკარგა; გავიხსენოთ, თუნდაც, სულისშემძვრელი სცენა „ვეფხისტყაოსნიდან“:

„დავარ მოსთქმიდა **სიტყვათა, რომელნი არა მსმენოდეს:**
–ბოზო, შე ბოზო, რად მომკალ! ვეჭვ, შენცა არა გლხენოდეს!
როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე?
ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე?
...
ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,
დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოუქლუშნა... “
(575, 576, 577)

თუმცაღა, „რადღა ვაგრძელებ სიტყვასა – ყამია შემოკლებისა“: ცხადია, რომ ზემოთ მოყვანილ ეპიზოდებში (ლაპარაკია „ბაჰრამ გურიდან“ მოყვანილ ეპიზოდებზე) **მარგალიტი**

– **ქალის მეტაფორაა**, თანაც საკმაოდ დაკონკრეტებულია (აქ, ყოველი შემთხვევისთვის, მანდილოსნებთან ბოდიშს მოვიხდი): **გაუხვრეტელი მარგალიტი – ქალწული** ყოფილა, **გახვრეტილი მარგალიტი** კი – **დედაკაცი.**

იმის დამადასტურებელ მაგალითებს, რომ ეს ასეა (და არა მხოლოდ ნიზამი განჯელთან), დაინტერესებული მკითხველი, ვფიქრობ, საკმაოდ მოიძიებს სპარსულ-არაბულ ლიტერატურაში და არა მხოლოდ იქ. ჩვენს დიდ პოეტს დავით გურამიშვილსაც, მაგალითად, მიაჩნია, რომ

„ნამუსიანად მქცეველი **ქალი**
არს მარგალიტი, ძვირფასი თვალი!"

როგორც ჩანს, სწორედ ეს გარემოება გახდა მიზეზი (თუ საბაბი) იმისა, რომ ზოგიერთ მკვლევარს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა ჩვენი პოემის ერთი ეპიზოდისთვის, კერძოდ: იქ, სადაც, ტექსტის მიხედვით, ვეფხისტყაოსანი მოყმის საძებნელად წასული ავთანდილის პირველი შემოქცევისას, თინათინთან მისი პირისპირ შეყრის დროს, ამ რაინდს **„ქალმან მისცნა მარგალიტნი,** სრულქმნა მისი საწადელი! " (სტრ. 707), **თითქოსდა,** იგულისხმება, რომ მან საკუთარი თავი, საკუთარი ქალწულობა „მიუძღვნა" მიჯნურს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ასეთ ინტერპრეტაციას, უდავოდ, აქვს გარკვეული **თეორიული** საფუძველი – მით უფრო, რომ აღნიშნულ ეპიზოდს საკმაოდ „გამჭვირვალე" პასაჟიც მოსდევს:

„რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს,
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს ახიოს..."
(708)

(ან კი, მართლაცდა, რა უნდა იყოს გასაკვირი იმაში, თუკი მიჯნურთა სიყვარული, ბოლოსდაბოლოს, მათი ფიზიკური სიახლოვით დაგვირგვინდა?! ალბათ, არაფერი...) მაგრამ!

აქ არის ერთი მომენტი – თითქმის შეუმჩნეველი და, ალბათ, ამიტომ ყურადღების მიღმა დარჩენილი შტრიხი: ავთანდილს „ქალმან მისცნა **მარგალიტნი**", და არა „მარგალიტი", ანუ ნახ-

მარია **მრავლობითი** ფორმა ამ სიტყვისა, რაც, თუკი აქ კონკრეტულ ქალზე ან მის ქალწულობაზეა საუბარი, სრულიად უადგილოა!

ისიც ვიფიქროთ ბარემ: იქნებ, გადაწერისას, რედაქტირებისას, ან ბეჭდვის დროსაა გაპარული შეცდომა (და, ე.ი., უნდა იყოს „მარგალიტი“ და არა „მარგალიტნი“, როგორც ეს ტექსტშია), ან, იქნებ, თვით ავტორი გვიბნევს შეგნებულად გზაკვალს, როგორც ამას არაერთხელ სჩადის?!

მაგრამ, არა! ყველაფერი სწორია, რადგან, მოგვიანებით, შინ დაბრუნებული

„...ყმა მივიდა, საწოლს დაჯდა, ზოგჯერ ტირს და ზოგჯერ ბნდების,
მაგრა ახლავს გონებითა, საყვარელსა არ მოსწყდების,
...
მან მარგალიტნი მოიხვნა, მის მზისა სამეყვისონი,
მის მზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყვისონი,
პირსა დაიდვა, აკოცა; ცრემლი სდის, ვითა ბისონი...“
(714, 716)

და სხვ.

როგორც ვხედავთ, აქაც **„მარგალიტნია“**, თანაც „მის მზისა **მკლავსა ნაბამნი**“ (სამაჯური ყოფილა!), ასე რომ, შეცდომა გამორიცხულია: „ქალმან მისცნა **მარგალიტნი**“, სწორედ **„მარგალიტნი“!**

ვფიქრობ, ჩემი **დასკვნა** მთლად მოულოდნელი აღარ აღმოჩნდება მკითხველისათვის: ვერსია **„ქალი არს მარგალიტი“** (დავით გურამიშვილისეული ფორმულა) – „ვეფხისტყაოსნის“ შემთხვევაში **მცდარია**, მაგრამ მცდარია **მხოლოდ ნაწილობრივ!**

ანუ: იგი **მცდარია, როგორც საბოლოო ვარიანტი**; მაგრამ, ამასთანავე, სწორედ ეს მნიშვნელობა „ბგერად-საჩხრეკი“ სახე-სიმბოლოსი წარმოადგენს თუმცა **შუალედურ**, მაგრამ **უმნიშვნელოვანეს რგოლს** იმ ლოგიკური ჯაჭვისას, რომელსაც მის კიდევ ერთ მნიშვნელობამდე მივყავართ...

ვეცდები, დავადასტურო – რატომ მგონია ასე...
გავიხსენოთ: სუფიური პოეზიის მთავარი თემა, ძირითადი მოტივი **სიყვარული** გახლავთ, ცენტრალური ფიგურა კი – ამ სიყვარულის

ობიექტი: **„საოცნებო სატრფო“, „სანატრელი ქალწული“, „მშვენიერი უცნობი ბანოვანი“**,... ანუ, **განზოგადებულად, „ქალი“!**

ხოლო, რა „სიყვარულია“ ეს და რომელ „საოცნებო სატრფოზეა“ აქ საუბარი?

იგულისხმება: **„ღვთაებრივი სიყვარული“** – პირდაპირი გაგებით, ანუ **სიყვარული ღვთაების, ღმერთის, უზენაესის** მიმართ.

აქედან გამომდინარე, **„მარგალიტი“ – ღვთაების, ღმერთის, უზენაესის სახე-სიმბოლოცაა („მარგალიტი“ – „ქალი“ – ღმერთი)!**

მაგრამ არც ეს მნიშვნელობაა საბოლოო!

... ღმერთი (ღვთაება, უზენაესი) – პირველსაწყისი და, ამდენად, განსახიერებაა ღვთაებრივ (უზენაეს, ჭეშმარიტ) სათნოებათა;

ანუ **იგი თვითონაა**

უზენაესი, ჭეშმარიტი **სიკეთე,**

უზენაესი, ჭეშმარიტი **სამართლიანობა,**

უზენაესი, ჭეშმარიტი **სიყვარული,**

უზენაესი, ჭეშმარიტი **სიბრძნე**...

მეორე მხრივ, **ღმერთი რჩება უზენაეს, უდიდეს საიდუმლოდ,** რამეთუ იგი ყველგანაა და ყველაფერშია, მაგრამ, **იმავდროულად,** ყოველთვის **უჩინარი** რჩება ადამიანის თვალთაგან, **„ღმერთი არასდროს არავის უნახავს“**(გამოს. 33, 20. I იოან., 4,12. I ტიმ., 6,16) **იოანე 1, 18.**

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, გვაქვს უფლება ვიგულისხმოთ, რომ

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიკეთე“ – საიდუმლო სიკეთეა,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სამართლიანობა“ – საიდუმლო სამართლიანობაა,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიყვარული“ – საიდუმლო სიყვარული,

„უზენაესი, ჭეშმარიტი სიბრძნე“ კი – **საიდუმლო სიბრძნე!**

ალბათ, ამიტომაც გვასწავლის ჩვენც, მის მოწაფეებს, **ღმერთი განკაცებული – უფალი, მაცხოვარი და უზენაესი მოძღვარი ჩვენი იესო ქრისტე:**

„ერიდეთ სამართლის კეთებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახად, თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციერი მამისაგან.

ჰოდა, **როცა მოწყალებას გასცემ**, ნუ გაახმაურებ შენ წინაშე, როგორც თვალთმაქცნი სჩადიან ამას სინაგოგებსა და ქუჩებში, რათა ხალხმა აქოს ისინი.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მათ უკვე მიიღეს თავიანთი საზღაური!

შენ კი, როდესაც მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა!

რათა **შენი მოწყალება დაფარულში იყოს!**

და მამაშენი, **რომელიც ხედავს დაფარულში, მოგიზღავს შენ!**"

მათე, (6, 1-4)

ხოლო **„დაფარული" ბიბლიური სინონიმია სიტყვისა „საიდუმლო".**

ასეთივე მნიშვნელობით იყენებს მას „ვეფხისტყაოსნის" ავტორიც:

ა) „ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული;

ყმასა უთხრა: – მესწრაფების, მითხარ შენი **დაფარული**, ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრული?... "

(281)

ბ) „...კარის მცველმან მონა უხმო, უთხრა საქმე **დაფარული**..."

(389)

გ) „შე-რასმე-ჰყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არმალული:

– ერთსა რასმე მოგახსენებ: გამიცხადე **დაფარული** –

ეგე სამხრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,

რაგვარ გიყვარს, რაგვარ გილირს? – თქვი, დავიღო მერმე სული!"

(892)

დ) „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა:

„არ იხმარებ – რა ხელსა ჰხდი საუნჯესა **დაფარულსა**? "

(899)

ე) „ამ საქმესა **დაფარულსა** ბრძენი დივნოს გააცხადებს..."

(1486)

ვ) „ტარიელცა დაიზახნა, **დაფარული** გააცხადნა."

(1583)

ზ) „ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან **დაფარული**!"

(1447)

რადგან **ქმნა** ჭეშმარიტი სიკეთისა (სახარებისეული „მოწყალების გაცემა“), **ალსრულება** ჭეშმარიტი სამართლიანობისა (სახ. „სიმართლის კეთება“) და **ხორცშესხმა** ჭეშმარიტი სიყვარულისა (სახარება იოანესი, 14, 34: „...გიყვარდეთ ერთმანეთი! **როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ!**“), უპირველეს ყოვლისა, ყოველივე ამის ე.წ. „თეორიულ ცოდნასა“ და „პრაქტიკულ უნარს“ მოითხოვს, ანუ – **ჭეშმარიტ ცოდნას, ჭეშმარიტ სიბრძნეს**, გამოდის, რომ ეს უკანასკნელი ზემოთ ჩამოთვლილ სათნოებათაგან წარმოადგენს ერთგვარ **შესაკრებელს** დანარჩენებისას, ე.ი.: **ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი სიბრძნე თავის თავში აერთიანებს, შეიცავს ყველა სხვა ღვთაებრივ სათნოებებს – ჭეშმარიტ სიკეთეს, ჭეშმარიტ სამართლიანობას, ჭეშმარიტ სიყვარულს...**

აი, სწორედ ამ **ღვთაებრივ სათნოებათა შესაკრებლის – ჭეშმარიტი**, *საიდუმლო* („დაფარული“) *სიბრძნის* (იგივე *ცოდნის*, იგივე *მოძღვრების*) –ან, უბრალოდ, **უზენაესი ჭეშმარიტების** სახე-სიმბოლოა აქ **„მარგალიტი“!**

„ცათა სასუფეველი წააგავს საუნჯეს, მინდორში **დაფარულს**, რომელსაც იპოვის კაცი და **დამალავს**, სიხარულით მიდის და ყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და **ყიდულობს** იმ მინდორს.

და კიდევ: ცათა სასუფეველი წააგავს ვაჭარს, რომელიც **ლამაზ მარგალიტებს** ეძებს;

როდესაც იპოვის **ერთ ძვირფას მარგალიტს**, – წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია, და **იყიდის** მას! “

მათე (13, 44–45–46)

(ცხადია, აქ „სასყიდელში“ არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობები უნდა ვიგულისხმოთ – თუმცა, პირველ რიგში, სწორედ ისინი, რადგან „ძნელია მდიდრისთვის სასუფეველში შესვლა... უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში!“ **(მათე, 20, 23–24)** – არამედ **დახარჯული დრო და გაწეული შრომა:**

„მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად!“

(161)

...აქ, ვფიქრობ, კიდევ ერთი საკითხი უნდა დაზუსტდეს და, კერძოდ, აი რა:

ბავშვიც კი მიხვდება – მარგალიტები, „რუსთველის“ ეპოქაშივე, მილიონობით თუ არა, ალბათ, ასეულ ათასობით მაინც მოიპოვებოდა, ჭეშმარიტი სირძნე, ჭეშმარიტი ცოდნა, ჭეშმარიტი მოძღვრება – ანუ, უბრალოდ, **უზენაესი ჭეშმარიტება კი ერთადერთი შეიძლება იყოს მხოლოდ!**

და როგორ ებმის ერთიმეორეს ეს ორი გარემოება? **პასუხი**: ძალზე მარტივად.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ყოველი მცოდნე იოლად გაიხსენებს, რომ თუკი **თავიდან ავტორი არ აკონკრეტებს მარგალიტების ზომა – წონა – რაოდენობას**, – სხვათაშორის, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ სიტყვას აშკარად სუფიური ტექნიკური ტერმინის დატვირთვა აქვს (მაგ. სტრ. 83: „ხშირად ესხა **მარგალიტი** ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“, სტრ. 707: „ქალმან მისცნა **მარგალიტნი**, სრულქმნა მისი საწადელი“) – **პოემის ფინალურ ნაწილში** – ქაჯეთის ციხის აღების შემდგომ ეპიზოდებში – **იგი საკმაოდ აშკარად, დემონსტრაციულადაც კი უსვამს ხაზს რაოდენობრივ მახასიათებელს:**

ა) „იგი ტაბაკი სავსეა **მარგალიტითა სხვილითა.**“ (1461)

ბ) „კვლა **მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა.**“ (1553)

გ) „**ცხრა მარგალიტი** სიდიდით **მართ ვითა კვერცხი ბატისა.**“ (1459)

დ) „ფრიდონს უძღვნა **ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავმოდგმული.**“ (1554)

ე) „ჩნდის **მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა.**“ (1361)

და, ბოლოს (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: „უპირველეს ყოვლისა!“):

ვ) „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელსაგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი – **საქმე ვქმენ საჭოჭმანები!**“

ვფიქრობ, დიდი ახსნა-განმარტება აღარაა საჭირო: **ჭეშ-**

მარიტი სიბრძნის, ჭეშმარიტი ცოდნის, უზენაესი ჭეშმარიტების სახე-სიმბოლო – სწორედ ეს „**ხელიხელსაგოგმანები**“ „**ობოლი მარგალიტია**“, ანუ ისეთი მარგალიტი, **რომლის ბადალი – ტოლი და სწორი მეორე – არსად მოიპოვება** (ამიტომაცაა იგი **ობოლი**)! სხვა „მარგალიტები“ კი (დაღმავალი ხაზით: „ოდენი ბურთისა საბურთალისა“,„სიდიდითა მართ ვითა კვერცხი ბატისა“, „მართ ვითა კვერცხი ტრედისა“, „მარგალიტი სხვილი “, უბრალოდ „მარგალიტი“ ან „მარგალიტნი“ – ჩვეულებრივი **„ცოდნის მარგალიტებია“**, ანუ **მეტ-ნაკლები მნიშვნელობის** (რაოდენობრივი მაჩვენებლიდან გამომდინარე!) **„ჭეშმარიტებათა“ შემცველი „საიდუმლოებებია“**, რომელთა **განდობა** ხდება „გზის“ სხვადასხვა ეტაპზე, როგორც **მაძიებლის** (მოწაფის, შეგირდის, **მიურიდის**), ისე **მასწავლებლის** (მოძღვრის, ოსტატის, **მურშიდის**) **ცოდნა–კვალიფიკაციის** შესაბამისად...

კიდევ ერთი რამ: **ნებისმიერი ცოდნა თავისთავად დიდი ძალაა, მძლავრი იარაღია მის ხელში, ვინც მას ფლობს. მითუმეტეს – ჭეშმარიტი სიბრძნე, უზენაესი ჭეშმარიტება – „ობოლი მარგალიტი“! ეს დიდი სიკეთე აუცილებლად ასევე დიდ ბოროტებად იქცევა უკეთურთა ხელში!** ამიტომაც გვმოძღვრავს მაცხოვარი მის მესავთ:

„ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ!

ვინაიდან ყოველი, ვინც ითხოვს – ღებულობს, ვინც ეძებს – პოულობს,

და ვინც აკაკუნებს – გაეღება.“

მათე (7, 7-8)

მაგრამ:

„ნუ მისცემთ წმიდას ძაღლებს, და **ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს**, რათა ფეხებით არ გათელონ ისინი, არ მოგიბრუნდნენ და **თქვენც არ დაგგლიჯონ!**“

მათე (7, 6)

(საფიქრებელია, რუსთველსაც ამიტომ მიაჩნია, რომ „საქმე ჰქმნა **საჭოჭმანები**“!)

ამრიგად: როგორც ასეთი, **„მარგალიტი“** საზოგადოდ **სი-**

ბრძნის, ჭეშმარიტების სახე-სიმბოლო ყოფილა – იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, **ყოველთვის „(და)ფარულია"; იგი არ ბრწყინავს – მოკრძალებულად ელვარებს მხოლოდ,** მაგრამ მაინც გონებისწამღებად მშვენიერია, როგორც თვით მარგალიტი; ამასთანავე, **იგი ყოველთვის მარტივია და უბრალო – როგორც ქვიშის მარცვალი,** ამ მარგალიტის **გულში** რომ გაყურსულა! (აქედან – მოარული გამოთქმაც: „მარტივი, როგორც ჭეშმარიტება!")

„მარგალიტის" ამგვარი ინტერპრეტაციის პირველაღმომჩენობას (ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს) ვერ დავიჩემებ; აი, ნახეთ:

„ყოფნა–არყოფნის **საიდუმლო** – აუხსნელია,
ეს **მარგალიტი** – კაცის ხელით აუსხმელია!
ბევრი რამ თქმულა, რომ აეხსნათ გონების ძალა,
მთავარი მაინც – **დაფარული და უთქმელია!**"

ნიზამი განჯელი, „ბაჰრამ გური"[1]

მგონი, ამავე „ყოფნა–არყოფნის საიდუმლოს" დაეძებდა **სულხან–საბა ორბელიანიც** – ხან მშვიდად და დინჯად:

„მოცდის **ნავი** ნაღვლის **ზღვასა შევაცურვე** სარგებელად,
ან დავითქმი, ან – **მარგალიტს** ამოვიღებ, **ვიგდებ ხელად!**"

ხან კი – ფიცხლად და გაშმაგებით:

„ჩავიჭრა ოკეანესა – ზღვის ფსკერმა სწრაფად მიტია,
ანუ სრულიად დავინთქა, ან – **ვპოვო მარგალიტია!**"

... და, ბოლოს: სიტყვა **„მარგალიტი"** ჩვენს პოემაში მოხსენიებულია სულ... 33-ჯერ! აქედან 9-ჯერ – როგორც „ჭეშმარიტების საიდუმლოს", გნებავთ, „საიდუმლო ჭეშმარიტების" („საიდუმლო სიბრძნის", „საიდუმლო ცოდნის") აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინი.

ალბათ, უკვე გასაგებია – რატომაც...

ზემოთ გამოვთქვი მოსაზრება, დიდი ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთ ცნობილ ტილოზე („ბანოვანი ყარყუმით") გა-

1 თარგმანი – აქაც, და ყველგან სხვაგანაც, მაგალი თოდუასი.

მოსახულია-მეთქი არა რომელიმე კონკრეტული, ხორციელი ქალბატონი, არამედ **„ქალი“** (**„საოცნებო სატრფო“**, **„სანატრელი ქალწული“**, **„მშვენიერი უცნობი“**,...) – როგორც სახე-სიმბოლო კონკრეტულად **ღმერთისა**, ღვთაებისა, და, საზოგადოდ, **ყოველივე ღვთაებრივისა**, მათ შორის: ღვთაებრივი, უზენაესი სიბრძნისა – **სუფიზმისა**... ხოლო **ყარყუმი** – სახე-სიმბოლოა ღვთითგანბრძნობილი, გასხივოსნებული ადამიანისა, „ოქროსთავიანი“ და „ოქროსგულა“ კაცისა – **სუფისა...“**

მოგვიანებით მოვიპოვეთ ინფორმაცია იტალიელ მეცნიერთა სულ ახალი აღმოჩენის შესახებ:

თურმე, მიკვლეულია **ისტორიული დოკუმენტები**, რომლებიც ადასტურებს რომ „დედამისი – მონა იყო, რომელიც და ვინჩის მამამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჯვაროსნული „მოგზაურობის“ შემდეგ ჩამოიყვანა...1452 წელს, და ვინჩის დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მამამისმა მხატვრის დედა, კატერინა, ცოლად გააყოლა თავის მსახურს. თუმცა, ახალი ოჯახის შექმნის მიუხედავად, კატერინა აგრძელებდა ბიჭთან ურთიერთობას: **ასწავლიდა მას მათემატიკის საფუძვლებს, ფილოსოფიას** (ალბათ,გასაგებია, თუ რა „ფილოსოფიას“), **ხატვას...** და ვინჩის შემოქმედების მკვლევარები **აღნიშნავენ მის ინტერესს აღმოსავლური კულტურის მიმართ,** აგრეთვე, **აღმოსალური მოტივების არსებობას** მის მხატვრულ და მუსიკალურ შედევრებში...“ (გაზ. „კვირის პალიტრა“, 11-17.11.2002 წ.)

ეს აღმოჩენა, უდავოდ, მხარს უმაგრებს ჩემს ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას – ყოველ შემთხვევაში, მის მეცნიერულ ასპექტს მაინც...

მივბრუნდეთ „წყლისა პირს“, სადაც ჩვენს გმირს – ტარიელს მხოლოდ „შევავლეთ თვალი“ და ეს ერთი „თვალის შევლებაც“ კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა უამრავი კითხვა გაგვჩენოდა.

კერძოდ, გასარკვევი აღმოჩნდა, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს (რა თქმა უნდა, **სუფიზმის** პოზიციებიდან) „უცხო მოყმის“ იმ ატრიბუტიკას, რომელზედაც ასე **ხაზგასმითა და საგანგებოდ** მიგვანიშნებს ავტორი: **„შავ ცხენს“** – რომელიც „სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“ (083), **„მარგალიტს“** – რომელიც

„ხშირად ესხა... ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“ (083), **„ვეფხის ტყავს“** – რადგან „მას ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა, / ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“ (084) და მის **„მათრახს“**, რომელიც „ნაჭედი“ და „უსხოსი მკლავისა“ ყოფილა!

და – რა გავარკვიეთ?

ა) **„ტარიელი“ – სუფიაა** („ვეფხვი“ – **სუფიზმის**, სუფიური მოძღვრების **სიმბოლოა**, შესაბამისად: ვეფხვის ტყავის მატარებელი, ვეფხვის ტყავით მოსილი ადამიანი, ანუ **ვეფხისტყაოსანი** – სუფიური მოძღვრების მიმდევარი, სუფიზმის ადეპტი, ანუ **სუფიაა**.).

მაგრამ სუფიაც არის და სუფიაც...

ბ) **იმ დროისათვის, როდესაც ჩვენ მას პირველად ვხვდებით, იგი** – ჯერ კიდევ! – **დერვიშია**, ანუ **მოხეტიალე სუფია** (სპარს., თურქ. „დარვიშ“, არაბ. „ფაკირ“ – ღარიბ-ღატაკი, მათხოვარი, უპოვარი. – „ისლამი“: ენციკლოპედიური ცნობარი. გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1999) – თუმცა, უკვე სუფიური **გზის** („ტარიკა სუფიაა“) ამ ეტაპის – „ყარიბობის ეტაპის“ უკანასკნელ მონაკვეთზე – **სიბრძნის მონაკვეთზე გასული** (სიმბოლო: **„შავი ცხენი“**! „ყარიბობის ეტაპს“ მაძიებელი **„თეთრ ცხენზე ამხედრებული“** იწყებს...): **იგი აბსოლუტურად ფლობს საკუთარ „მე“-ს** – მთლიანად და სრულად აკონტროლებს და მართავს თავის ვნებებსა და ემოციებს (სიმბოლო: **„მათრახი“**) და სუფიური მოძღვრების **არაერთ საიდუმლოსაა ნაზიარები** (სიმბოლო: **„მარგალიტი“**, რომელიც **„ხშირად ესხა...“**).

მას, ვინც **გულისყურით** გაეცნო ჩვენს მსჯელობას, ვფიქრობ, არ გაუჭირდება იმის მიხვედრა, თუ რატომ **მაინცადამაინც** „წყლისა პირსა“ „ჯდა მტირალი“ მოყმე, ან კიდევ **რა „ატირებდა“ ადამიანს, რომელიც**, როგორც უკვე ვთქვით, **მთლიანად და სრულად აკონტროლებს და მართავს საკუთარ ვნებებსა და ემოციებს (...?!)**

ადრე, უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ **„წყალი“ საზოგადოდ („ოკეანე“, „ზღვა“, „ტბა“,...) – ცხოვრებაა, წუთისოფელი; „მიმდინარე წყალი“, „წყლის დინება“**, ე.ი. **„მდინარე“** კი, შესა-

ბამისად, **წუთისოფლის მდინარებას** აღნიშნავს, ანუ, უბრალოდ, **დრო**-ს...

რაც შეეხება **„ტირილს“, „ცრემლთა ღვრას“** – იგი **უზენაესის გამძაფრებულ მისტიურ წვდომაზე** მიუთითებს...

უფრო გასაგებად ჩამოვაყალიბოთ სათქმელი: **როსტევანი, ავთანდილი და მათი მხლებლები მოულოდნელად წაადგნენ თავს დერვიშს (მოხეტიალე სუფიას)**, რომელიც აქ – ამ მიყრუებულ და უკაცრიელ ადგილას – **სრულ მარტოობაში მყოფი**, დროს უზენაესის გამძაფრებულ მისტიურ წვდომაში ატარებდა, ანუ... **მედიტირებდა!** იგი მისტიურ ექსტაზში მყოფი ღვრიდა ცრემლებს და მისი **ეს ცრემლები** – სასოწარკვეთილებისა კი არა, **ღვთაებრივი ნეტარების ცრემლები იყო** – სწორედ ეს მდგომარეობაა აღწერილი ფრაზით:

„სხვაგან ქრის მისი გონება – მისმა თავისა წონამან!“ (088)

ამიტომაც იყო, რომ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, **როსტევანის წარგზავნილმა მონამ მას ვერაფერი შეასმინა:**

„იგი ტირს და არა ესმის მისგან – გაუუმეცარდა!“ (086)
„მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი!“ (087)

და ა. შ.

ის კი არა და, მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოახლოებაც კი ვერ გაუგია:

„მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი!“ (087)

საგულისხმოა, რომ უცხო მოყმის „უცნაური“ სულიერი მდგომარეობა როსტევანის მიერ წარგზავნილი მონის მხრივ სრულიად ადეკვატურ რეაქციას იწვევს: მას, ახლოს მისულს, „მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად“ (085), რადგან „დიდხანს უჭვრეტს გაკვირვებით“ (086). მეფის შათირი საკმაოდ სწრაფად გაერკვა სიტუაციაში – იგი მიხვდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე და, ამიტომაც, „...გული უმაგარდა“ (086), თანაც, შემდგომი საუბარი, უაზრობის გამო, აშკარად ზედმეტად მიიჩნია:

„ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად **შეუზარდა!**“ (086)

მაგრამ სამსახური – სამსახურია, ბრძანება – ბრძანება და ისიც მოვალეობას ბოლომდე იხდის:

„მოახსენა: „გიბრძანებსო!“ – ახლოს მიდგა, **დაუწყნარდა...**“

(086)

მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, – არავითარი შედეგი:

„არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
არცა გახლიჩა ბაგეთათ, თავი ვარდისა კონამან!“ (088)

ამიტომაც:

„ესე მეფისა ბრძანება ერთხელ **კვლა** ჰკადრა მონამან...“

(088)

და, „რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა.“

(089)

ალბათ, გასაგებია, რომ „**ჩვეულებრივი**“ **ტირილი** ასე უგრძნობელს ვერ გახდიდა ადამიანს, თანაც ისეთს, როგორიც ჩვენი გმირი გახლავთ. აი, მედიტაციიდან „გამოსასვლელად“, „გონს მოსასვლელად“, „ამქვეყნად მოსაბრუნებლად“ კი ნებისმიერ ადამიანს **აუცილებლად სჭირდება გარკვეული დრო, ან – ძლიერი გამაღიზიანებელი.**

... ბანაკში მიბრუნებული მეფის ეჯიბი აშკარად **ცდილობს სიტუაციის განმუხტვას:**

„როსტანს ჰკადრა: „შემიტყვია – **იმას თქვენი არა უნდა!**“-ო

(089);

თანაც, უპირველეს ყოვლისა, ბოდიშს იხდის დაგვიანების გამო (ვითომ, ეს იყოს მთავარი!):

„ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ხანი მუნ, და...“-ო

(089),

და არც იმ შთაბეჭდილებას მალავს, „მტირალ“ ვეფხისტყაოსან მოყმეს რომ მოუხდენია მასზე;

„თვალნი მზეებრ გამირეტნა, გული მეტად შემიძრწუნდა“-ო (089) – მოახსენებს თავის მბრძანებელს...

მაგრამ **ამაოა ყველაფერი**: გულდინჯი ადამიანი, ალბათ, გააანალიზებდა მიღებულ ინფორმაციას, მოწყალედ ჩაიცინებდა დერვიშის ამ „უცნაურობაზე“ და შეეშვებოდა საწყალ ყარიბს, მაგრამ – **არა როსტევანი!**

შემდეგაც არაერთხელ დავრწმუნდებით: **მეფეთა მეფეს ერთობ დიდი, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საკუთარ პერსონაზე, მისი სიამაყე ამპარტავნებასა და თავკერძობაში გადადის, სიფიცხე კი ყოველთვის აფექტის ზღვრამდეა მისული.** ამ შემთხვევაშიც იგი, ფაქტობრივად, არც კი უსმენს თავის შათირს – **მისთვის ისაა მთავარი, რომ მისი ბრძანება არ სრულდება**: ვიღაც ყარიბი, საწყალი მარტოკაცი ბედავს და ქედს არ იხრის მისი – **როსტევანის** – დიდებულების წინაშე.

„მეფე გაჰკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე,
გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,
მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე!!!“

(090)

აი, სწორედ ამ თორმეტი მონის იარაღის ჟღარუნი აღმოჩნდა ამ შემთხვევაში ის **ძლიერი გამაღიზიანებელი**, რომელმაც, **ბოლოს და ბოლოს**, „ამქვეყანას მოაბრუნა“, გამოაფხიზლა ჩვენი გმირი:

„...მაშინღა შეკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულმდუღარია,
თვალნი მოარნა ყოველგნით, ნახა ლაშქართა ჯარია,
ერთხელ ესე თქვა: „ვაჰ, მეო“, სხვად არას მოუბარია.
თვალთა ხელი უკუივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
ხმალ–კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა,...“

(091-092)

და...

მიუხედავად იმისა, რომ **ანალოგიურ შემთხვევებში ასეთი ძლიერი გამაღიზიანებლის ზემოქმედება მძაფრ, ხშირად მძვინვარე უკურეაქციასაც კი იწვევს**, მან მაინც შეძლო თავის შეკავება:

„... ცხენსა შეჯდა – მონათამცა საუბარნი რად იყურნა! –
სხვასა მხარსა გაემართა... მათი ჭირი არ განკურნა!“

(092)

აშკარაა: **ვეფხისტყაოსანი მოყმე მშვიდობიანი ადამიანია, მას არავისგან არაფერი უნდა, ერთი რამის გარდა – თავი დაანებონ, მარტოობა აცალონ!** აკი, მოგვიანებით, ავთანდილთან საუბარში, იგი ნაღვლიანად იხსენებს კიდეც ამ „გაუგებრობას“ და გაკვირვებას ვერ მალავს:

„რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანეთსა რითა ვჰგავდით?
თქვენ – მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ – მტირალნი ღაწვთა ვბანდით...“

(290)

ასეთ ფონზე როგორც როსტევანის საქციელი, ისე მის მონათა მოქმედებაც **ცალსახად აღიქმება როგორც თავხედობა, როგორც აგრესია,** თანაც **აგრესია ყოვლად გაუმართლებელი, არაპროვოცირებული; ხოლო ასეთი აგრესია არ შეიძლება, უპასუხოდ დარჩეს, მას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი (ამას მოითხოვს რაინდული ღირსების კოდექსი!)** და ეს „პასუხიც“ არ აგვიანებს:

„მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად –
მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად:
ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა **თავსა ხელაუპყრობელად!**
ზოგსა გარდაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად!“

(093)

როსტევანი, რომლის თვალწინ მოხდა ეს ყველაფერი, ცხადია, მიხვდებოდა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, მაგრამ მან უკანდასახევი გზაც თვითონვე მოიჭრა; ამიტომ იგი ველარც ჩერდება:

„მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა!“ (094)

ხოლო ეს „ლაშქარნი“, როგორც გვახსოვს, „უფროსნი ბზეთასა“ ყოფილან!

მაგრამ...

ყმამ „მდევართა მოწევნამდის არ უჭვრიტა, არცა ნახა,
რაზომნიცა მიეწივნეს – ყოვლნი მკვდართა დაასახნა:
კაცი კაცსა შემოსტყორცა! – როსტან ამად ივაგლახნა...“

(094)

ყველაზე უცნაური მაინც ისაა, რომ ყოველივე ამას ვეფხისტყაოსანი მოყმე თითქოსდა ძალდაუტანებლად, უხალისოდ, აგრესიულობის გარეშე სჩადის. იგი კვლავინდებურად ცდილობს, მხოლოდ გაერიდოს ამ „ხალხმრავალ ადგილს“, თანაც ამასაც მეფური სიდინჯით, აუჩქარებლად აკეთებს; მის წასვლას „გაქცევას“ ვერანაირად ვერ უწოდებ:

„იგი – ლაღი და უკადრი! – მივა **ტანისა მრხეველად,**
ტაიჭი მიუქს მერანსა, **მიეფინების მზე ველად!**“

(095),

წამოწეულ მდევრებს კი იგი, მათგან თავმობეზრებული, მართლაც რომ **ბუზებსავით** ხოცავს.

ვფიქრობ, ამ უცნაური მოყმის სწორედ ასეთმა პასიურმა, უხალისო, „არააგრესიულმა აგრესიამ“ გააბედინა თვით როსტევანს (და ავთანდილსაც!) ამ კონფლიქტში აქტიურად ჩაბმა (თუმცა, ბოლოსდაბოლოს, მათ სხვა გზა არც დარჩენოდათ!), და

„შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად“ (095);

მაგრამ ვეფხისტყაოსანმაც, უკვე საბოლოოდ გონს მოსულმა და გამოფხიზლებულმა, თავის მხრივ,

„შეიგნა მისლვა მეფისა მისად უკანამდეველად“ (095),

და...

რა მოხდა შემდეგ?

ის, რაც შემდეგ მოხდა, კიდევ უფრო აშკარას ხდის იმას, რომ ჩვენს **ვეფხისტყაოსანს არანაირი „ავი ზრახვები“ არ გააჩნია, მას არავისგან „არა უნდა რა!** “ უფრო მეტიც: იგი აშკარად პატივს სცემს როსტევანის ჭაღარას და მასთან პირისპირ შეყრას სწორედ ამიტომ გაურბის (თუმცა, მოგვიანებით, ავთანდილს სხვა, მისი მხარისათვის უფრო „მისაღებ“ და „საპატიო“ მიზეზს უსახელებს: „... რა პატრონი შენი ვნახე, / **ხელმწიფობით შემებრალნეს**, ამად ხელი არ შევახე!“ (291)):

„რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა,
მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა **ჩვენსა**...“

(096)

დასაწყისში უკვე აღვნიშნე, რომ პოემაში აღწერილი მოვლენები მე რეალურ ისტორიულ ფაქტებად მიმაჩნია, მასში მონაწილე ადამიანები – ასევე რეალურ ისტორიულ პიროვნებებად, ხოლო ჩვენი ავტორი – ყოველივე ამის თვითმხილველად და მიუკერძოებელ მოწმედ და მემატიანედ. ახლა ვიტყვი: ამას მაფიქრებინებს არა მარტო სკრუპულოზურად აღწერილი უამრავი წვრილ-წვრილი დეტალი და გარემოება, მეტყველებისა და მოქმედების თანმდევი ფსიქოლოგიური შტრიხები, არამედ – აქა-იქ, თითქოსდა სხვათაშორის, „შემთხვევითი" ნაპერწკალივით „გაკვესებული" ფრაზები, როგორიცაა ზემოთ მოყვანილ 096-ე სტროფში: **„არ უნახავს თვალსა ჩვენსა"** – და არა „მათსა", ან „მისსა" (ასეთივე ფრაზა გვხვდება თინათინის კორონაციის შემდგომ გამართული ნადიმის აღწერის ფინალშიც: „...გაყარეს სმა და ნადიმი. მუნ ამოდ **გავიხარენით!**" (070)).

აღწერილ ამბებში პოეტის აქტიური მონაწილეობის შესახებ ანალოგიურ მინიშნებებს პოემის სხვა ეპიზოდებშიც არაერთხელ შევხვდებით...

მაშ, ასე: გაქრა კაცი! თანაც ისე, რომ:

„ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა:
ეძებდეს და **ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა!**"
(096)

„კვალი ძებნეს და უკვირდა **ვერპოვნა ნაკვალევისა,**
აგრე პირწმინდად წახდომა კაცისა, ვითა დევისა...!"
(097)

აი, ასე ეფექტურად გამოჰყავს პირველად „სცენაზე" დიდ პოეტსა და დრამატურგს (დიახ, დიდ დრამატურგს. არ ვიცი, რატომ ვერ ხედავენ ამას ჩვენი რეჟისორები!) თავისი შედევრის ცენტრალური ფიგურა, **პირობითი სახელით „ტარიელი"**. რატომ ვთვლი, რომ ეს „სახელი" პირობითია? ან ვინ შეიძლება იყოს ნაგულისხმევი „ტარიელში"?

ამის შესახებ – მოგვიანებით...

✧ ✧ ✧

„გამბიტი" – საჭადრაკო ტერმინია, რომელიც ხმარებაში ესპანელმა მოჭადრაკემ რუი ლოპეს დე სეგურამ დაამკვიდრა 1561 წლიდან. ესაა საერთო დასახელება ისეთი დებიუტებისა (საჭადრაკო პარტიის დასაწყისებისა), რომლებშიც რომელიმე მხარე (უფრო ხშირად, რა თქმა უნდა, თეთრებისა, როგორც პირველი სვლის გაკეთების პრივილეგიის მქონესი), შემდგომში უსწრაფესი შეტევის განხორციელებისა და სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების მიზნით, სწირავს პაიკს, ან მსუბუქ ფიგურას...

შინაარსის შესაბამისად შეირჩა დასახელებაც: იტალიურად **Gambetto** – სარმას, კვანტს, **dareil gambetto** კი – სარმის, კვანტის გამოკვრას, უფრო ზუსტად – „ფეხის დადებას" ნიშნავს...

არსებობს: მეფის გამბიტი, დედოფლის გამბიტი; ესპანური, სიცილიური, ინგლისური, შოტლანდიური, ირლანდიური, ჰოლანდიური, პოლონური, ლატვიური და ა.შ. გამბიტები (P.S.: ასე გასინჯეთ, „გარეული ტახის გამბიტიც" კი არსებულა, თურმე)...

ცნობილია, აგრეთვე, „ინდური დაცვაც"...

„ინდურ გამბიტს" კი საჭადრაკო თეორია და პრაქტიკა – **არ იცნობს!**...ეს გარემოება ერთგვარ პარადოქსად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ინდოეთის საჭადრაკო დაფებზე თუ არა, პოლიტიკურ ავანსცენაზე მაინც, ნამდვილი გამბიტების მთელი სერია თამაშდება.

თანამედროვე ინდოეთი არა მაქვს მხედველობაში, „ვეფხისტყაოსნის" ინდოეთზე მოგახსენებთ.

„თანმიყოლებით უნდა მისდიო, რომ **აზრს** მიაგნო"-ო, ბრძანებს ეკლესიასტე [7, 27].

დავუჯეროთ ეკლესიასტეს!

„ვეფხისტყაოსანში" გამოყენებულია **კონტამინაციის** მეთოდი, ანუ „ორი ან რამდენიმე ამბის ერთმანეთში არევა თხრობის დროს (contaminatio [ლათ.] – შერევა")" (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1985 წ.).სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **პოემაში დაცული არაა აღწერილი ამბების ქრონოლოგიური თან-**

ამიმდევრობა (და ეს მას, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, განსხვავებით ისტორიულისაგან, არც მოეთხოვება. მეტიც: ამ მეთოდის გამოყენება კიდევ ერთი მხატვრული ღირსებაა პოემისა, რამდენადაც მისი მეშვეობით თავიდანაა აცილებული თხრობის მონოტონურობა, შენარჩუნებულია ტონუსი და ა.შ.), ჩვენ კი სწორედ ეს ქრონოლოგიური თანამიმდევრობა უნდა აღვადგინოთ, რათა შემდეგ „თანმიყოლებით მივსდიოთ“ და, თუ ბედიც გაგვილიმებს, შეფარულ **აზრს** მივაგნოთ...

მით უფრო, რომ ეს არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს – პოემაში აღწერილ მოვლენებზე ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ: **ყველაფერი ინდოეთში და ინდოეთიდან იწყება!** (წყარო: „ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო“ და შემდგომი თავები)

არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ **თავიდან ბოლომდე** „სულმოუთქმელად“, „ერთი ამოსუნთქვით“, „გაუნელებელი ინტერესით“ იკითხება.

მოდით, ამჯერად, მოვთოკოთ ჩვენი გაუნელებელი ინტერესი და აუჩქარებლად შევეცადოთ, გავაანალიზოთ თითოეული სიტყვა, თითოეული ფრაზა, თითოეული სტროფი...

მით უფრო, რომ ამის აუცილებლობაზე თვით ავტორი მიგვითითებს (ვინ იცის, მერამდენედ) – ამჯერად, ტარიელის პირით პირველივე სტრიქონში:

„ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა,...“ (307, 1)

ზემოთ ნათქვამს გავიმეორებ: სასვენი ნიშნები ადრე არ იხმარებოდა და წაკითხულისა (თუ მოსმენილის) აღქმა **მთლიანად** მკითხველის (ან დეკლამატორის) მიერ, ინტონაციის შეცვლის მეშვეობით, გამოთქმული სიტყვისა თუ ფრაზის **აქცენტირებაზე** იყო დამოკიდებული. თვითნებურად დასმული სასვენი ნიშნები კი უკვე კატეგორიულად გამორიცხავს რაიმე სხვაგვარი ინტერპრეტაციის არსებობას და გვაიძულებს, ტექსტი ვიკითხოთ, როგორც ძილის მომგვრელი „იავნანა“ – **მონოტონურად, „წამღერებით“** – ყოველგვარი პაუზისა, და, შესაბამისად, **გააზრების გარეშე.**

თავს უფლებას მივცემ და ერთხელ კიდევ შევცვლი პუნქტუაციას:

„ისმენდი! მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა!...“

ამით, ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა ტონუსი, გრადუსი ურთიერთობისა: „ისმენდი“ ძახილის ნიშნით (–!) ნიშნავს არა უბრალოდ თხოვნას (ამ შემთხვევაში – ტარიელისას) – „მისმინე“-ან „მომისმინე“-ო, არამედ ეს უკვე პირდაპირი, არაორაზროვანი **იმპერატივია**: „მომისმინე და **შეისმინე (კარგად გაიაზრე)**, რას გეუბნებიო!“ მძიმედ (ან ნელა) მოაზროვნეთ ავტორი,როგორც სჩვევია, დამატებით მიუთითებს: „მიეც გონება(!)“-ო (ანუ: „გონება დაძაბე! “, „გონება მოიკრიფე“-ო!)

მაინც, რა უნდა შევისმინოთ და გავიაზროთ კარგად?

„... საუბართა და საქმეთა, ვითა ძლივ ვათქმევ ენასა!“

აი, რა:

არა მარტო „საქმენი“, ანუ მომხდარი ამბები, ფაქტები, არამედ – **„საუბრებიც“**, ანუ ნათქვამ-ნალაპარაკევი – უნდა გავიაზროთ, უნდა გავაანალიზოთ კარგად.

(ნიშანდობლივია, რომ თვით ტარიელს, როგორც ჩანს, ამ „საქმეთა“ და „საუბართაგან“, რბილად რომ ვთქვათ, „ზოგი რამ დიდად არ ეამაყება“ და, ამიტომაც უჭირს ამ თემაზე ლაპარაკი: „ძლივ ვათქმევ ენასა“-ო, ბრძანებს...)

უნდა გავაანალიზოთ და, იგულისხმება: შეძლებისდაგვარად, დასკვნებიც გამოვიტანოთ!

ვცადოთ!

(მომდევნო ორი ტაეპი:

„იგი, ვინ ხელმქმნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,
და ვისგან შეუცავ სევდასა, სისხლისა ღვართა დენასა.“

ამ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესის სფეროს მიღმაა...)

ახლაც კი – ამ ზე-განათლებულ და ზე-ინფორმირებულ 21-ე საუკუნეში! – ინდოეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე „ამოუცნობ“ და „იდუმალებით აღსავსე“ ქვეყნად რჩება.

ასეულობით (თუ ათასობით არა) ეთნოსი, ენა, კულტურა... წარმოიდგინეთ, როგორი უნდა ყოფილიყო მე-12 საუკუნის უცხოელის თვალით დანახული ინდოეთი...

როგორი და... **ჩვეულებრივი!**

ქართველი პოეტი ისე იწყებს ინდოეთის ამბების მოყოლას (ვიცით: ტარიელის პირით), თითქოს ეს ქვეყანა სადღაც „ცხრა მთას იქით" კი არა, აი, აქვე – ლამის, ჩვენი ეზოს ღობის გადაღმა – მდებარეობდეს და მის შესახებ ისედაც ყველაფერი კარგად ვიცოდეთ!

... არავითარი საწყისი ინფორმაცია – როგორც, საერთოდ, მიჩვეულები ვართ სხვა მწერლებისა და პოეტებისაგან. ყოველგვარი შესავლის გარეშე –

„ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი..."

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ალბათ, მხოლოდ იმას, რომ მე და თქვენ, ეს ყველაფერი, მართლაც, უკვე ვიცით... ან – უნდა ვიცოდეთ!

თუ ყველაფერი არა, **მთავარი** მაინც:

მაგალითად, ის, რომ ინდოეთშიც ჩვენნაირი ადამიანები სახლობენ – ორი ხელით, ორი ფეხით, ერთი თავით... რომ ისინიც, ჩვენსავით, იბადებიან და კვდებიან... რომ ისინიც შრომობენ და ომობენ... მათაც სძულთ და უყვართ,როგორც ჩვენ, აქვთ ათასგვარი საზრუნავი, როგორც ჩვენ, და, მათაც, რიგორც ჩვენ,...

ჰყავთ **მეფეები!**

ხოლო, სადაც მეფეა – იქ სამეფო კარიცაა, და, – ესაც ხომ ცხადია – სადაც სამეფო კარია, იქვეა – სამეფო კარის ინტრიგებიც.

გულუბრყვილობაა, წარმოიდგინო სამეფო კარი – ინტრიგების გარეშე.

მაგრამ... ინტრიგაცაა და – ინტრიგაც!

„ვეფხისტყაოსნის" ინდოეთი, ამ მხრივ, როგორც იტყვიან, „ყველა რეკორდს ხსნის".

დაუჯერებელია, მაგრამ – ფაქტია!

სამეფო კარის ინტრიგები და „პოლიტიკური თამაშები" „ვეფხისტყაოსანში" – ცალკე თემაა, დიდი თემა...

ჭადრაკის ისტორიული სამშობლოს პოლიტიკურ ავანსცენაზე კი რთული, მრავალსვლიანი კომბინაციების – ნამდვილი „ინდური გამბიტების" მთელი სერია თამაშდება!

Anschluss[2]: მეფის გამბიტი სარიდანისგან

როგორც ვთქვი, 308-ე სტროფიდან ტარიელი „პირდაპირ საქმეზე გადადის" და, პირველ რიგში, ინდოეთში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას აღწერს:

> 308. „ინდოეთს **შვიდთა მეფეთა** ყოვლი კაცი ხართ მცნობელი:
> ექვსი სამეფო **ფარსადანს** ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი,
> უხვი, მდიდარი, უკადრი, **მეფეთა ზედა მფლობელი,**
> და ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი."

რა ჩანს ამ სტროფიდან?

1). ინდოეთში **სულ ცოტა ხნის წინ** შვიდი სამეფო არსებულა და თითოეულს თავისი მეფე ჰყოლია. „სულ ცოტა ხნის წინ" იმიტომ, რომ სავარაუდოდ, დიდი ხნის წინ სამეფო დაკარგულ მეფეებს (და ყურადღება მივაქციოთ: პირველ სტრიქონში ტარიელი სწორედ **მეფეებზე** საუბრობს და არა– სამეფოებზე: ინდოეთის **შვიდ მეფეს ყველა იცნობსო!**), ასეთი პატივით და ხაზგასმით („მეფეებად"!) აღარც ტარიელი მოიხსენიებდა, და აღარც სხვა ვინმე. ამდენად, **ექვსი ინდური სამეფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება ახლო წარსულში მომხდარი,** სულ „ცხელ-ცხელი" ამბავი უნდა იყოს...

2). ამ ახალი პოლიტიკური ერთეულის „შემოქმედია" ვინმე **ფარსადანი,** რომელიც არა მხოლოდ **თვითმპყრობელია,** ანუ ერთპიროვნული მმართველია ამ ახალი სახელმწიფოსი – ის უკვე **მეფეთა მეფეა** („მეფეთა ზედა მფლობელი"!!!), **იმპერატორია, კეისარია,** ხოლო მისი შექმნილი სახელმწიფო – **იმპერია** გახლავთ. ეს კი განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

---

2 ანშლუსი (გერმ. Anschluss – მიერთება, კავშირი) – ავსტრიის შესვლა გერმანიის შემადგენლობაში, მოხდა 1938 წლის 12-13 მარტში. ავსტრიაში ანშლუსი „ანექსიის" სინონიმია.

რატომ? იმიტომ, რომ „მშვიდობიანი თანაცხოვრების“, „მეგობრული ურთიერთობების“, „თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისა“ და სხვა ამგვარი „რამერუმეების“ ფუფუნება მცირე და საშუალო ქვეყნების „პრივილეგიაა“, ხოლო იმპერიები – მუდმივი გაფართოების მცდელობაში, პერმანენტული ექსპანსიის მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მათ სხვაგვარად არ შეუძლიათ, რადგან ასეთია მათი ბუნება, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი თვითონ ჩამოიშლებიან, დაიღუპებიან... საკუთარ „ბუნებრივ საზღვრებად“ იმპერიები მხოლოდ ისეთ გადაულახავ (ან ძნელად გადასალახ) ზღუდეებს მიიჩნევენ და განიხილავენ, როგორიცაა მაღალი ქედი (მაგ. ჰიმალაები – თანამედროვე ჩინეთსა და ინდოეთს შორის), დიდი ზღვა, ან ოკეანე... და ამდენად, იმ მცირე და საშუალო ქვეყნების თავზე, რომლებიც, ერთის მხრივ, იმპერიასა და, მეორეს მხრივ, ასეთ „ბუნებრივ საზღვრებს“ შორის ჯერ კიდევ არსებობენ, მუდმივად დამოკლეს მახვილია აღმართული!

მით უფრო, რომ

3). „ტანად ლომი და პირად მზე“ **ფარსადანი** – „მდიდარი“, „უხვი“ და „უკადრი“, ამავე დროს, „ომად მძლე“ და „რაზმთა მწყობელიც“ (ანუ ძლიერი მეომარი და სარდალიც) ბრძანებულა თურმე.

აი, ასეთ გეოპოლიტიკურ ვითარებაში უწევს ცხოვრება და არსებობა ინდოეთის მეშვიდე და უკანასკნელ სუვერენულ სამეფოს, რომლის მეფეა ტარიელის მამა – სარიდანი:

309. „მამა ჩემი ჯდა მეშვიდედ, მეფე მებრძოლთა მზარავი, –
სარიდან ერქვა სახელად, – მტერთა სრვად დაუფარავი;
ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი;
და ნადირობდის და იშვებდის საწუთროგაუმწარავი.“

310. „ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები.
თქვა: „წამიღია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,
ყოვლგნით გამისხმან, მორჭმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები“;
და ბრძანა: „წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები“...

აბსურდი? არა – Real politic: მეფის გამბიტი სარიდანისგან ... უცნაურია, მაგრამ სარიდანის დახასიათებისას ტარიელი ბევრად უფრო სიტყვაძუნწია, ვიდრე პირველ შემთხვევაში – კერძოდ, არაფერია ნათქვამი მის გარეგნობაზე (მაშინ, როცა ფარსადანი „ტანად ლომი და პირად მზე“-ა). სამაგიეროდ, ვიგებთ, რომ ისიც ძლიერი მეომარია („მებრძოლთა მზარავი“, „მტერთა სრვად დაუფარავი“), ყველა ცხადი და პოტენციური მოწინააღმდეგისათვის „თავისი ადგილი აქვს მიჩენილი“ („ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერც ცხადი, ვერცა მპარავი“), სამეფო ტახტზე მყარად ზის („მორჭმით ვზი“), და დროს ნადირობასა და ზარ-ზეიმებში ატარებს... მაგრამ, მთელ ამ პომპეზურ დროსტარებაში გაპარებულია ერთი სტრიქონი, რომელიც, თითქოს, **აბსურდულია** – კონტექსტიდან ამოვარდნილია და ეწინააღმდეგება დანარჩენ ინფორმაციას:

„ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები“!

მაშ, სადღაა „ზეიმი და ზარები“ და „საწუთროგაუმწარავი“ ცხოვრება? კაცს იმდენი სადარდებელი გასჩენია, იმდენი „კაეშანთა ჯარები“ დასევია, იმდენ ხანს უფიქრია, რომ, ბოლოსდაბოლოს, მობეზრებია ამ მდგომარეობაში ყოფნა („ხალვა მოსძულდა“) და ასეთი დასკვნა გაუკეთებია:

„... წავალ და მეფესა ფარსადანს **შევეწყნარები!**“

...ეს ყველაფერი ისეა მოწოდებული, რომ ზერელე გადამკითხველს შეიძლება ეგონოს: სარიდანს უსაქმოდ ყოფნა მობეზრდა, თავგადასავლები მოენატრა და, რაკიღა გარეშემო ღირსეული მოწინააღმდეგეები აღარ ეგულებოდა, სამოქმედო ასპარეზის გაფართოების მიზნით, მოინდომა დიდი იმპერიის, ანუ ფარსადანის სამსახურში შესვლაო. დარწმუნებული ვარ, ბევრი ასეც ფიქრობს, მაგრამ მე არ მშურს ასეთი ადამიანებისა...

მოდით, **ნუ განვსჯით აჩქარებით** და ნუ ჩავთვლით ამ, ვითომდა სხვათაშორის ნათქვამს პოემის ერთ მორიგ და ჩვეულებრივ სტრიქონად, რადგან მასში ავტორი გვაწვდის ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას: **სარიდანი, სუვერენული ქვეყნის**

ძლიერი მმართველი, ნებაყოფლობით ამბობს უარს დამოუკიდებლობაზე და მეფე ფარსადანის ვასალი ხდება. ასეთი რამ ყოველთვის, ყველა საზოგადოებრივ–პოლიტიკური ფორმაციის პირობებში (მით უფრო,შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაში) ძალზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მსგავსი ფაქტები მსოფლიოს ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელია, საქართველოს ისტორიიდან კი ერთადერთი ანალოგიური პერსონაჟი – **იოანე მარუშისძე** მახსენდება, რომელიც, ასევე ნებაყოფლობით, არა მარტო ეყმო ბაგრატ III-ს, არამედ მისი ყველაზე ერთგული და საიმედო თანამებრძოლიც გახდა საქართველოს გაერთიანების საქმეში. როგორც ჩანს, დიდი წინაპრის პოლიტიკური გეზი შეინარჩუნეს იოანეს შთამომავლებმაც, რადგან ამის შემდეგ **მარუშისძენი** (მარუშიანები) ყოველთვის უმნიშვნელოვანეს თანამდებობებს იკავებენ ბაგრატიონთა სამეფო კარზე. (საყურადღებოა ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც: **„მაბრუშ“** არაბულად **„ჭრელადჩაცმულს“**, ან **„გიჟს“**, **„შლეგს“** ნიშნავს! ესეც **დავიმახსოვროთ**!)

მაშ, რა მოტივაცია ამოძრავებდა სარიდანს?

(1) უპირველეს ყოვლისა, უდავოა, რომ როგორც მეფე, ანუ **პოლიტიკოსი**, სარიდანი კარგად ხედავდა მისი სამეფოს თავზე ფარსადანის იმპერიის სახით ამართულ „დამოკლეს მახვილს“ და ესმოდა, რომ მეშვიდე ინდური სამეფოს ანექსირებაც დროის ამბავი იყო მხოლოდ და, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, პირადად მას ჯერ დამარცხება, შემდეგ კი – უარეს შემთხვევაში სიკვდილი, ხოლო უკეთესში – „საპატიო ტყვეობა“ელოდა. რა თქმა უნდა, არასახარბიელო პერსპექტივაა!

(2) მეორე მხრივ, ნებაყოფლობით მიერთებისა და დაქვემდებარების შემთხვევაში მას, სულ მცირე,საპატიო მოპყრობისა და ფარსადანის სამეფო კარზე მაღალი მდგომარეობის მოპოვების იმედი უნდა ჰქონოდა (და ეს მოლოდინი მას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთლიანად, –და იქნებ, გადაჭარბებულადაც კი, – გაუმართლდა).

(3)...სულ მცირე იმიტომ, რომ მალე შევიტყობთ:

ა) ამ დროისათვის თვითონ სარიდანი უშვილოა და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იმპერატორი ფარსადანიც უშვილო გახლავთ. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში ეს დროებითი ამბავია (აკი მალევე შეეძინა ვაჟი – ტარიელი), მეორე შემთხვევაში – დადასტურებული სამწუხარო რეალობაა: de facto, ინდოეთის იმპერიას ტახტის მემკვიდრე არ ჰყავს! და ბ) სარიდანი – ფარსადანის **მოგვარეა, შორეული ნათესავია, და შესაძლოა, ერთადერთიც!** (აკი ტარიელის დაბადებით უსაზღვროდ გახარებული იმპერატორი თვითონვე იტყვის: ამას სამეფოდ გავზრდი, რადგან „ჩემივე გვარისა“ არისო!) ეჭვგარეშეა, რომ სარიდანი, თმობს რა მცირეს – საკუთარ სამეფოს, ყველაფრის – ანუ მთელი იმპერიის (ამა თუ იმ გზით) ხელში ჩაგდებას იმედოვნებს!

არ არის ეს გამბიტი? არის, და მერე როგორი – „მეფის გამბიტი“ სარიდანისგან!

...სარიდანის სიტყვა და საქმე – ერთია: იგი ელჩებს უგზავნის ფარსადანს და თავისი გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებს (სტრ. 311), თანაც ისეთ მოტივაციას ურთავს, ჩვენს „ზერელე გადამკითხველს“ კიდევ ერთხელ რომ გაახარებს – ხომ ხედავთ, თვითონვე რას ამბობსო:

> „აწ მე მწადს, თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
> და სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა! “

ფარსადანი სიხარულით ხვდება ამ ამბავს, რადგან:

1) სარიდანის ეს ნაბიჯი – სწორედ მისი (ფარსადანის) შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გამარჯვებაა: როგორც უკვე ვთქვით, მას (სარიდანს) სხვა გზა, სხვა ალტერნატივა არცა აქვს დარჩენილი!

2) იმპერატორი უომრად, უსისხლოდ – ანუ ყოველგვარი დანაკარგების გარეშე – ამთავრებს ინდოეთის გაერთიანებას!

3) მიერთებული რეგიონი არის არა ომით გაჩანაგებული და

დანიოკებული ქვეყანა, არამედ ბოლომდე კარგად დაცული, ეკონომიკურად აყვავებული და მდიდარი სამეფო; იჭრება იმპერიის მნიშვნელოვანი შიდა–პოლიტიკური პრობლემებიც;

4) აქამდე სარიდანის სამეფო უცილობლად იქნებოდა იმპერიაში შემავალი ყოფილი სამეფოებისათვის „თავისუფლების შუქურა“ და მნიშვნელოვანი მაპროვოცირებელი ფაქტორი მათში სეპარატისტული მისწრაფებების გაღვივებისა, ახლა კი ეს ფაქტორი თავისთავად გამოირიცხა და მოისპო;

5) ფარსადანის განკარგულებაში ხელუხლებლად გადადის არა მხოლოდ ქვეყანა და მოსახლეობა, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მისი ადმინისტრაციაც – გამოცდილი და ნაცადი სამოხელეო აპარატი; და

6) თვით სარიდანი – ძლიერი მენეჯერი, მეომარი და სარდალი და, შესაბამისად, შესაშური სათადარიგო კანდიდატურა(საჭიროების შემთხვევაში!) იმპერიის ტახტის მემკვიდრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად!

იმაში, რომ ფარსადანმა მშვენივრად აუღო ალღო მოცემულ სიტუაციას და მომავლისთვის თადარიგიც დაიჭირა, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს: როგორც კი პოლიტიკურ ასპარეზზე ახალგაზრდა ლომი – თვით ფარსადანის მიერ გაზრდილი და აღზრდილი ტარიელი გამოვიდა, სარიდანი – მაშინვე „ზედმეტ მესამედ“ გადაიქცა და... მოულოდნელად **გარდაიცვალა.**

ამრიგად, სარიდანის „სამეფო გამბიტი“, საბოლოოდ, პირადად მისთვის, კრახით დასრულდა, რადგან ფარსადანი პოლიტიკური ჭადრაკის სფეროშიც მასზე ძლიერი „მოთამაშე“ აღმოჩნდა. მაგრამ სარიდანს დარჩა მემკვიდრე – ტარიელი.

რა ბედი ელის მას?...

დიტო თაბორიძის მოსაგონარი

ერთი წვიმიანი ღამე იყო, სამსახურიდან მოვდიოდი რუსთაველზე, წვიმდა და რას წვიმდა... გავილუმპე, იმას ვფიქრობდი, სახლამდე როგორმე მივალ, მაგრამ პასპორტი, ალბათ, გადასაგდები მექნება-მეთქი...

ჯიბეში კაპიკი ფული არ მქონდა და ანგარიშზე მხოლოდ 0,48 ლარი მედო. მობილურზე კოდის მოხსნა მინდოდა და თითის წაკითხვას ვერ ახერხებდა მობილური, რადგან სველი იყო... თან ამბიცია მაწუხებდა და არავის ვთხოვდი, მიმიყვანეთ-მეთქი. ზაფხული იყო. მივედი გმირთა მოედნამდე და მანქანამ გამიჩერა: ხომ არ გიჭირს რამეო. გამეხარდა და ვთხოვე, იქნებ, სახლამდე მიმიყვანოთ-მეთქი. მივდივართ. უცებ მეკითხება: – თქვენ „ვეფხისტყაოსნის“ მოტრფიალე როდიდან გახდითო? დავფიქრდი: მე რა, დავიტრაბახე მეთქი? არადა ამ კაცთან სიტყვა არ მითქვამს. – საიდან იცით მეთქი? პასუხი: ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობთ, ციფრულ ფოტომატიანეს აკეთებთ, წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა ბაზას აკეთებთ. თქვენი მობილურის ნომერი მიწერია ჩემს მობილურში, მეტი რა გითხრათ?! „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია გაქვთ და, ალბათ, ახლა სამსახურიდან მოდიხართ, ხელფასს ელოდებით და თვის ბოლოს ნატრულობთ. დიმიტრი თაბორიძე ვარო. ერთი სიტყვით, ერთადერთი რამ არ მითხრა: სიჩქარის გადამრთველთან ვაშლი რომ დევს, ამაზეც თვალი გაგირბით, იმიტომ, რომ გშიათო. ასე იყო.

მერე „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსზე კითხვები დამისვა. მე ჩემი აზრი ვუთხარი. მანქანა გააჩერა და 3 საათი ვილაპარაკეთ „ვეფხისტყაოსანსა“ და რუსთაველზე. ეს იყო მისი აზრები, ღრმა, ისეთი, რომელიც ეფუძნებოდა ყველა ცნობილი მეცნიერის აზრს და იყო სრულიად სხვა ხედვა. ზეპირად იცოდა სტროფები, რომლებიც მას სჭირდებოდა. ეს არ იყო აფორ-

იზმები. ეს იყო ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მარგალიტები, რომლებიც რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენისთვის არის საჭირო. მერე ბიბლიოთეკაში დამიტოვა თავისი ნაშრომები. ფეისბუკის მეგობრები ვიყავით. განსაკუთრებით პოსტებს მილაიქებდა. მეც მიხაროდა, ლაიქებში ერთ-ერთ მეტრად ვთვლიდი.

დღეს მისი მეგობარი მირეკავს და მეუბნება: დიტო თაბორიძეს ხომ იცნობო? კი-მეთქი. გარდაიცვალაო, გულითო. მანქანით მოძრაობდა, გააჩერა უცებ და რომ მივიდნენ, გარდაცვლილი იყოო. ის რუსთაველს ზეკაცად თვლიდა. სუფიზმის წიაღში ეძებდა რუსთაველის ფესვებს. დარწმუნებული ვარ, რუსთაველმა წაიყვანა, ამ ქვეყანაში შენი ადგილი არააო. ცრემლი წამომივიდა... ნათელში იყავით, ბატონო დიტო! დიდი ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან...

ლ. თაქთაქიშვილი
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
დირექტორის მოადგილე